

გონდო არველაძე



მწერლის ბედიანა
საქმე №ПР-12028-508

ბონდო არგენტინა

მწერლის გედისწერა

საქმე №PP-12028-508

თბილისი 2015

რედაქტორი და დაკაბადონება: **ვანო ჯახუა**

ყდის დიზაინი: **მერი ბარბაქაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მანია გასიტაშვილი

შორენა ქაჭაშვილი

ტირაჟი 500 ცალი.

ISBN 978-9941-0-6460-9

წინასიტყვაობა

ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი შატბერაშვილი გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო რეპრესირებული. მისი დაკითხვის ოქმები, ე. წ. „ძიების“ მასალები, თბილისის 1991 წლის მოვლენების დროს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობაში ხანძრის გაჩენის შედეგად განადგურდა.

თუ რა შეთითხნილი ბრალდებით გაასამართლეს მწერალი, ამის შესახებ მკითხველი ამ დოკუმენტური ნარკვევიდან შეიტყობს, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს გამოქვეყნდა ლიტერატურულ აღმანახ „კლდეკარში“ (№3-4). ნარკვევში გამოყენებულ საარქივო მასალას ავტორი სუკ-ის შენობის დაწვამდე გაეცნო. ამდენად, მას პირველი წყაროს ფუნქცია ენიჭება.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს ბატონ **ლაშა ბაქრაძეს** და მის თანამშრომლებს, **ნანა კობლაძესა** და **თამარ კაპანაძეს** გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტოების მოწოდებისთვის.

უღრმესი მადლობა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **გოჩა გორიტაშვილს**. სწორედ მისი გადაწყვეტილებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წიგნის გამოცემა, რომელიც ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

მწერლის ბედისწერა

საქმე №PP-12028-508

გენერალი მაზნიაშვილი ვერეს დაღმართის დასაწყისში, გადატეხილ აკაციასთან შეჩერდა. თვალი მოავლო კლდის ძირში მიმოხეულ ალიზით ნაშენ ქონმახებს და დაჟინებით დააკვირდა ფერდობზე შეფენილ აივნიან სახლებს. მეხსიერების ხვეულებში ნელ-ნელა აღდგა მძიმე მოგონება. სწორედ აქ, ამ ფერდობზე ნახევრად დანგრეულ სახლებს შორის ალყაში მოიქცეეს რუსის ჩამოკონკილმა სალდათებმა მისი საუკეთესო ოფიცერი ღიმიტრი ყანჩაველი, ქართველი ოფიცერი ლომივით იბძოდა თურმე მომხდურთა წინააღმდეგ, არ დანებდა მოძალადეებს და როცა ალყიდან თავის დაღწევის იმედი გადაეწურა, უკანასკნელი ტყვიით თავი მოიკლა. ეს ამბავი ბათუმში გაიგო გენერალმა და ძლიერ ეწყინა. დაენანა მრავალჭირგადანახადი მამაცი ოფიცერი რუსი „ბროდიაგების“ მსხვერპლი რომ გახდა. ამ „ბროდიაგებს“ საბჭოთა ხელისუფლება მე-11 არმიას უწოდებდა. ეს ეგრეთ წოდებული არმია შშიერი მგელივით შემოვარდა თბილისში და მის ქუჩებში მაწანწალა ძაღლებივით დაძრწოდა. გენერალმა მწარე მოგონებას თავი დააღწია, მძიმედ ამოიოხრა და იქვე ოთხსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა. ნელა აუყვა კიბეს, მესამე სართულზე ავიდა, ვიწრო დერეფანი გაიარა და თეთრად შეღებილ კარების წინ შეჩერდა. ზარი დარეკა. კარი სიმპათიურმა მანდილოსანმა გაუღო. გენერალი მაზნიაშვილი რომ იცნო, მზიარულად შესძახა:

— მობრძანდით ბატონო გიორგი, მობრძანდით, ამ ბოლო ხანებში თავი დაიძვირეთ, რაღაც იშვიათად მობრძანდებით ჩვენსას!...

გენერალმა ჰოლში საკმაოდ მოძველებული შინელი გაიძრო და სასტუმრო ოთახში შევიდა. მდიდრულად და გემოვნებით მოწყობილ სასტუმროს თვალი მოავლო და სავარძელში მოკალათდა. ამ დროს სასტუმროს კარი გაიღო და ტანმორჩილი, მელოტი, ოქროსსათვალისანი კაცი, ხალათმოსხმული შემოვიდა. გენერლის დანახვაზე სახე გაებადრა და მკვეთრად გამოკვეთილი

ქართლული კილოთი წამოიძახა:

– ო, ო, ეს შენა ხარ გიორგი, სად დამეკარგე ბზობის ყვავევითა გეთაყვა!

გადაეხვივნენ და სიყვარულით ჩაიკრეს გულში ერთმანეთი. შემდეგ დასხდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს და საუბარით გული რომ მოიჯერეს, გენერალმა მაზნიაშვილმა გაცრეცილი პორტფელიდან საერთო რვეული ამოიღო და მასპინძელს თითქმის სვეწნით მიმართა:

– მიხეილ, ღუნიაზე ცნობილი მწერალი ხარ, ვიცი შენი საქმეებით ძალიან დატვირთული ბრძანდები, მაგრამ ცოტა დრო უნდა გამონახო და ჩემი ნათლულის ლექსები წაიკითხო. თუ კაცი ხარ, მითხარი ღირს თუ არა, ამ ბიჭმა ლექსები წეროს თუ სხვა ხელობას მოჰკიდოს ხელი.

მეგობრის გულიან და მიამიტურ თხოვნაზე მიხეილ ჯავახიშვილს გაელიმა, სქელი რვეული გამოართვა და ყდაზე დახედა: გიორგი შატბერაშვილი, ლექსები.

– შენ როგორ გაწყენინებ, გიორგი, გეთაყვა, წავიკითხავ, და ჩემ აზრს პირუთვნელად მოგახსენებ, – უთხრა გენერალს მიხეილ ჯავახიშვილმა და რვეული მაგიდაზე დადო. საუბარი გააგრძელეს, მოიგონეს ძველი ამბები, ახალსაც ფრთხილად და მოზომილად გადასწვდნენ. ნახევარ სიტყვაზე უგებდნენ ერთმანეთს, რადგან ორივეს ერთი სახმილი სწვავდა. ასეთ გულითად საუბარში იყვნენ გართულები, როცა დიასახლისი შემოვიდა და სუფრის გაშლას შეუდგა. გააწყო თუ არა, სტუმარ-მასპინძელი მიიწვია ლაზათიანად გაშლილ სუფრასთან. ვახშობა საკმაოდ გვიან დამთავრდა. შეზარხოშებული გენერალი წასასვლელად მოემზადა. მიხეილ ჯავახიშვილმა ღვინის ჭიქა მანავის მწვანით შეავსო და დაილოცა: გიორგი, გეთაყვა, ყოვლადწმინდა შეგეწიოს, ღმერთმა ქნას, საშველი მალე დაგვდგომოდეს!...

გენერალმა მასპინძელს ჭერი დაულოცა, ბარაქა და დღევრძელობა უსურვა ოჯახს, ქართველ ხალხს გამარჯვება, მერე პირჯვარი გადაიწერა და სულმოუთქმელად დალია.

შექიფიანებული გენერალი მაზნიაშვილი შინ წავიდა. მეორე დღეს თავისი ნათლული დაიბარა და უთხრა:



გენერალი ვიორგი მამიაშვილი

– შენი ლექსები მიხეილ ჯავახიშვილს წავუღე, წაიკითხავს და ვნახოთ, რას იტყვის.

ეს ამბავი გიორგი შატბერაშვილს ჯერ გაეხარდა, მერე ცოტა შეეშინდა: ვაითუ არ მოეწონოს ჩემი ლექსები მიხეილ ჯავახიშვილს, მაშინ რა წყალს მივცე თავიო. მე ხომ მწერლობა მიტაცებს და სხვა არა მინდა რაო. თუმცა რა წინდაწინ ვიხეთქავ გულს, ვნახოთ რას იტყვის – დაიიმედა თავი დამწყებმა პოეტმა და სახლისკენ გასწია. საბედნიეროდ, ლოდინმა დიდხანს არ მოუწია. მიხეილ ჯავახიშვილი თვითონ ეწვია თავის ძველ მეგობარს, ლექსების რვეული დაუბრუნა და უთხრა:

– გადაეცი შენ ნათლულს, რომ ბევრი იკითხოვს მხატვრული ლიტერატურა და ლექსის ტექნიკაზე იზრუნოს. დანარჩენი კონკრეტული შენიშვნები რვეულშივე გავაკეთე.

გენერალმა სასწრაფოდ დაიბარა ნათლული, დღევით სახე-აწითლებულ პოეტს რვეული დაუბრუნა და უთხრა:

– აჰა, შენი რვეული, მიხეილ ჯავახიშვილის შენიშვნები და რჩევა გულდასმით წაიკითხე, ისე კი მწერლობა მძიმე ტვირთია, მისი ზიდვა იოლი არ გეგონოს, – შემდეგ ხანდაზმული მწერალი ამ საბედისწერო მომენტს ასე მოიგონებს: „მუხლები მითრთოდა. რად უნდა გამტეხოდა გული? რა მოხდა? რა ამბავია ჩემს თავს?...“

გზადაგზა ვკითხულობდი შენიშვნებს, მერე ლექსებს, მერე საერთო დასკვნას – „ნიჭი მოჩანს, მაგრამ ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევნი. ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას და ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები. ეს ლექსები ძველი ტექნიკით არის დაწერილი, ეხლა ასე აღარავინ წერს. თუ იბეჯითა გაიმარჯვებს, ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს. გულს ნუ გაიტეხს: ჯერ შრომა, შრომა და ისევ შრომა. მ. ჯ.“

ეს ამბავი 20-იან წლებში მოხდა, როცა საქართველო ბოლშევიკების მიერ ახალი დაპყრობილი იყო და რუსული ჩექმის ქვეშ მწარედ გმინავდა და სისხლისაგან იცლებოდა. ამ არეულ დროს სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჭკუანადრძობ მწერალთა მთელი თაობა, რომელთაც პროლეტმწერლები ეწოდებოდა. მათი

პოეტური და ადამიანური კრელოს დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ პროლეტმწერალთა ტიპიური წარმომადგენელი გიორგი ფეოლოსიშვილი, რომელსაც რევოლუციის გულისთვის მშობლების ყელის გამოღადვრა არაფრად უღირდა:

მე მოვკლავ დედას,
მე მოვკლავ მამას,
რევოლუცია თუ
მიბრძანებს ამას.

ასეთი ანომალური მოწოდების შემდეგ მკითხველს აღარ გაუკვირდება მეორე „ჭკუათმყოფელი“ პროლეტმწერლის ფრიდონ ნაროუშვილის შემდეგი ლექსი:

კიდევ მეშხანი... „ქართველი ქალი“,
შავ-თმა ხუჭუჭა, ქართველოსანი,
„ქართული“ მიწის, როგორც წუნკალი,
დინგით მოხრელი და მისი მგოსანი.
მაშინ როდესაც ინტერნაციონალს
ფართოდ გაუღეს „ერებმა“ კარი...

თუ რა ხეირი დააყარა ქართველ ხალხს „ფართოდ გაღებულმა ინტერნაციონალის კარმა“, ეს ბოლშევიკების წაწყმედილ სულს მოეკითხოს. ამ გადაგვარებულ ქართველებს საქართველოს ეროვნული საზღვრებიც კი არ სწამდათ.

მე აღარ ვიცი, თუ სად თავდება
და სად იწყება „სომხური მტკვარი“,
მოსპო საზღვარი „ტეტი“ გლეხმაც,
გლეხმაც გადაჭრა მიჯნის პრობლემა,
მაგრამ პროფესორს აწუხებს ეხლაც,
მიჯნა სომხებთან სად იმყოფება,
და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“
კაციჭამია კოტეტიშვილი –
პლეადა წუნკალ შოვინისტების.

თურმე სამშობლოს ისტორიული საზღვრის ძიება სირცხვილი ყოფილა და ამ „სათაკილო“ საქმეს ჩადიოდა სულმნათი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც თხოვნით მიმართავდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მეზობელი რესპუბლიკის, მთავრობის ხელყოფისა-

გან დაეცვა ძირძველი ქართული მიწა-წყალი – ჯავახეთი. ახლა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი პოეტი, თუ შეიძლება ის ქართველად მოიხსენიო, გამოჩენილ მეცნიერს და მამულიშვილს ვახტანგ კოტეტიშვილს „კაციჭამიას“ უწოდებს.

გიორგი შატბერაშვილის ბედისწერა იყო, რომ ამგვარ პოეტთა გვერდით მოუწია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. მაგრამ წითელმა ლიტერატურულმა ტალღამ მას ვერა დააკლო რა და მის პოეზიაში მფეთქავი ეროვნული მაჯისცემა ვერ მოაღუნა. ამაზე მიგვანიშნებს პოეტის მიერ მოგვიანებით ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „მიყვარდა ისტორია და დიდ სიამოვნებას მანიჭებდა წიგნების კითხვა. ვკითხულობდი და ვეღარ ვძლებოდი „ქართლის ცხოვრების“, „კალმასობის“ კითხვით... მუდმივი ჩხირკედელაობა, ამა თუ იმ სიტყვის ამოწერა და ახსნა ყოველდღიურ მოთხოვნილებად მქონდა გადაქცეული. ეს უფრო მეტ სიამოვნებას მგვრიდა, ვიდრე საკუთარი მხატვრული შემოქმედებისათვის ახლის მიმატება. ალბათ იმიტომ, რომ იძულებით ვწერდი, ვწერდი უფრო ხშირად იმას, რისკენაც გული არ მიმიწევდა. მაგრამ ეს ჩემ ძირითად ეროვნულ ხაზს ახლოს არ გაკარებია“.

აქ ყველაფერი ზუსტად და გულახდილად არის ნათქვამი.

...მართალია, გიორგი შატბერაშვილი თბილისში დაიბადა, 1910 წლის 14 აპრილს, მაგრამ მშობლიურ თვალადს არასდროს მოწყვეტია და ლაღად იზრდებოდა კავთურას ნაპირებზე. „ზამთრობით თბილისში ვცხოვრობდით. მამა მსახურობდა. ბებია და პაპა მუდმივად სოფლად ცხოვრობდნენ, მე ისინი თბილისში ჩამოსული არ მახსოვს. სოფელში ზამთრობითაც მივდიოდით დღესასწაულებსა და არდადეგებზე, როცა უკვე მოსწავლეები გავხდით. კარგია ზამთრობით სოფელი. უთოვლო ზამთარი არ მახსოვს, იქნებ იყო კიდეც, მაგრამ მუდამ თოვლიანი მესახება ჩემი თვალადი. მარხილით ტყეში წასვლა შემაზე, ციგაობა. სარკესავით კრიალა ყინულზე სრიალი კავთურას ხეობაში. საღამოობით თბილ ბოსელში ბუხართან ჯდომა, შაირობა, ზღაპრები. მეზობლის ბიჭებთან ძმებივით ვიზრდებოდით. ადრე, იმ ბუხართან გავიხილი ზღაპრები და ხალხური ლექსები ახლაც ცოცხლობენ გულში. სხვა, შემდეგ წიგნში წაკითხული – დრომ წაიღო“ – იგონებს მწერალი.

თვალადი, ქართლის სოფლის განსახიერებაა და ბოლომდე დარჩა როგორც მწერლის სანუკვარ ოცნებათა თავშესაფარი. აქ, დედის – თამარ გოგიბეღაშვილის მეოხებით მწერალი დაეწაფა ხალხური პოეზიის წყაროს. აღარას ვამბობ „თვალადური ქართულის ჭაშნიკზე“. გამრჯე გლეხის მონდომებით აგროვებდა ქართულ სიტყვას. ამიტომაც მისი მხატვრული ქმნილებების ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გიორგი შატბერაშვილი იმთავითვე გამოირჩეოდა თავის თაობის მწერლებისაგან, რომელთა უმეტესობა პროლეტმწერლები იყვნენ და თავიანთ უნიჭო, ე.წ. პოლიტიკურ ლექსებს უბადრუკი ქართულით წერდნენ...

პირველი ნაბიჯები, პირველი ლექსები, პირველი პოეტური წარმატებანი. ნელა, დინჯად, მაგრამ მტკიცედ მიაბიჯებს ახალგაზრდა გიორგი შატბერაშვილი სამწერლო ასპარეზზე. ოცდასამი წლის უკვე პიესას („დუშმანი“) წერს და რუსთაველის თეატრში 1934 წელს დგამს. გულისფანქვალთ მიდის გენერალურ რეპეტიციაზე, მაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი ახალგაზრდა დრამატურგი. მას არცთუ შესაშურად აცვია, ფეხზე წითელი სპორტული ფეხსაცმელები ალისფრად ელავს. მორცხვად ჯდება პარტერის ბოლო რიგში, საზოგადოებას ერიდება. აბა რა ქნას, ჯერ თავის ჩაცმულობის რცხვენია, მერე მისი სათაყვანებელ ადამიანთა კრებულის. აგერ, წინა რიგში, მხარბეჭიანი ხუჭუჭათმიანი სანდრო ახმეტელი მოჩანს. მის გვერდით პატარა, მხრებში მოხრილი კაცი ზის, ეს ხომ მიხეილ ჯავახიშვილია.

– კიდევ დაკარგა ერთი საღამო, ჩემი გულისათვის, – გაიფიქრა გიორგი შატბერაშვილმა. სპექტაკლი კი მიდის. მხრებში თავჩარგული ახალგაზრდა დრამატურგი გაბრუებული ადევნებს თვალს. სპექტაკლი დამთავრდა. მიხეილ ჯავახიშვილმა სიტყვა მოითხოვა. წამოდგა და დინჯად დაიწყო სპექტაკლის გარჩევა. ის თავის სტიქიაშია და პიესის ენობრივ ლაფსუსებს ზედმიწევნითი სიზუსტით აღწესნავს. ენა ქართული მისთვის სიცოცხლეზე უფრო მეტია და ამიტომ მის ოდნავ დამახინჯებას არავის არ აპატიებს. განუყრელ უბის წიგნაკში იყურება და შენიშვნებს კითხულობს – „ის ბიჭები ძალიან მიყვარან“ ეს არ შეიძლება, უნდა ვთქ-



*ვ. შატბერაშვილი, ვ. ბოჭორიძე, ნ. მელიქიშვილი, ს. თაქთაქი-
შვილი, დ. მაისურაძე. 1926 წ.*

ვით: „ბიჭები მიყვარს, მშობლები მიყვარს, „მიყვარან“ კუთხურია“. შენიშვნები გრძელდება. „სანდრო ახმეტელმა უკან მოიხედა, თითო დამიქნია და დამიძახა: ეი, ქართლელი, კარგად დაიხსომეო... მე თავი ჩავლუნე. ახლა ავტორი გაგვაცანით, თქვა მიხეილმა. ახმეტელმა მანიშნა, მე ჩემს წითელ სპორტულებს დავხედე...

მიხეილმა ხელი გამომიწოდა, გამხდარი, ძლიერი ხელი, დაკვირვებით შემომხედა. მერე, სათვალის მინის იქით დავინახე როგორ მოხუჭა ცალი თვალი. ოდნავ, შეუმჩნევლად... ხსოვნის სვეულებში ჩაიძირა“.

ვინ იცის, იქნებ გაახსენდა გენერალი მაზნიაშვილი, საერთო რვეული, ახალბედა პოეტის ლექსები და თავისი დასკვნა... მაგრამ დრო იყო საშიში, დაუნდობელი, ამიტომ გაჩუმება არჩია.

პრესა თითქოს ქებით შეხვდა ახალგაზრდა დრამატურგის წარმატებას. „არავის არ შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ჩვენში დრამატურგიამ აღმავლობის ხაზით ძალიან სერიოზული

ნაბიჯები გადადგა. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწერა ისეთი პიესები, როგორცაა ალ. მამაშვილის „განგაში“, გ. შატბერაშვილის „დუშმანი“ და სხვა“. – წერს კარლო მელაძე, მაგრამ ემშაკს არ სძინავს, სძინავს კი არა, ახალგაზრდა მწერლის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებს და სწრაფად მთარბენინებს „იქ“. ოციანი წლების ბოლოდან გიორგი შატბერაშვილს საგანგებო კომისია („ჩეკა“) „მზრუნველად“ ადევნებს თვალს. მიჩენილი ყავდა მისი თაობის პოეტი. ამ პოეტის სახელი და გვარი ჩეკას აგენტურულ განყოფილებაში „ნავის“ მეტსახელით იყო დაშიფრული. ის გადაიბირა და აგენტად აიყვანა ჩეკისტმა ივანე კიკნაძემ. განსაკუთრებით გაუძლიერეს თვალთვალი 1932 წლიდან, როცა მწერალთა სასახლეში ერთ-ერთ სხდომაზე მიხეილ ჯავახიშვილი და მისი შემოქმედება ჯვარს აცვეს. სხდომის დარბაზში მყოფმა გიორგი შატბერაშვილმა ამდენი უსამართლობა ვეღარ აიტანა და ტრიბუნაზე მოლაქლაქე ერთ ცნობილ კრიტიკოსს რეპლიკა ესროლა.

– „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილემ დააწერინა მიხეილ ჯავახიშვილს და არა შენმა კრიტიკამო!

პრეზიდენტში მჯდომმა მიხეილ ჯავახიშვილმა დარბაზს გაკვირვებით გადახედა, თვალთ მოძებნა გაბედული რეპლიკის ავტორი, ერთხანს უმზირა და მერე მოწონების ნიშნად თავი დაუქნია. ეს მოძრაობა არ გამოპარვია არც პრეზიდენტს და არც დარბაზს, მით უმეტეს გიორგის უკან მჯდომ „ნავს“. სხდომა დამთავრდა თუ არა, გიორგი მეგობრებთან ერთად ქუჩაში გავიდა. ამ ჯგუფში წითელი გველივით შესრიალდა „ნავი“ და ყურები ანტენასავით დაიგრძელა. გიორგის ყოველი სიტყვის დამახსოვრებას ცდილობდა. შიგადაშიგ ისეთ კითხვას აძლედა, რომ ისედაც აღზნებული გიორგი კიდევ უფრო აინთებოდა ხოლმე და თავის აზრს გულმხურვალედ ამბობდა:

– არა, ძმაო, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ეპოქალური ნაწარმოებია, მისი ავტორი უკვდავია, ვიდრე ერთი ქართველი იქნება ამ ქვეყანაზე. კბენა, ლანძღვა-გინება მარადისობას ვერას დააკლებს, მე ეს მჯერა – ახალგაზრდული თვითდარწმუნებით თქვა გიორგი შატბერაშვილმა და გრიგოლ აბაშიძეს გადა-

ხედა. გრიგოლმა ღიმილით დაუდასტურა და თანამოკალმეებს თვალი შეავლო. ყველა აღზნებული იყო, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და პირში ეჩრებოდნენ. ასე ყაყანიოთ და გნიასით მივიდნენ მაჩაბლის ქუჩის კუთხემდე და მოედნისაკენ დაეშვნენ. მოედნის კუთხეში „ნავი“ შეუმჩნევლად გამოძვრა ჯგუფიდან. ქალაქის საბჭოს წინ გაიარა და ველიამინოვის ქუჩაზე შეუხვია. დასაწყისშივე იდგა ტელეფონ-ავტომატი. მივიდა, ნომერი აკრიფა, ყურმილს ხელი მიაფარა და ხმადაბლა ჩასძახა:

– ალო, ალო, „ნავი“ ვარ, საჭიროა შეხვედრა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც.

ყურმილში ჩეკას განყოფილების უფროსის ივანე კიკნაძის ხმა გაისმა:

– ხვალ 14 საათზე მოდი შეხვედრის ადგილზე.

მათი შეხვედრის ადგილი იყო სასტუმრო „თბილისის“ 209-ე ნომერი ოთახი. „ნავი“ ზუსტად დათქმულ დროზე იჯდა მეორე დღეს 209-ე ნომერში და ივანე კიკნაძეს წინა დღით მწერა-ლთა კავშირში ჩატარებული სხდომის ამბებს დაწვრილებით გადასცემდა. განსაკუთრებულ გულმოდგინებას გიორგი შატბერაშვილის დაბეზლებაში იჩენდა. შავი საქმე რომ მოათავა, რაღაც სიცარიელე იგრძნო და მოიწყინა. ეს კი ჩეკისტის დაგეშილ თვალს არ გამოპარვია და უთხრა: რატომ მოიწყინე, შენ კომკავშირული მოვალეობა შეასრულე. პარტია და მთავრობა ამ ამავს არ დაგივიწყებს. ახლა კი, ეს ოცი მანეთი იკმარე, მერე უფრო მეტს მიიღებ. წიგნის გამოცემაშიც უეჭველად დაგეხმარებით. შენ მარტო დროზე მოამზადე და სახელმწიფო გამომცემლობას ჩააბარე, დანარჩენი ჩვენ ვიცით. ამ სიტყვებით გახალისებული „ნავი“ ოთახიდან ცუნცულთი გავიდა.

ივანე კიკნაძე ერთხანს ფიქრებში ჩაიძირა, შემდეგ ოთახში გაიარ-გამოიარა. ის ახლად აყვანილ პოეტ აგენტს, „დილას“ მოელოდა. მართლაც, არ გასულა დიდი დრო, კარებზე მორიდებული კაკუნი გაისმა. ივანე კიკნაძემ კარი გამოაღო. მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

– ჰა, როგორ არის საქმე? – ჰკითხა ივანე კიკნაძემ. „დილამ“ თითქმის იგივე შინაარსის ინფორმაცია გადასცა, რაც „ნავმა“.

ივანე კიკნაძემ „დილა“ აღარ დააყოვნა და გაუშვა. მერე ჩეკაში წავიდა, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა უფროსობას მიხეილ ჯავახიშვილის და გიორგი შატბერაშვილის შესახებ, მათ დოსიეში ინფორმაცია ჩაწერა და თავისი „მუშაობით“ კმაყოფილმა შინისაკენ გასწია.

მთელი 1933 წელი გიორგი შატბერაშვილი პიესა „დუშმანზე“ მუშაობდა. როგორც ვთქვით, ეს პიესა რუსთაველის თეატრმა დადგა და წარმატება ხვდა წილად. მაგრამ, ვაი ასეთ წარმატებას. სპექტაკლის რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმის ფაქტმა გიორგი შატბერაშვილის „მზრუნველები“ შურით აავსო და გააღიზიანა. ახლა „ნავი“ და „დილა“ ტყუილ და მართალ ინფორმაციებს გამალებული აწვდიდნენ ჩეკას. ჩეკას შესაბამისმა განყოფილებამ, მწერლობას რომ „პატრონობდა“, ამ სპექტაკლზე რეცენზიის დაწერა ივანე კიკნაძეს დაავალა, რაც დიდი მონდობებით შეასრულა კიდეც. რეცენზია გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (1934 წ., №16). ამ ჩეკისტურ რეცენზიაში ყველაფერი უკუღმა იყო დანახული. მას ამჟამად ეტყობოდა, მწერლობაში ჩაუხედავი, უვიცი კაცის ნაცოდვილარი რომ იყო. გიორგი შატბერაშვილს თავზე მეხივით დაეცა ივანე კიკნაძის ეს „კრიტიკული“ რეცენზია. ჯერ დაიბნა, შემდეგ გონს მოეგო და პასუხი დაწერა: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მიიტანა გამოსაქვეყნებლად. მაგრამ აწყობილი პასუხი უხილავმა ძალამ გვერდიდან ამოიღო. გამოცდილი კაცი უმალ მიხვდებოდა ჩეკას ყოვლისშემძლე ხელს, მაგრამ ასეთ საქმეში გამოუცდელი ახალგაზრდა მწერალი რედაქტორს დაემდურა და თავის პასუხი ცეკაში მიიტანა. ამის შესახებ ხანდაზმული მწერალი მოგვიანებით თვითონვე იტყვის. მაშინ კი ბელის ირონიის წყალობით ეს ე.წ. რეცენზენტი გიორგი შატბერაშვილს ჩეკაში გამოძიებლად მოეკლინა... მანამ კი გიორგი შატბერაშვილი თბილისის ქუჩებში დასეირნობს და მწერლობაზე ოცნებობს. თუმცა, ბელასლი ივანე კიკნაძის რეცენზიის შემდეგ, აღარ იცის, მის თავს რა ხდება. თითქოს ვიღაც უჩინარმა დირიჟორმა ჯადოსნური ჯოხი მოიქნია და გაზეთები მისი სალანძღავი წერილებით აავსო.

შეკვეთილმა კრიტიკამ მიზანში ამოიღო გიორგი შატბერაშ-



ფოტო გადაღებულია 1929 წლის ივნისში ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ფრიდონ ნაროუშვილი, ალიკა სულავა, ალიო მამაშვილი, ირაკლი აბაშიძე და კალე ბობოხიძე. მეორე რიგში: ნიკა აგიაშვილი, გიორგი კაჭახიძე და ვლადიმერ ლუარსაბიძე. ფოტო კოტლოვის.

ვილის ლექსები „წერილი ახალგაზრდობას“ და „დასაწყისი განთიადისა“. ეს ლექსები გამოცხადდა ანტიისაბჭოთა ნაწარმოებებად. თუ როგორი „მაგნებლური“ შინაარსისანი იყვნენ ეს საბედისწერო ლექსები, ამას მკითხველი გაეცნობა იმ რეცენზიების და შეფასებების მიხედვით, რომელთა ფრაგმენტებს ახლა გთავაზობთ. მათ ცოტა ვრცლად წარმოვადგენთ, რადგან გვინდა მკითხველმა თვალნათლივ ნახოს, თუ როგორ იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი მწერლის დასაპატიმრებლად.

ივანე კიკნაძის შემდეგ, პირველი კრიტიკოსი, ვინც წამოიწყო დამბეზღებლური კამპანია გიორგი შატბერაშვილის წინააღმდეგ, იყო ვანო წულუკიძე. სტატიის სათაურიც კი გვამცნობს მის

მტრულ პოზიციას – „სკეპტიციზმის შხამით მოწამლული“. ვანო წულუკიძე, არც მეტი, არც ნაკლები, წერს: „მხოლოდ გადაშენებულ კლასებს მიაჩნიათ (მათთვის არის კიდევ) უკლასო საზოგადოების მშენებლობის ეპოქა ქარიშხლიან შემოდგომად და სუსხიან ზამთრად. მხოლოდ მათი პირიდან თუ ამოვა ასე ნაღვლიანი სასომიხდილი სიმღერა. გ. შატბერაშვილი გახდა მათი განუკურნავი ტკივილების გამომხატველი. მათი ოდნავი მბჟუტავი იმედის საყვირი. ასეთია ამ ლექსის, „წერილი ახალგაზრდობას“ ნამდვილი დედააზრი. ასეთია ამ ლიტერატურული ფაქტის პოლიტიკური ექვივალენტი.

ჩვენ გაბედულად უნდა ვამხილოთ და გავანადგუროთ ყოველგვარი მტრული ძალები ჩვენს ლიტერატურაში“.

ასეთ ბინძურ რეცენზიას ზედიზედ მოჰყვა კიდევ უფრო უხამსი წერილები. მათში რელიეფურად მოჩანს პარტიული, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ჩეკისტური დიქტატი დ უსაზღვრო ტენდენციურობა.

ვფიქრობთ, იმის ნათელსაყოფად, თუ ხსენებული ლექსები როგორ გამოხატავენ ანტისაბჭოთა განწყობას, უმჯობესია მკითხველს ერთი მათგანის შინაარსი მაინც გავაცნოთ, შემდეგ კი მივხედოთ მათზე გამოქვეყნებულ რეცენზიებს. მოვიტანთ ნაწყვეტს. „წერილი ახალგაზრდობას“.

ის მოგონებით ვერ შეგვაშფოთებს,
რა არის ჩვენთვის ბავშვობის დღენი
შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს,
ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!
მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან,
არ განუცდიათ პირქვე დაცემა,
ჩვენ ჭაბუკები ერთად ვყოფილვართ,
ერთად შევესწროთ დავაჟაკაცებას!..
აიყრებიან შემდეგ შტოები
ქარში, წვიმაში, რტოგაუხრელად,
გაშლიან ჩრდილებს განმარტოებით,
და დადგებიან განზე მუხებად!
და თუკი სხედან ბუდეში სადმე

ნორჩი ბარტყები ქარიშხლებისა,
 ეტყვიან ქებას ამ წელიწადებს
 და არწივებად აიშლებიან.
 დავდივარ ქვეყნად... ასე შევხარით,
 ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
 და ახალგაზრდებს, სულით ჩვენ გვარებს
 შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!
 ჩვენ ვართ ფერები გაზაფხულის ჟამს
 ცაზე გაჩენილ ცისარტყელების,
 ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს,
 ვინც მიგვიძლოდნენ გზებზე ხველებით...
 ვინც სახრჩობელას არ დაერიდა,
 და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს,
 ვინც დამხობილის შეცვალა ოხვრა,
 გაშლილ დროშებზე დაწერა ჯანყი;
 ვინც მოუხმობდა ყოველი მხრიდან
 რჩეულ ვაჟკაცებს დროშების ირგვლივ,
 ვინც გადალახა ბნელი კატორლა,
 და გაიტანა ხალხში ნაჯახი!
 ციმბირის გზებზე, კატორლის გზებზე,
 შემხმარი სისხლი მღუდარე ლოდზე
 ყოველი წვეთი ჩვენს ძარღვს დაეძებს
 გამოდის ჩვენში და მოგვიწოდებს:
 ახ, მეგობარო!
 ცხელ უდაბნოში
 ჩამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა,
 მოგვაგონებდეს სულს შემფოთებულს,
 სულს – ამბოხებულს და მიუსაფარს!
 კატორლის გზებზე, ციმბირის გზებზე,
 სადღაც ნაპოვნი გამხმარი ქალა –
 ჩვენ შემოგვცქერის...
 ვჩერდებით დიდხანს,
 მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან...
 იქნებ იმედის ახარებს შუქი,

შემორჩენილი ვით ბედისწერა,
რომ არა, ერთი მგზავრი ჭაბუკი,
მისი თვალებით დაიწყებს ცქერას!
დაბადებულნი,
მოსულნი ადრე –
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
გვწამს,
– ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს,
შევზვდებით სადმე დიდ მომავალში!

ამ „დანაშაულებრივი“ შინაარსის შემცველ ლექსს ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა მწერალთა კავშირის მაშინდელი ერთ-ერთი მესვეური დავით დემეტრაძე – „დაკარგული იმედები (გ. შატბერაშვილის ლექსის „წერილი ახალგაზრდობას“ გამო)“.

დავით დემეტრაძემ ახალგაზრდა პოეტი კლასობრივ მტრად გამოაცხადა. „ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურაშიც პოულობს თავის გამოხატულებას. თუ წინა ეტაპზე კლასობრივი მტრები მხატვრულ ლიტერატურაში ამკარად გამოდიოდა პროლეტარული პოზიციების წინააღმდეგ, დღეს იგი უკვე იცვლის თავისი ბრძოლის ფორმებს. დღევანდელ პირობებში კლასობრივი ბრძოლის მეთოდები ფარულია და მეტად მოქნილი. იგი ნიღაბამოფარებული გამოდის. ჩვენი კრიტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დროზე ამხილოს კლასობრივი მტრის ახალი მანევრები, ნათლად გვიჩვენოს მთელი ამ ბრძოლის მიმართულება და მთავარი გეზი“.

დიახ, გიორგი შატბერაშვილი კლასობრივ მტრად გამოცხადდა. ის თავის მხატვრულ შემოქმედებაში ფარულად და მოქნილად აწვდის მკითხველს ანტისაბჭოთა აზრებს. წითელი კრიტიკის ამოცანა არის ამ პირის სხლიანი მტრის მხილება. „ჩვენ ერთ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ, სახელდობრ იმას, რომ ჯანსაღი, იდეურად მტკიცე ფენებთან ერთად (კონ. ლორთქიფანიძე, ფრ. ნაროუშვილი და სხვა), ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაში ვზვდებით ხოლმე ისეთ ელემენტებს, რომლებიც ხშირად მერყეობენ (გ. შატბერაშვილი), შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოხატავენ კლასობრივად უცხო გავლენებს, განიცდიან კულაკურ

იდეოლოგიის დაწოლას“.

მივყვით ამ ე.წ. რეცენზიას. ასეთი „თეორიული“ შესავლის შემდეგ ავტორი მკითხველს აწვდის გიორგი შატბერაშვილის ლექსის „წერილი ახალგაზრდობას“ კრიტიკულ ანალიზს და წერს: „ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ-ერთ ახალგაზრდა კომკავშირელი* პოეტის ნაწარმოებზე. ეს არის გ. შატბერაშვილის ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“, რომელიც „სალიტერატურო გაზეთის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა (1934, წ. №14). ეს ლექსი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გამოხატავს კლასობრივად უცხო განწყობილებებს, ანვითარებს ჩვენს ახალგაზრდობაზე მანვე შეხედულებებს, და საერთო განცდათა ისეთ კომპლექსს იძლევა, რომელიც არ შეიძლება კომკავშირელი მწერლისათვის იყოს დამახასიათებელი.

გ. შატბერაშვილს ყოფნის გამბედაობა, გაუმართლებელი პრეტენზიით მიმართოს ახალგაზრდობას წერილით. აი, რას ვკითხულობთ ამ ლექსის სახით დაწერილ წერილში:

**დავდივარ ქვეყნად...ასე შევზარით,
ვეტრფილებით მომავლის აჩრდილს
და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში.**

(ხაზი ჩვენი, დ. დ.)

დამახასიათებელია, რომ მთელი ლექსის მანძილზე ლაპარაკია მხოლოდ გაურკვეველ „დიდ მომავალზე“, თითქოს ჩვენი ახალგაზრდობის აწმყო, დღევანდელი დღე არ იყოს, ღირსშესანიშნავი, დიადი თავისი გმირული ბრძოლით ახალი ქვეყნის შენებისათვის. ის, რაც სიყრმის დროს შატბერაშვილს ეხატებოდა, ცხოვრებამ არ გაამართლა.

გზა გაშლილია არა ვარდების,
არა დაფნების, როგორც ოდესღაც
ხატავდა სიყრმის შარავანდელი.

რატომ არ არის ჩვენი ახალგაზრდობის გზა სინარულის – ენთუზიაზმის გზა? შეიძლება „სულით“ იმგვარ ახალგაზრდას,

შენიშვნა: * გიორგი შატბერაშვილი კომკავშირელი არ ყოფილა (ბ. ა.)

როგორც თვით ავტორია, რაღაც ფარული კაემანი აწუხებს, არ გაუმართლა იმედები, მაგრამ რა შუაშია აქ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა?

ჩვენ ვართ ფერები გაზაფხულის

ჟამს

ცაზე გაჩენილ ცისარტყელების

ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ

ნიშანს,

ვინც მიგვიძღვოდნენ გზაზე ხველებით,

ვინც სახრჩობელას არ დაერიდა

და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს.

გ. შატბერაშვილი მთელი ლექსის მანძილზე ცდილობს დამლოს და არ გახსნას მისამართი იმათი, ვინც მიუძღვოდა „სულით მისგვარ ახალგაზრდებს“ გზაზე ხველებით, რა „გმირულ ნიშანს“ აედევნენ ისინი. ლექსის შინაგანი მოტივები, ავტორის ფარული მწუხარება აშკარად ხდის, რომ ეს „გმირული ნიშანი“ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის ნიშანი არ არის. უდავოა, რომ ამ ლექსში შატბერაშვილი ძალიან „მაგრად“ გამოხატავს კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთების სევდას „სხვა მომავალზე“.

საქმე იმაშია, რომ მთელი ბუნდოვნება ლექსში, ჯამბაზური ქანაობა ორ უკიდურეს წერტილს შორის, საუკეთესო მაჩვენებელია, თუ როგორი მტრული ძალების ნამსხვრევები გველაპარაკებიან დღეს დაფარული, ორაზროვანი ენით და ნილაბამოფარებული იჭრებიან ჩვენ პრესაში.

გ. შატბერაშვილი უხმობს განადგურებულ მტრულ ძალთა აჩრდილებს და მათ მომავლის აჩრდილებად სახავს. განა შეიძლება კომკავშირელმა პოეტმა ასეთი ენით წეროს? აი, ამიტომ დავაყენოთ ჩვენ საკითხი ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის სოციალური ძირების შესახებ.

შემთხვევით არ არის ის მეტად დამახასიათებელი მომენტი, როცა კულაკი ზოგჯერ ჩვენს ლიტერატურაში წარმოდგენილია, როგორც უაღრესად ტრაგიკული ფიგურა, რომლის სულიერი ტანჯვის გადმოცემაზე განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობს

ზოგიერთი მწერალი (გ. შატბერაშვილი), კულაკური სამყარო გახსნილია მთელი სისრულით, მაშინ როდესაც დადებითი გმირები, ერთგვარ ფონს წარმოადგენენ ან სქემატურად განყენებულად არიან მოცემულნი.

გ. შატბერაშვილის დაფარული სევდა, ტრაგიკული მოტივები, ეს არის უსათუოდ კულაკობის აგონიის გამოხატულება.

ჩვენი ბრძოლა კულაკური აგენტურის წინააღმდეგ წარმოებული იქნება მთელი სიმკაცრით.

უსათუოდ შეცდომა იყო ამ ლექსის გამოქვეყნება. ამავე დროს კი მან გახსნა, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, მეტად დამახასიათებელი პროცესები ჩვენს ლიტერატურაში. გულმოდგინეთ უნდა შევამოწმოთ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალთა კლასობრივი სახე, გავარკვიოთ მათი სოციალური ძირები და თავის დროზე გაბედულად ვამხილოთ მავნე ტრადიციები, რომელთაც ისინი გამოხატავენ“.

მართალია, ცოტა გრძელი ამონარიდების მოტანა მოგვიწევს, მაგრამ მათი შინაარსის გადმოცემას ეს გზა ვარჩიეთ, რათა თანამედროვე მკითხველს უფრო მძაფრად ეგრძნო ჟანდარმული სტილით დაწერილი ე.წ. რეცენზიების შინაარსი.

კიდევ უფრო ვრცელი და დაუზოგავი სტატიით გამოვიდა კარლო ორაგველიძე „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია“. მასში ხსენებული ლექსებია განხილული... თუმცა სჯობია მოვიტანოთ ამ „მამხილებელი“, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, „დამბეზღებლური“ წერილის დამახასიათებელი ამონარიდი: „არის ზოგიერთი მწერალი, რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლებელია საბჭოთა მწერლის მანდატი იქონიო და ანტისაბჭოთა პროპაგანდა აწარმოო მხატვრული სიტყვის შემწეობით. ეს ისეთი მწერალია, რომელიც შეგნებულად გამოხატავს რა კლასიურ მტრების ნება-სურვილებს, ცდილობს აწარმოოს ფარული ბრძოლა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების წინააღმდეგ.“

აქ ჩვენ შევჩერდებით ერთ ასეთ მწერალზე – ახალგაზრდა პოეტ გ. შატბერაშვილზე. გასულ წელს (1934) გ. შატბერაშვილმა დასტამბა ორი ლექსი: „დასაწყისი განთიადისა“ (ჟურნ. „მნათობი“, 9) და „წერილი ახალგაზრდებს“ („ლიტ. გაზ“. №14),

რომლებიც არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ. ორივე ლექსი გაჟღენთილია ანტიისაბჭოთა სულით და ფაქტიურად წარმოადგენს კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაციას, პროგრამას. რომ ფარდა ავხადოთ გ. შატბერაშვილის რეაქციონერულ სულისკვეთებას, მის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ ლექსებში საჭიროა მათზე ცალ-ცალკე შევჩერდეთ“.

კარლო ორაგველიძე განხილვას იწყებს პირველი ლექსით, რომლის სათაურშივე ყოფილა გამჟღავნებული ამ ლექსის ფილოსოფია.

„შატბერაშვილის აზრით, განთიადი მხოლოდ უნდა დაიწყოს. ეს მომავლის საქმეა. აწმყოში კი ჩვენ განთიადიც არა გვაქვს. ყველაფერი მოცულია სუსხიანი ღამით.

არ ირხევიან ხენი არსაით
დგანან, ელიან არიჟრაჟებას,
უკანასკნელი შვიდი ვარსკვლავი
ლაჟვარდებიან ნამივით შრება...
და მნათობები მზის შესახვედრათ
გაყინულ სხივებს აჟღარუნებენ.

სუსხიანი ღამე უნდა შეცვალოს განთიადმა, უნდა გარიჟრაჟდეს, მზე ამოვიდეს და აი, შატბერაშვილი ქებას უძღვნის მზის ამოსვლას.

იდიდოს! იგი დინჯათ ამოვა
და სხივებს გამლის, როგორც შაირებს,
მზეს შესძახებენ პირველ სათხოვარს,
სადღეგრძელოს და მრავალჟამიერს!..

რომელ მზის ამოსვლაზე ლაპარაკობს ავტორი? რომელ მზეზე ოცნებობს იგი?

რა თქმა უნდა, არა სოციალიზმის მზეზე, რომელიც უკვე ამოვიდა. შატბერაშვილი ლოცულობს სულ სხვა მზეზე, რომელიც მხოლოდ მომავალში უნდა ამოვიდეს, რომელმაც უნდა შეცვალოს მისი აზრით ახლა არსებული ღამე.

შეგვიძლია დავარწმუნოთ შატბერაშვილი, რომ ის მზე, რომლის ამოსვლას ის უგალობს – არასდროს არ ამოვა, რომ ის განთიადი, რომლის დასაწყისზე ის თავის ლექსს წერს, არასოდეს

არ დაიწყება, რომ ის დიდი გზები, რომელთა მადევარი მას უნდა იყოს, მიიყვანს მას სამარცხვინო ბოლომდის“.

კრიტიკოსის აზრით, გიორგი შატბერაშვილისათვის ეს ლექსი შემთხვევითი არ ყოფილა, რასაც მოწმობს მისი მეორე ლექსი – „წერილი ახალგაზრდებს“. „ეს ლექსი ფაქტიურად დეკლარაციაა, მიმართული კულაკური ახალგაზრდობის მიმართ. ლექსი იწყება ახალგაზრდობის შექებით, ხოტბის შესხმით,

ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!?”

კარლო ორაგველიძე კითხულობს, რომელ ახალგაზრდობაზეა აქ ლაპარაკი, კომკავშირულ, დამკვერელურ და მშრომელ ახალგაზრდობაზე? შემდეგ თვითონვე პასუხობს – არავითარი კავშირი არ აქვს კომკავშირულ ახალგაზრდობასთანო, ლექსის მისამართი ამკარად კულაკური, ანტისაბჭოთა ახალგაზრდობაა. ავტორმა კარგად იცის, რომ კულაკურ ახალგაზრდობას არანაირი გავლენა არ აქვს მშრომელ ახალგაზრდობაზე. შატბერაშვილმა ეს იცის. გ. შატბერაშვილს თავისი „სიბრძნე“, თავისი სავალი გზა აქვს. ეს სიბრძნე, ეს სავალი გზა განსაზღვრულია არა ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, არამედ კლასიკური მტრების მიერ. აი, „ფოთლების რჩევა“, რომელსაც ლეულობს ავტორი.

მთელი სიბრძნე ჭალაროსანი,
იარე უკან ნუ დაბრუნდები...
იარე მარად, არ შეგიცოდებ,
მე აქ უაზროდ ჩემთვის ვშრიალებ,
ხან მწუხრის ქარი შემირხევს ფოთლებს,
ხან გარიჟრაჟი შემაჟრიალებს...
იყავი დიდი გზების მღევარი,
გულში სხვა ხმები იბადებიან...

ვინ არის ეს ჭალაროსანი, რომლისგან შატბერაშვილი სიბრძნეს ლეულობს? არა ჩვენი პარტია და ხელისუფლება, არამედ ჩვენი კლასობრივი მტრები.

როგორია ის დიდი გზები, რომლის მადევარია შატბერაშ-

ვილი.

არა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მიერ ნაჩვენები დიდი გზები, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ ნაჩვენები გზები. მან იცის, რომ ჩვენი კლასიკური მტრები დამსობილია, მაგრამ ის მაინც იმედს არ კარგავს:

მხოლოდ ლაჩარნი არ დამსობილან

არ განუცდიათ პირქვე დაცემა.

შატბერაშვილი ოცნებობს „დიდ მომავალზე“, ოცნებობს არსებული პირობების შეცვლზე და თავის იმედებს ის ამყარებს კულაკურ ახალგაზრდობაზე.

შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს,

ვარდობის თვეში გაშლიან ხენი.

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რა აზრი აქვს ამ „აჩრდილის გამოხმობას“, ანდა „ნაჯახის ხალხში გატანის“ ხსენებას ჩვენს პირობებში. პირდაპირ კონტრეკოლოაციური, ფაშისტური ლოზუნგია. აქ საბოლოოდ ფარდა ეხდება შატბერაშვილის რეაქციონურ სულისკვეთებას და ის გაშიშვლებული სახით გვევლინება ჩვენ“.

კარლო ორაგველიძის წერილს ბოლშევიკური შხამით არც მალაქია ტოროშელიძის სტატია ჩამორჩება – „მეტი სიფხიზლე (გ. შატბერაშვილის კულაკური ლექსების გამო)“.

ავტორი საზოგადოებას მოუწოდებს მეტი სიფხიზლისაკენ, რათა გიორგი შატბერაშვილისთანა კულაკურ-ფაშისტური იდეოლოგიის მქონე პოეტებმა არ შეაღწიოს საბჭოთა მწერალთა რიგებში და მშრომელთა შეგნება არ მოწამლონ ბურჟუაზიული შხამით. ამ კულაკურ-ფაშისტური იდეოლოგიით გაჟღენთილ ლექსებში (იგულისხმება „წერილი ახალგაზრდებს“ და „მოგონებები კახეთში ხეტიალისას (თ... ჩ-ლს)“) წერს მალაქია ტოროშელიძე – „კატორღის გზებზე, ციმბირის გზებზე“ ბოლშევიკების გარდა ისეთ „მებრძოლებსაც“ უვლია, რომლებიც დიდი აღტაცებით მიიღებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას, ხოლო როცა საქმე ასე მოეწყო და სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ შეარყია ისტორია, დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ. ესენი ყავს მხედველობაში ავტორს, როდესაც ლაპარაკობს: „კატორღის გზებზე... ციმბირის გზებზე,

სადაც ნაპოვნი გამხმარი ქალა ჩვენ შემოგვცქერის...“ მერე რა გუნებაზე აყენებს ავტორის ახალგაზრდებს ეს გამხმარი ქალა? „ვიწერდებით... იქნებ იმედს ახარებს შუქი, რომ არა ერთი მგზავრი ჭაბუკი მისი თვალებით დაიწყებს ცქერას“. ე. ი. გაიზიარებს მის მსოფლმხედველობას, რომელიც დღეს ასე სამარცხვინოდ არის ცხოვრებიდან გარიყული. ეს არის მენშევიკ-ესერული მსოფლმხედველობა, რომლის მიმდევრებმა მართლა იციან ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა მუდამ მიმართულია კაპიტალიზმის სადღეგრძელოდ და გ. შატბერაშვილის ეს ლექსები მაშინვე იქნა შემჩნეული და გაკრიტიკებული, მაგრამ პოეტისათვის ეს გაფრთხილება საკმაო არ გამოდგა. მას ისე ძლიერად აწვება მტრული განწყობილების ნიაღვარი, რომ ივიწყებს ოდესღაც კომუნისტურ ჰანგებზე აწყობილ თავის ლექსებს და სავსებით მოექცა კულაკურ-ფაშისტურ გავლენის ქვეშ. მეორე ლექსი „დასაწყისი განთიადისა“, სადაც მზის ამოსვლას და განთიადს აწი მოელის და ის, რაც უკვე არსებობს, ნამდვილ შუალამედ მიაჩნია“.

გიორგი შატბერაშვილის „მხილებით“ დაიწყო ახალი ტალღა „შენიღბულ მტერთა“ გამოსავლენად. ადრე საბჭოების მტრები თუ აშკარად მოქმედებდნენ, გიორგი შატბერაშვილში მათ სწორად დაინახეს ფარული მტერი. ეს იყო მწერლობის წინააღმდეგ რეპრესიების გაფართოების და გაძლიერების ახალი ეტაპი, რომლის ზენიტი გახდა ავბედითი 1937 წელი.

მალაქია ტოროშელიძე სვამს ასეთ კითხვას – როდის იყო გიორგი შატბერაშვილი გულწრფელი, როცა კომკავშირზე წერდა ლექსს თუ ამ ნაწარმოებში („წერილი ახალგაზრდობას“). მართლაც, ერთი შეხედვით ისეთი ლექსის ავტორი, როგორც არის „ავიტატორი“ (ეძღვნება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“) პოეტი ორთოდოქს კომკავშირელად შეიძლება მივიჩნიოთ. ის ლექსში ამბობს:

შენს სტრიქონებში ქარიშხალივით
გადმოდიოდა სუნთქვა ძნელადის,
მოღალატეთა ფიქრები მყრალი
არ დარჩენილა გაუცეცლავი...
შეაჩოჩოლე შხამით მფეთქავი

შოვინისტების ურდო დაშლილი
დახვალ ჭიდილში რკინის ბეთქართ,
დახვალ ბრძოლებში შიშველ დაშნებით.

ეს ლექსი აგიტაციურ-პროპაგანდისტული შინაარსისაა და მის მხატვრულ დონეზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ეს არ არის ამჯერად მთავარი, მთავარია ის, რომ ის წერს საბჭოური ცხოვრების ამსახველ ლექსებს კასპის ცემენტის ქარხანაზე და ასე შემდეგ. იყო ამ ლექსებში გულწრფელი გიორგი შატბერაშვილი? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, რადგან პოეტურ ასპარეზზე ვერ გაიკვლევდა გზას, უბრალოდ ნაწარმოებებს არ დაუბეჭდავდნენ, გასაქანს არ მისცემდნენ. ამიტომ იძულებულია შეასხას ხოტბა კომკავშირს და საბჭოურ ყოფას. მაგრამ ჭეშმარიტი დამოკიდებულება საბჭოურ ცხოვრებისადმი მაინც ვერ დამალა და გამოამჟღავნა ხსენებულ ორ ლექსში. ის კი არა, მწერალი ოთარ ჩხეიძე იმასაც ვარაუდობს, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ლექსი „დასაწყისი განთიადისა“ გიორგი შატბერაშვილმა მიუძღვნა 1924 წლის აჯანყების 10 წლისთავს. ის ფიქრობს, პირადად იცნობდა ეროვნულ გმირს ქაქუცა ჩოლოყაშვილს – ალბათ პოეტის ნათლიის გენერალ მახნიაშვილისგანო. ამ ლექსის გამო ის რეპრესირებული იქნა. მაგრამ გადარჩა, ცოცხალი დაბრუნდა, შემდეგ თუ ვინმე გაახსენებდა, „რისთვის გაწამესო, – გაიღიმებდა, ისიც მწარედ გაიღიმებდა და იტყოდა მწარედვე: აბა, რისთვისო. ხმას სდევდა ჟღერაი იღუმალი, ღიმილი მოსდევდა, კრთომი იღუმალი, ისეთი იღუმალი, რო დაგაფიქრებდათ... პოეტს დადი შერჩა, მძიმე და გაუნელებელი დადი. ლეგენდა ცოცხლობდა იმასთან ერთად, ლეგენდაი ერთი ლექსისა, ვითომ რო სატრფიალო ლექსისა – საემირო ნაწარმოებად რო ჩაუთვალეს, ცოცხლობდა და თუ შეახსენებდნენ: აენტებოდა დიდი თვალები, აენტებოდა, აუბრიალდებოდა, ჩაუქრებოდა მალევე ისევ, მყისვე, უმალვე, ჩაუქრებოდა, ჩაუნიავდებოდა, შემოატრიალებდა და მაინც ჰხედავდა ყოველ კუნჭულში ატუზულ მტარვალს, ნათლად ჰხედავდა“.

აკაკი ბაქრაძე ამ ლექსების შესახებ მართებულად შენიშნავს: „თითქოს ლექსი კომუნისტებს აღიღებს („წერილი ახალგაზრ-

დობას“). განა კომუნისტები არ არიან ისინი, ვინც სახრჩობელას არ დაერიდა, ვინც ემაფოტზე იდგამდა გვირგვინს, ვინც გაშლილ დროშაზე წერდა ჯანყს, ვინც გადალახა კატორღა და გაიტანა ხალხში ნაჯახი თვითმპყრობელობის დასამზობად და დაჩაგრულის გასანთავისუფლებლად? რა ვიცი, დღე და ღამე ამას ჩავგჩინებდნენ – ჩვენ, კომუნისტებმა გავაკეთეთ ეს და უცებ, როცა ლექსში ითქვა ის, რასაც თვითონ იკვეხნიდნენ, მოეჩვენათ, რომ პოეტი მათ წინააღმდეგ ამხედრდა“.

მოჩვენებით კი წითელ კრიტიკოსებს არაფერი არ მოსჩვენებიათ, მათ იგრძნეს – გიორგი შატბერაშვილი, მათი ჯილაგის არ იყო და აუყეფდნენ. სვაკებზე დაუწყეს ძიძგნა, ჯვარზე გააკრეს და გაწირეს. ერთი სიტყვით, თუ დროის სულისკვეთებას გავითვალისწინებთ, ასეთი ჩეკისტური რეცენზიების შემდეგ გიორგი შატბერაშვილის დაუპატიმრებლობა წარმოუდგენელი იყო.

1934 წელს, როცა გიორგი შატბერაშვილის წინააღმდეგ პერიოდულ პრესაში კამპანია გაჩაღდა, მას თვალთვალი გაუძლიერეს. „ნავი“ და „დილა“ მუდამ მის გვერდში იყვნენ და თითოეულ მის სიტყვას საკენკივით კრებდნენ და შინსახკომში მიაბრუნებდნენ. გიორგის ჩვეულებრივ ნათქვამში შეფარულ ანტიისაბჭოთა აზრს პოულობდნენ და გაზვიადებულ-გაბერილი შეფთან მიჰქონდათ. მათი ასეთი გადამეტებული ერთგულება გამოწვეული იყო ლექსების კრებულის გამოცემის დიდი სურვილით. გარდა ამისა, „დილას“ ბინა არ ჰქონდა და ქირით ცხოვრობდა. ივანე კიკნაძემ ბინის მიღების საქმეშიც დახმარება აღუთქვა. ასეთი დაპირებებით წახალისებულნი მარტო გიორგი შატბერაშვილს კი არა, ორ-სამ მწერალს ერთად დაინახავდნენ თუ არა, უმაღლეს მათ გვერდზე აიტუხებოდნენ და ყურს აძოვებდნენ, იქნებ რამე დასცდეთ და შეფს ვაამოთო. მათი ასეთი გულმოდგინების გამო გიორგი შატბერაშვილის დოსიე სწრაფად ივსებოდა და „მდიდრდებოდა“. არავინ დაგიდევდა ინფორმაციის სიზუსტეს და სისწორეს, კაციშვილი ამის გამკითხავი არ იყო. ამასობაში მიიღია არეული 1934 წელი და დაიწყო კიდევ უფრო უარესი 1935 წელი.

1935 წელს გიორგი შატბერაშვილი მშობლიურ თვალადში შეხვდა. მთელი დღე საქმიანობდა, საღამოს კი გულმოდგინედ

იწერდა ახლად გაგონილ სიტყვებს და ხალხურ თქმებს. ამ ყოფაში ისე გაიარა დღეებმა, რომ ძველი ახალი წელიწადი კარს მოადგა. სოფელი მას უფრო მეტი მონდომებით და სიყვარულით შეხვდა. დაკლეს ნასუქი ღორები, ინდოურები, ქათმები. ქვევრები მოხადეს და ქარვისფერი ღვინო ამოიღეს. სუფრა ნუგბარ-ნუგბარი ქალებით და ნაზუქებით გაავსეს და ახალ წელს თოფის სროლით შეხვდნენ. გიორგის მშობლები, დაძმები ზუსტად 12 საათზე შემოუსხდნენ საახალწლოდ გაშლილ სუფრას. ერთმანეთს მიულოცეს ახალი წელი, კარგად მოილხინეს და გვიან დაწვნენ.

დილით ივანეს ერთი ლოთი წითური მეზობელი ეწვია.

– რაღა ეს ნავსი მომადგა მეკვლედ – გაიფიქრა ხასიათწამხდარმა, მაგრამ არ შეიმჩნია, მეზობელი შინ მიიწვია და კარგად გაუმანსპინძლდა.

გიორგი თვალადში კარგახანს დარჩა. ამასობაში ბარაქიანად მოთოვა. თოვლით დაიფარა კავთურა, კატაულას ფერდობზე შეფენილი ბუჩქები თოვლში ჩაეფლო და მუხარადიან მეომრებს დაემსგავსნენ. მყუდროობამ მოიცვა სოფელი. გიორგი აივნოდან ხშირად გაჰყურებდა სოფლის სანახებს, ზამთრის თვალადით ტკბებოდა. ფიქრები საღამოობით თავისთავად ლექსად ლაგდებოდა. ამასობაში თებერვალი შეუმჩნევლად და უხმაუროდ დადგა. სიცვიის მიუხედავად ჰაერში ადრეული გაზაფხულის სუნი დატრიალდა. ხალხური ლექსი გაახსენდა:

თებერვალი დადგა,
ხეში წყალი ჩადგა,
ჩიტმა, ჩიორამა,
საძირკველი გასკვნა.

იმ დღეებში მეზობელი გარდაეცვალა და მის დასაფლავებას დაესწრო. ქელეხზე მისვლა არ სწადდა, მაგრამ არ მოეშვნენ. ხათრი ვერ გაუტეხა ჭირისუფლებს და წავიდა. თამადის სადღევრძელოებს თავის ინტერპრეტაციით ამბობდა. სევდიანი განწყობა ნელნელა გამოიცვალა და გლეხები ახმაურდნენ. გიორგიმ იგრძნო, წასვლის დრო დადგა. თამადამაც მიცვალებულის შესანდობარი კიდევ ერთხელ თქვა და სუფრაც აიშალა. გიორგი შინ

წავიდა. ერთხანს „ქართლის ცხოვრებას“ კითხულობდა, შემდეგ აივანზე გავიდა და თეთრი ზეწრით დაფარულ სოფელს გახედა. მზერა ეკლესიაზე შეაჩერა, თოვლის ფონზე დაპატარავებული მოეჩვენა. შეცივდა, პაპიროსის ნამწვი გადააგდო და შებრუნდა. ლამპა ჩააქრო და დაწვა. უკვირდა, ამდენი თვალადური ღვინო დალია და ისევ ფზიზელი იყო. ერთხანს იტრიალა ლოგინში, მერე როგორც იქნა ჩაეძინა. სიზმარი ნახა უცნაური და უსიამო. ვითომ მეგობარ მწერლებთან ერთად რუსთაველზე მოსეირნობდა. ბორჯომის წყლებთან შეჩერდნენ. მოულოდნელად მათ წინ წითელი ფერის მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ვიღაც ახმახი, ღრანჭმოქცეული კაცი გადმოვიდა და ჯიქურ მივიდა მათთან.

– თქვენ შორის, რომელია გიორგი შატბერაშვილი! – იკითხა ამ კაცმა და დაიჯღანა.

– მე ვარ! – უთხრა გიორგიმ.

უცნობმა ცივად შეათვალიერა და უბრძანა:

– თქვენ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ. ამ სიტყვებზე უცნობმა ხელი ჩასჭიდა და მანქანისაკენ წაყვანა მოუნდომა. გიორგიმ წინააღმდეგობა გაუწია. ამ ჯაჯგურში უცებ გამოეღვიძა. სახლის კედლები ირყეოდნენ. თოვლიანი ხეები ირხეოდნენ და თოვლი ბუქად ცვივოდა. უცებ გამოერკვა, წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა. მიწა აღარ იძვროდა, მაგრამ თვალადელებს სახლში შესვლის მაინც ეშინოდათ, გარეთ იდგნენ და ხმამაღლა ბჭობდნენ. უკვირდათ თებერვალში მიწისძვრა და ყველა თავის აზრს გამოთქვამდა. გიორგიც მათ შორის ტრიალებდა. ამასობაში გათენდა კიდეც. უცებ უცნაურად მოენატრა ქალაქი და წასვლა გადაწყვიტა. ნივთების ჩალაგებას შეუდგა და თან ნანახ სიზმარზე ფიქრობდა. სიზმრების დიდად არა სწამდა რა, მაგრამ ამ უხიავმა სიზმარმა შეაფიქრიანა და ხასიათი წაუხდინა. ამას მიწისძვრაც დაერთო და მთლად მოიშალა. დედამისი იქვე ფუს-ფუსებდა. შვილს საუზმე გაუმზადა. გიორგიმ უგემურად წაიხემსა. ამასობაში დედამ კალათაში ჩაუწყო ცივად მოხარშული დედალი, ღორის ბეჭი, დედას პურები, ჩურჩხელები და ხილი. პატარა ტიკჭორა ხელის ბადურაში ჩაუდო და შვილს გზა დაულოცა.

– გზა მშვიდობისა – უთხრა მამამ და მოსწრებულ შვილს

სიყვარულით შეავლო თვალი.

ეს იყო 1935 წლის 26 თებერვალი.

ამ ხნის განმავლობაში, რაც გიორგი თვალადში იყო, ქალაქში წასვლა ერთხელ მოუხდა. მეზობელი გლეხი წაიყვანა და საავადმყოფოში დააწვინა. სოფელში დაბრუნების წინა დღეს ფრიდონ ნაროუშვილის წვეულებაზე მოხვდა და მეგობარ პოეტებთან ერთად კარგად მოილხინა. შინ გვიან დაბრუნდა. ნასვამს ჩასძინებოდა და დილის მატარებელს სულზე მიუსწრო. მეგობრებს მონატრებული ახლა საბოლოოდ ბრუნდებოდა ქალაქში. მგზავრებთან საუბარმა ხასიათი გამოუკეთა და ისე მიუახლოვდა მატარებელი თბილისის სადგურს, რომ ვერც გაიგო. მგზავრები ფაცაფუცით სტოკებდნენ ვაგონებს. გიორგი დინჯად ჩამოვიდა ვაგონიდან და ვაგზლის მოედანზე ფაიტონი დაიქირავა:

– აბა, არაგვის ქუჩის 23-ში მიმიყვანე – უთხრა კუპატივით გატიქნილ, ლოყებლაჟლაჟა მეეტლეს და თავის ბარგიანა უკანა სკამზე მოკალათდა. ნახევარ საათში შინ იყო და ჟურნალ-გაზეთებს ათვალთქვებდა. მთელი დღე სახლში გაატარა. საღამოს ნათესავთან წავიდა. შინ გვიან დაბრუნდა. მეორე დღეს, 27 თებერვალს ახალი ლექსი ჩააბარა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას, იქიდან მწერალთა კავშირში გასწია. მაჩაბლის დასაწყისში ნიკა აგიაშვილი შემოეყარა, ცოტა ხნის შემდეგ გრივოლ აბაშიძე შეუერთდა მათ და კარგახანს ისაუბრეს. დღე იწურებოდა, მწერალთა კავშირში რომ მივიდა. მეორე სართულზე ვეფხვის ფიტულის შორიანლო ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი იდგა და კამათობდა. ზესტაფონიდან ახლად ჩამოსული ფრიდონ ნაროუშვილი განსაკუთრებით ცხარობდა. გიორგი ფეოდოსიშვილს თვალეში დაჟინებით უყურებდა, რადგან მისგან ყველაზე მეტად მოელოდა მხარდაჭერას. „ნაეი“ და „დილაც“ იქ იყო. გიორგი შატბერაშვილის დანახვაზე მონადირე ძაღლებივით ნაბულზე დადგნენ. ორივე მასთან მეგობრობაზე სდებდა თავს და ყველანაირად ცდილობდნენ, მის გვერდით ყოფილიყვნენ. ისინი კარგად სარგებლობდნენ გიორგი შატბერაშვილის ალალი, გულქართლი ხასიათით და მეგობრულ საუბრებში ზედმეტს წამოაცდენინებდნენ ხოლმე და გახარებულნი მთარბენინებდნენ შინ-

სახკომში. ახლაც პირველნი შეეგებნენ. გიორგიმ ყველას ხელი ჩამოართვა და მოიკითხა. ცოტა ხნის შემდეგ კამათი გავრძელდა. გიორგი ფეოლოსიშვილი და ფრიდონ ნაროუშვილი ყველაზე მეტად წიწმატობდნენ. ილიას და აკაკის შემოქმედებას თავიანთი მოკლე ჭკუით აცამტვერებდნენ. ერთხანს უსმინა მათ უთავბოლო ბეუტურს, მაგრამ ძალიან რომ გადაამლაშეს და ილიას და აკაკის პიროვნულ გინებაზე გადავიდნენ, ველარ მოითმინა და ამ ყიამყრალებს პირში მიახალა – კლასიკოსების მით უმეტეს ილიას და აკაკის ლანძღვა არ შეიძლება, ისინი ხომ ჩვენი სულიერი წინაპრები არიან და მათგან ბევრ კარგს ისწავლის ადამიანი, მათი ლანძღვა დიდი მკრეხელობაა, დიახ, მკრეხელობაა. „რა ვუთხრა იმ გუთნის დედას, წინაპრების საფლავს ხნავდეს“ – მიაყოლა იეთიმ-გურჯის სიტყვები და პაპიროსი გააბოლა. ამ სიტყვებზე ფრიდონ ნაროუშვილი წამოენთო და გიორგის უკმეხად უთხრა:

– შტერი ხარ გიორგი შენ, ფეოდალების სასწავლებელი რა გვჭირს ჩვენ, ახალ პროლეტარულ მწერლობას ვქმნით, ამისთვის ვართ მოწოდებულები, აბა! რაც შეეხება იეთიმ-გურჯს, ნეტავი ამ პრიმიტივის სიტყვები აქ რა მოსატანია, ეგ ხომ წყალწაღებული მელდუდუკია!

უზრდელი პასუხი გიორგის ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და დინჯად უთხრა:

– კი ვარ შტერი ფრიდონ, მაგრამ შენ რომ შემატყო, იმდენი არა!

– პასუხს აღარ დაელოდა, გამოტრიალდა და კიბეზე სწრაფად დაეშვა. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი.

– ბიჭო, ხედავ, რა კარგად მოუჭრა, – სიცილით ამბობდა დიმიტრი ბენაშვილი და ცრემლებს იწმენდა.

– ერთი უყურე ამ დულულა ქართლელს, ეს რა მწარე ენა ჰქონია – წაიბურტყუნა ნირწამხდარმა ფრიდონ ნაროუშვილმა და ნაძალადევად გაილიმა.

* * *

შინსახკომის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე სულ-
თანნიშვილი ნაბახუსევი იყო. წინა საღამოს მოსკოველი სტუმ-
რები ჰყავდა და მათთან კარგად გამოთვრა. დილით ბალიშიდან
თავი ძლივს აიღო, მაგრამ სამსახურში მაინც დროზე მივიდა.
მისვლისთანავე სასადილოდან ბორჯომი მოატანინა და ზარბაღ
სვამდა. ამ დღეში იყო, როცა კაბინეტში მეოთხე განყოფილების
უფროსი ივანე კიკნაძე შევიდა, გაეჭიმა და მოახსენა:

– ამხანაგო მაიორო, მწერლების – გიორგი შატბერაშვილის,
ფრიდონ ნაროუშვილის, შალვა შავგულიძის ოპერატიული და-
მუშავება დასრულდა (პლატონ ქიქოძე უკვე დაპატიმრებული
იყო), აგენტურული მასალა საკმარისზე მეტია. ვფიქრობთ, უნდა
დავაპატიმროთ, ეს პოლიტიკური გარეწრები!... თუ დავაპატიმრებთ,
პროკურორის სანქციაა საჭირო – უთხრა და მწვანე საქალაღე
მიაწოდა. ალექსანდრე სულთანნიშვილმა ზანტად გამოართვა და
წინ დაიღო. ამ ქალაღების წაკითხვას ახლა ყველაფერი ერჩია.
თავი უსკღებოდა. ამიტომ უხალისოდ მიუგო:

– დატოვე, გავეცნობი, ერთ საათში მოდი და პასუხს გეტყვი.

ივანე კიკნაძე კაბინეტიდან სწრაფი და მოკლე ნაბიჯებით გავი-
და. ალექსანდრე სულთანნიშვილმა კი მღივან ქალს უბრძანა, ერთი
საათი მასთან არავინ შეეშვა. თვითონ დივანზე მიწვა და ჩათვ-
ლიმა. ასე თვღებდა ნახევარი საათი მაინც. კიღევ გააგრძელებდა
თვღემას, მაგრამ ტელეფონის ზარმა არ მოასვენა. ტელეფონებს
გადახედა და მიხვდა, მთავრობის ორციფრიანი რეკავდა. უცებ
გამოფხიზღდა, სწრაფად მიიჭრა და ყურმილი აიღო.

– გისმენთ, სულთანნიშვილი.

ბერია იცნო ხმაზე. შიშის ჟრუანტეღმა დაუარა ტანში, ისე
გაიჭიმა თითქოს მის წინ მღგარიყო. ბერიამ ჰკითხა – ქიქოძის
ძიების საქმე როგორ არისო. ალექსანდრე სულთანნიშვილმა სხ-
აპასუხებით უპასუხა – კიკნაძეს აქვს და პირველ შეღეღებს ჩქარა
მოგახსენებთო.

– ეგ ორპირი, გაიძვერა კაცია, მარტო არ იქნება, თანამოზია-
რეები ეყოღება და ყველა მოკრიბეთ, არავინ გამოგრჩეთ – უთხრა
და ყურმილი დაღო.

ალექსანდრე სულთანის შვილს თავის ტკივილიც დაავიწყდა და უგუნებობაც. მწვანე საქალაქის მისწვდა და კითხვას შეუდგა. საქმის გაცნობა დაამთავრა თუ არა, ზუსტად 12 საათზე ივანე კიკნაძემ შესვლის ნებართვა ითხოვა.

– ჰო, მოდი, მოდი, ამხანაგო ივანე, საქმეს გავეცანი. პროკურორს შენ დაადებინე სანქცია და ამაღამვე უნდა დავაპატიმროთ. გადადება არ შეიძლება!

პროკურორის ეს ცოდვიანი მიმართვა დაცულია გიორგი შატბერაშვილის საქმეში:

*„სრულიად საიდუმლოდ
საქართველოს შინსახკომს
პროკურორს!*

ვთხოვთ მოგვცეთ სანქცია მოქალაქე შალვა აგქსენტიის ძე შავგულიძის, გიორგი ივანეს ძე შატბერაშვილის და ფრიდონ ნაროუშვილის დაპატიმრების შესახებ.

აღნიშნული პირები, უკანასკნელ ხანს თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ეწვეიან აშკარა ტროცკისტულ-ფაშისტურ პროპაგანდას, რომელიც გადაიზარდა კონტრრევოლუციურ დაჯგუფებაში.

ოპერატიული მონაცემებით, ერთ-ერთ წვეულებაზე ნაროუშვილმა წარმოსთქვა ასეთი სადღეგრძელო: „ეს გაუმარჯოს კაცს, რომელიც ბელადს მოკლავსო“. მას სრული სოლიდარობა და თანაგრძნობა გამოუცხადა შატბერაშვილმა და შავგულიძემ.

*შინსახკომის სამმართველოს უფროსი სულთანის შვილი
IV განყოფილების უფროსი კიკნაძე
27 თებერვალი, 1935 წ.“*

ამ მიმართვაში ფრიდონ ნაროუშვილი დაპატიმრეს „ბელადის მკვლელის“ სადღეგრძელოს ბრალდებით. მაგრამ „ძიების“ მსვლელობაში აღმოჩნდა, რომ ეს „საუკუნის დანაშაული“ ჩაუდენია არა მას, არამედ შალვა შავგულიძეს. ეს მცდარი ინფორმაცია შეგნებულად მიიტანა შეფთან აგენტმა „დილამ“, რომელსაც პოეტური ქიშპობა ჰქონდა ფრიდონ ნაროუშვილთან. მისი მიზან-

ნი იყო ნაროუშვილი რაღაც გზით ჩეკას ბრჭყალებში ჩაეგლო, მერე თავს რომ ვერ დაიხსნიდა, კარგად იცოდა. წვეულებაზევე გადაწყვიტა შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და მეორე დღესვე მთარბენინა ინფორმაცია იქ. მაგრამ, ამბის თანმიმდევრობას ნუ დავარდევთ და მივყვით მის ბუნებრივ მსვლელობას. პროკურორის სანქციის მიღებისთანავე ალექსანდრე სულთანისშვილის კაბინეტში თათბირი მოეწყო. გადაწყდა გვიან ღამით დაეპატიმრებინათ. იქნებოდა ღამის ორი საათი, სამ შავი ფერის გრძელ მანქანაში, სამ-სამი ჩეკისტი ჩაჯდა და რიგრიგობით ქალაქის სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. გიორგი შატბერაშვილის დასაპატიმრებელი მანქანა ბოლოს გავიდა. მძღოლის გვერდით იჯდა ივანე კიკნაძე. მას ღობეში გაკვეთებულ კვანძს მიუგავდა თავი და ქუდი საფრთხობელასავით ჰქონდა ჩამოცმული. ის მანქანიდან ღამის თბილისს გაჰყურებდა და საკუთარი ძლევამოსილებით თვითკმაყოფილი პაპიროსს გულიანად აბოლებდა. კმაყოფილების მიზეზი კი ჰქონდა, ანგარიშის გასწორების შესანიშნავი მომენტი დაუდგა და წინასწარ ტებებოდა გიორგი შატბერაშვილის მოსალოდნელი ტანჯვის ცქერით.

– ჰმ, მე არ ვიცი ლიტერატურა, მწერლობის არა გამეგება რა და ამ ლაწირაკმა იცის?. ჰოდა, ახლა ვაჩვენებ, ვინ არის უვიცი, „კამერაში“ მოვიყვან ჭკუაზე. იმუქრებოდა გულში. მას გაახსენდა გიორგი შატბერაშვილის ცეკაში შეტანილი პასუხი მის რეცენზიაზე. ამ ფიქრებში იყო, როცა მანქანა არაგვის ქუჩის 23-ის წინ გაჩერდა. კარებზე დააკაკუნეს. გიორგი ღრმა ძილში იყო და კაკუნი გვიან გაიგო. ჯერ იფიქრა მომეჩვენაო. ყური მიუგდო. კაკუნი განმეორდა. ასე გვიან ვინ არისო, გაუკვირდა. აღარ დააყოვნა, წამოდგა, სწრაფად გადაიცვა, კარებთან მივიდა და ნამძინარევი ხმით იკითხა:

- ვინ არის?
- ჩეკა, კარები გააღეთ! – გაისმა ყინულივით ცივი ხმა.

გიორგის ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ხელის კანკალით აანთო სინათლე, გასაღები გადაატრიალა და კარები გააღო. ჩეკისტები სიკვდილის ანგელოზებისვით შელაგდნენ ოთახში.

– ბინა უნდა გავჩხრიკოთ – უთხრა ივანე კიკნაძემ და დაუმატა

– ჩხრეკას მოწმედ დაესწრება თქვენი მეზობელი. ახლადა იცნო გიორგიმ მეზობელი, რომელიც ჭირისდღესავით ეჯავრებოდა.

ჩხრეკას შეუდგნენ. გიორგი გაოგნებული იდგა და დაბნეული იყურებოდა, ხედავდა როგორ ქექავდნენ მის ხელნაწერებს, წიგნებს და მთელ საოჯახო ნივთებს. კედელ-ყურე გადააქოთეს. ვერაფერი ვერ ნახეს ხელჩასაჭიდი. ანდა რას ნახავდნენ, რაც არაფერი საეჭვო არ ჰქონდა. შარის მოდება კი შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად შარზე არ წავიდნენ. ჩხრეკა დამთავრდა. საცოდავად აბუხულ მწერალს ივანე კიკნაძემ სისინით უთხრა:

– თქვენ დაპატიმრებული ხართ, – და ორდერი, რომელიც ჩხრეკის წინ აჩვენა, ახლა ხელმეორედ ამოიღო და დაანახა.

– აბა წავედით, გენიოსო – უთხრა დამცინავად ივანე კიკნაძემ.

გიორგი შატბერაშვილი ერთბაშად გამოფხიზლდა, თითქოს ახლა მიხვდა, რა უბედურება დაატყდა თავს. სიმწრისაგან გული მოეწურა და თვალებზე ცრემლები მოადგა. მაგრამ თავი შეიკავა და მოგუდული ხმით უთხრა:

– სინათლეს მაინც ჩავაქრობ.

– ჩვენ ჩავაქრობთ – უხეშად უთხრა ივანე კიკნაძემ და ერთ ჩეკისტს უბრძანა, სინათლე ჩაექრო და კარებიც დაეკეტა.

ჩეკისტებმა გიორგი შატბერაშვილი შუაში ჩაიყენეს და ისე მიიყვანეს მანქანამდე. ჩასვეს მანქანაში და გაუყენეს ჩეკას დაწყევლილ გზას. პატიმრის ანკეტა შევსებულია 1935 წლის 27 თებერვლის თარიღით. ეს კანცელარული ფორმალობა შეასრულებინეს თუ არა, წაიყვანეს ერთადგილიან საკანში. ღამე თეთრად გაათენა და დილა რკინის ბადით აჭედო მუშტისოდენა სარკმლიდან შემომძვრალ მზის პაწია სხივით გაიგო. ცოტა ხანში პატიმრის მწირი საუხმე შემოიტანეს, მაგრამ პირი არ დააკარა. მთელ დღეებს იმის ფიქრში ატარებდა, თუ რა „დანაშაულს“ წაუყენებდნენ. გონებაში „დანაშაულის“ ათასი ვარიანტი გაითვალა, მაგრამ ვერც ერთზე ვერ შეჩერდა. თუმცა ისიც კარგად უწყოდა, რამდენი უდანაშაულო ადამიანი უგზო-უკვლოდ გააქრეს მის გარშემო და გული ავს ეუბნებოდა.

გამომძიებელ ივანე კიკნაძეს სადისტური სიმშვიდით მიყავდა „გამოძიება“, ყველანაირი ხერხებით, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური წამების გზით ცდილობდა საქმე შეექმნა და გიორგი შატბერაშვილი მასხეში ორივე ფეხებით მოექცია. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა პლატონ ქიქოძე, რომელმაც ერთ-ერთი დაკითხვის დროს გიორგი შატბერაშვილი და არა მარტო ის, ასე „დიდებულად“ ჩაუშვა:

„კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება პოეტებთან და კრიტიკოსებთან: გიორგი შატბერაშვილთან, შალვა შავგულიძესთან, დიმიტრი ბენაშვილთან, გრიგოლ აბაშიძესთან, რას იტყვით მათი პიროვნების და შემოქმედების შესახებ. აგრეთვე, მათი სხვადასხვა ჯგუფში ყოფნის შესახებ?

პასუხი: თქვენს მიერ დასახელებული მწერლები და კრიტიკოსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიჭით, უნარით, და აქედან გამომდინარე, მათი ადგილით ქართულ ლიტერატურაში. გიორგი შატბერაშვილი და გრიგოლ აბაშიძე შეიძლება გაგაერთიანოთ. ჩემი აზრით, პირველი ითვლება წამყვან ფიგურად ახალგაზრდა არაკომკავშირულ პოეტთა ჯგუფში. გიორგი შატბერაშვილი გაიზარდა კულაკური იდეოლოგიის გავლენის სფეროში. განსაკუთრებით კოლექტივიზაციის დაწყების შემდეგ გიორგი შატბერაშვილი აშკარად გამოხატავდა კულაკურ იდეოლოგიას (ნახეთ მისი პიესა „დუშმანი“, იღებება რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე). ეს პიესა ასახავს სასოწარკვეთას და კულაკობის უკანასკნელ გაბრძოლებას. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვებაში. ახალგაზრდა მწერალთა ამ ჯგუფმა შექმნა თავისებური რეაქციული კულაკური ოპტიმიზმი, რომელიც აშკარად არის ნასაზრდოვეები ფაშისტური, თეთრგვარდიული (ქაქუცა ჩოლოყაშვილის) იდეოლოგიით. ამ ჯგუფიდან, ზოგიერთმა, ვინც აღზრდილია ჩვენი, საბჭოთა პირობებში, რაღაც აითვისა, კომკავშირიდან (განსაკუთრებით გრიგოლ აბაშიძე), მაგრამ თავიანთი კულაკური თვითგვემის გამო ვერ შესძლეს გადახარშვა.

ჩემი მათდამი დამოკიდებულება?

ჩემი მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე შევქმელი დამერღვია ჯერ მათი მეგობრობა, შემდეგ მათი მეგობრული დამოკიდებულება სხვა ახალგაზრდა მწერლებთან. ეს მე შევქმელი. მე მათ თვალს ვადევნებდი და სისტემატურად ვუთვალთვალებდი. როგორც თქვენთვის ცნობილია, სწორედ მე ვამხილე ისინი, თუმცა იმ მომენტში ძალიან ცდილობდნენ ჩემთან დამეგობრებას და თანამშრომლობას. ამის შედეგი იყო ის, რომ კინალამ შევცდი და არ დავებჯლე გაზ. „სიტყვასა და საქმეში“ გიორგი შატბერაშვილის ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“. მივხვდი რა ამ ლექსის ფარულ ანტისაბჭოთა შინაარსს, გახსოვთ, ალბათ, დაბეჭდვამდე თქვენ მოგიტანეთ მისი ორიგინალი ჯერ კიდევ 1934 წელს. ყოველივე ამ საშიშროების შესახებ მე თქვენ სიგნალიც მოგეცით და გაუწყეთ კიდევ“. (ხაზგასმა ჩვენია, ბ. ა.)

ეს ამონარიდი მოტანილია პლატონ ქიქოძის დაკითხვის ოქმიდან (1935 წლის 1 აპრილი). ამ რედაქტორ-დამსმენს ბოლშევიკურმა პარტიამ ჯერ ბნელი საქმეები გააკეთებინა და მერე ტროცკისტობა დააბრალა და მოუსაველეთში გაგზავნა.

გამომძიებელი ივანე კიკნაძე ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რათა გიორგი შატბერაშვილის „საქმე“ პლატონ ქიქოძის დანაშაულთან დაეკავშირებინა. პლატონ ქიქოძე ჩეკას შინაური კაცი იყო. ძიებას ყოველნაირად „უწყობდა ხელს“. თუ როგორ დაეხმარა იგი ძიებას, ამას შემდეგ თავში გაეცნობა მკითხველი. ახლა კი მივყვით არქივის მტვრიან თაროებზე შემოდებულ ამ სამი ახალგაზრდა მწერლის „საქმის“ ტომებს.

ამ ჯგუფიდან ბუნებრივია გამოვყოფთ გიორგი შატბერაშვილს და მისი „დანაშაულებრივი“ საქმიანობის ისტორიას. ეს ისტორია დღეს მწარე ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მაშინ მის თავზე დამტყდარი ტრაგედია იყო. ასე რომ, ამ „საქმის“ შედეგი თუ სამწუხარო იყო (ციხე, გადასახლება), მიზეზი ახლა ანეკდოტურია.

სტალინის სახელის ოდნავ ორჭოფულ კონტექსტში ხსენება საეჭვო იყო და პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა. ეს მე თვითონ გამოვცადე. მე-20 საუკუნის 50-იანი წლები იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის მეორე კურსზე ვიყავი. ერთმა ლექტორმა, გვარს შეგნებულად არ

ვასახელებ, ლექციაზე მორჩენილი დრო რომ გაეყვანა, დაგვისვა ასეთი კითხვა:

– აბა, ვინ რა წიგნი წაიკითხეთო. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ჯერი ჩემზე დადგა. ავდექი და ვუთხარი – სტალინის „სოციალიზმის პრობლემები სსრ კავშირში“ წავიკითხე და ბევრი რამ ვერ გავიგე-მეთქი. ცოტა ანცური ტონით ნათქვამი გამოძივიდა და აუდიტორიას გაეცინა. ჯერ ლექტორმაც გაიღიმა, შემდეგ ღიმილი მოსხიპა, მოიღუშა და დაიყვირა:

– ვინც ძია სტალინის წიგნზე ასე ლაპარაკობს, მას ჩემს ლექციაზე ადგილი არ აქვსო. მომიტრიალდა და მრისხანედ მითხრა:

– ახლავე მიბრძანდით!

თავის მართლებამ უფრო განარისხა. საქმის ასე უკუღმა მოტრიალებით შეშინებულმა დავტოვე ლექცია. ეს მოხდა 1953 წლის მარტის პირველ რიცხვში. შემდეგ დღეებში მოვლენები ელვისებურად განვითარდა, სტალინი გარდაიცვალა და გლოვამ მოიცვა მთელი საბჭოთა იმპერია. ყველა დაბნეული იყო და ხვალინდელ დღეს ხალხი შიშით უყურებდა. ამიტომ, უნივერსიტეტის სპეცგანყოფილებას ეს „საშინელი“ პოლიტიკური „დანაშაული“ ყურადღებიდან გამორჩა ალბათ და არ გამოვუძახებია. აქ აღარ შევუდგები თეთრად გათენებულ უძილო ღამეების აღწერას, როცა ყოველ წუთს ველოდი კარზე დაკაკუნებას. ეს ინციდენტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რა დესპოტურ მარწუხებში იყო მომწყვდეული „ბედნიერი“ საბჭოთა ადამიანი.

გამომძიებელი ივანე კიკნაძე ყველანაირად ცდილობდა გიორგი შატბერაშვილის საქმის გაბერვა-გაზვიადებას. ბრალდებად კი წაყენებული იქნა „კულაკურ-ფაშისტური“ სულისკვეთების ხსენებული ლექსები და „ბელადის მკვლელის“ სადღეგრძელოს მოსმენა და „სოლიდარობა“. სულიერი და ფიზიკური ტანჯვით გაწამებული ახალგაზრდა მწერალი, რომელსაც ოცდახუთი წელი ციხეში შეუსრულდა, შეუძლია თხოვნით მიმართოს ბერიას. რასაკვირველია ეს იყო მისი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი. გიორგი შატბერაშვილმა დაინახა ის დასალუპად გასწირეს და სამართლის საპოვნელად მიამიტურად მიმართა საქართველოს პირველ ჯალათს. ეს ნაბიჯი იქნებ ვინმემ ურჩია კიდევ, მაგრამ არც ისაა

გამორიცხული, ციხის საკნის ოთხ კედელს შორის გამოკეტილ პოეტს ერთი ქართული ანდაზის სიბრძნეც გაახსენდა: „ცდა ბედის მონახვერეაო“.

საარქივო მასალებში არაფრით არ ჩანს ბერიას ოდნავ მაინც მოხვედროდეს გულზე, თუ ჰქონდა საერთოდ, ახალგაზრდა მწერლის თხოვნა და მისთვის ოდნავი ყურადღება მაინც მიექცია. მასზე არაფრისმთქმელი რეზოლუცია ადევს, რაც მხოლოდ ბიუროკრატიული ფორმალობის შესრულება იყო და მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, გიორგი შატბერაშვილის საქმე ძველი კალაპოტით წავიდა და „ძიება“ მთელი სისასტიკით გაგრძელდა... იოლი მისახვედრია, განცხადების შინაარსი და ტონი განსაზღვრულია ახალგაზრდა მწერლის შეჭირვებული მდგომარეობით, გამოძიებულ ივანე კიკნაძის მისადმი სადისტურ მიპყრობით, რის შესახებაც გიორგი შატბერაშვილი წერს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ა. ი. გიგაურის სახელზე 1957 წლის 28 იანვარს რეაბილიტაციის გამო დაწერილ განცხადებაში: „1934 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა რეცენზია ჩემი პიესის „ღუშმანის“ გამო, რომელიც მაშინ რუსთაველის თეატრში დაიდგა. რეცენზია შეიცავდა ლანძღვა-გინებას და იმის მტკიცებას, თითქოს პიესა „ღუშმანი“ კულაკურ-ფაშისტური იდეოლოგიის გამომხატველი ყოფილიყოს. რეცენზიას ხელს აწერდა ჩემთვის უცნობი და საერთოდ ლიტერატურაში სრულიად უცნობი ვ. (თუ ივ.) კიკნაძე.

რეცენზია იყო არაკვალიფიციური, ტენდენციური და შეურაცხმყოფელი. ამ ფაქტმა ისე აღმაშფოთა, რომ ამის გამო განცხადებით მივმართე საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტს. ჩემ განცხადებაში მე თავს ვიცავდი უცნობი რეცენზენტის უსამართლო თავდასხმისაგან, მკაცრად ვაკრიტიკებდი და რადგან მისი რეცენზია ამის საბაბს იძლეოდა, ვუწოდებდი უვიცს და მწერლობის უცოდინარს.

რა ვიცოდი, თუ ჩემი რეცენზენტი მცირე ხნის შემდეგ ჩემი ბედის მსაჯული, საქმის გამომძიებელი აღმოჩნდებოდა.

საქმის ძიების დროს გამომძიებელი ივანე კიკნაძე შეურაცხყოფილი ადამიანის ტონით ხშირად სადისტურად დამცინოდა იმის გამოც, რომ რუსული ენა კარგად არ ვიცოდი (დაკითხვას რუსუ-

ლად აწარმოებდა), ან თუ რომელიმე ლიტერატურული ფაქტის არცოდნას გამოვამჟღავნებდი.....

„განა შეიძლება, შენ ვინმეს ლიტერატურის უცოდინარობას უსაყვედურებდე?“ – ცინიკურად მომმართავდა ის. მას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ის ფაქტი, რომ მე მაშინ ჯერ კიდევ წაკითხული არ მქონდა რ. როლანის „ჟან კრისტოფი“ („ჟან კრისტოფი“ პატიმრობის დროს წავიკითხე).

რასაკვირველია, ჩემს გამომძიებელს ივ. კიკნაძეს წაკითხული ჰქონდა ჩემი განცხადება მისი რეცენზიის შესახებ და სამაგიეროს თავისებურად მიხვდიდა. ყოველნაირად ცდილობდა ჩემი საქმის გაბერვას და მის დაკავშირებას პლ. ქიქოძის საქმესთან, ცდილობდა გამოვეცხადებინე მის თანამოხიარედ, მაშინ, როცა პლ. ქიქოძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩემი საქმე გაბერა და დაპატიმრებამდე მიმიყვანა“.

გიორგი შატბერაშვილის საგამომძიებლო საქმეზე თვალის ერთი გადავლება კმარა, რომ ნათქვამი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდე. პლატონ ქიქოძე განსაკუთრებული მონდომებით ამხელს „კულაკურ-ფამისტური“, „ტროცკისტული“ იდეოლოგიის მქონე მწერალს.

აქვე ვიტყვით, საქმეში ვნახეთ თავისუფლებას მოწყვეტილი მწერლის ერთი საინტერესო განცხადება:

„ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სამმართველოს პოლიტკონტროლის განყოფილების უფროსს ამხანაგ ივ. კიკნაძეს პატიმარ შატბერაშვილი გიორგი ივანეს ძის, (საკანი №53)

განცხადება

ვთხოვთ ნება დამართოთ, რომ შემომეგზავნონ შემდეგი წიგნები:

1. ჟურნ. „მნათობი“, №12 და №1

2. გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება – ბალზაკი.

განმცხადებელი ვ. შატბერაშვილი, 31.III.1935 წ.“

გამომდინარე ივანე კიკნაძის არაკაცურ ბუნებიდან, ალბათ ცას ეწია სიხარულით, ეს განცხადება რომ წაიკითხა. საგანგებოდ

გამოიძახა ფიზიკურად ნატანჯი პატიმარი და ნიშნის მოგებით მიახალა:

– ჰა, ციხეში გინდა განათლდე, აქ გინდა ისწავლო მწერლობა, არაფერი იცი და სხვას უწოდებ უვიცს...

„ძიება“ კი უკუღმართი გზით მიდიოდა და თავის შავბნელ საქმეს აკეთებდა, გაუთავებელი დაკითხვები რუსულად წარმოებდა და ამ ენაში არცთუ წელგამართულ მწერალს კიდეც ერთ სატანჯველს მატებდა. ათასნაირი კითხვებით სულს ხდიდა ივანე კიკნაძე და გაჩენის დღეს აწყვევლინებდა. არც ფრიდონ ნაროუშვილს და შალვა შავგულიძეს ადგა კარგი დღე. მაგრამ, ჩვენ გვაინტერესებს გიორგი შატბერაშვილის ბედი, ხოლო ხსენებული მწერლების დაკითხვის ზოგიერთ ოქმს, საჭიროების მიხედვით განვიხილავთ, რასაკვირველია, გიორგი შატბერაშვილის საქმესთან მიმართებაში. ბრალდების ძირითადი სიმძიმე მაინც გიორგი შატბერაშვილზე იყო გადატანილი, რაც განპირობებული იყო სუბიექტური და ობიექტური მიზეზით. ამის შესახებ გიორგი შატბერაშვილი, მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით ჰყვება, საქართველოს სსრ გენერალური პროკურორის ა. ი. გიგაურის სახელზე ხსენებულ განცხადებაში. მოგვაქვს ამონარიდი: „1935 წლის 27 თებერვალს საქ. სსრ შინსახკომის მიერ დაპატიმრებული ვიყავი ტროცკისტული საქმიანობის ბრალდებით. გამოძიების შემდეგ მომესაჯა სამი წლის ადმინისტრაციული გადასახლება აღმა-ატაში.

ბრალდებას საფუძვლად დაედო ჩემს მიერ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნებული ლექსები: „წერილი ახალგაზრდობას“ და „დასაწყისი განთიადისა“. ლექსები დაიბეჭდა 1934 წელს.

1936 წლის აპრილის ბოლოს, ე. ი. წლის და ორი თვის პატიმრობის შემდეგ, სსრკ შინსახკომის საგანგებო საკრებულოს დადგენილებით გამანთავისუფლეს მისჯილი ვადის დამთავრებადღე.

ჩემი საქმის გადასინჯვა მოხდა იმ განცხადების საფუძველზე, რომლითაც ჩემმა მშობლებმა მიმართეს ი. ბ. სტალინს. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის აშხ. ვიშინსკის დასკვნით მე



გიორგი შატბერაშვილი ალმა-ათაში გადასახლებაში ყოფნის დროს. 1935-1936 წლები.

უკანონოდ ვიყავი დასჯილი.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდი კასპის რაიონის საშუალო სკოლებში მასწავლებლად, ხოლო 1944 წელს აღმადგინეს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის უფლებებში და მას შემდეგ დღემდე ვეწევი ლიტერატურულ საქმიანობას.

ჩემს მიმართ წამოყენებული ბრალდება (ტროცკისტული საქმიანობა) ტენდენციური, შეკოწიწებული და მოგონილი იყო. ის ფაქტი, რომ მე სევდიანი და უიმედო განწყობილების გამომხატველი ლექსი ვუძღვენი თეთრგვარდიელი ემიგრანტის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს, გამოწვეული იყო ცალმხრივი სატრფიალო ჭაბუკური გატაცებით და გამოძიების მიერ მისი ტროცკისტული, ანდა საერთოდ ანტისაბჭოთა ლექსად გამოცხადება გაუგებრობას წარმოადგენდა.

ასევე, მეორე ჩემი ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“ არ იქნა სწორად გაგებული. ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ გამოქვეყნებამდე „ლიტ. საქართველოში“ რედაქციამ ლექსის ტექსტიდან ამოიღო ერთი ადგილი, რომელიც ლექსს გარკვეულ იდეას და მისამართს აძლევდა.

აი, ის ადგილიც:

„ჩვენში აღუღდა სისხლი ვაჟური,
და ვაჟკაცური სისხლი სტალინის...“

შესაძლოა, როცა რედაქცია ლექსიდან ამ ადგილს იღებდა, არ ფიქრობდა, რომ ამას ავტორისთვის ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ალბათ ამ ადგილის ამოღების მიზეზი ის იყო, რომ იმ წლებში (ოცდაათიან წლებში) რედაქციები ერიდებოდნენ ამხ. სტალინის სახელის წარა-მარა ხსენებას, მით უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებში.

როცა ამ ლექსის დაბეჭდვის შემდეგ კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა, მე მივმართე ამ ფაქტის შესახებ ჯერ მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს მ. ტოროშელიძეს, შემდეგ კი ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ ჩემს პროტესტს აღნიშნული ადგილის ამოღების გამო ყურადღება არ მიექცა. მით უმეტეს ყურადღება არ მიაქცია ამ ფაქტს ჩემი საქმის გამომძიებელმა

ივ. კიკნაძემ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ივ. კიკნაძე, რომელსაც ჩემი საქმის გამოძიება ჰქონდა მინდობილი, ჩემდამი ტენდენციურად იყო განწყობილი“.

ამ განცხადების დასასრულს გიორგი შატბერაშვილი გენერალურ პროკურორს ა. ი. გიგაურს მიმართავს: „ივ. კიკნაძის პატივმოყვარეობის გაღიზიანება ძვირად დამიჯდა: ათი წლის განმავლობაში მე მოწყვეტილი ვიყავი ჩემს საქმეს.

გთხოვთ გადასინჯოთ ჩემი საქმე, გაითვალისწინოთ ყოველივე შემოთქმული და მოახდინოთ ჩემი რეაბილიტაცია“.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება სსრ კავშირის პროკურორის ა. ვიშინსკის დასკვნა, რის საფუძველზეც გიორგი შატბერაშვილი ვადაძლე ადრე იქნა გათავისუფლებული. როგორც თვით მწერალიც აღნიშნავს, მისმა მშობლებმა თხოვნით მიმართეს სტალინს – შვილის უკანონოდ დასჯის გამო. მათი ეს თხოვნა სტალინამდე მიიტანა „ბელადის“ ახალგაზრდობის ერთ-ერთმა მეგობარმა. თხოვნამ გასჭრა და საქმე ადგილიდან დაიძრა. გიორგი შატბერაშვილის საქმეს გაეცნო ა. ვიშინსკი: „11 сентября 1935 г. Особым Совещанием при Народном Комиссаре Внутренних дел осужден к ссылке в Казахстан, сроком на 3 года Шатберашвили Георгий Иванович 1911 г. рождения, начинающий поэт.

Шатберашвили обвиняется в том, что одно из своих стихотворений он снабдил посвящением „Т.Ч.А“ дочери политбандита Какуца Чолокаева – Тамаре Чолокаевой и когда корректура журнала вычеркнула это посвящение, он самовольно сделал исправление на гранках и таким образом оно было напечатано.

Кроме этого Шатберашвили обвиняется в том, что писал стих к.р. содержания. В материалах дела стихи Шатберашвили отсутствуют. В обвинительном заключении приведены выдержки из его стихотворения, которые по существу не являются к.-революционными.

Других материалов против Шатберашвили нет. По спец. по-

ложению Шатберашвили не чужд сов. строю, отец его педагог с 25-летним стажем. Один брат красноармеец, другой брат работал в гараже колбасного завода, сестра бухгалтер МТС (I. д.115).

При таких данных я считаю, что Шатберашвили осужден неправильно. Поэтому прошу дело Шатберашвили поставить на пересмотр в уголовном порядке.

А. Вышинский

21-го марта 1936 г.“

ამ დასკვნის საფუძველზე გაათავისუფლეს, მაგრამ გაათავისუფლებამდე წამების გზა გაიარა. ეს გზა კარგად ჩანს ოქმებში, რომელიც ჩეკას დანაშაულებრივი საქმიანობის კიდევ ერთი მამხილებელი საბუთია. „კულაკურ-ტროცკისტული“ ფაშისტური ლექსების ბრალდებას, როგორც ვთქვით, დაემატა მეორე დანაშაული, „ბელადზე სროლა“. თუ რას ნიშნავს „ბელადზე სროლა“, ამას პირველივე დაკითხვის ოქმიდან შევიტყობთ:

„დაკითხვის ოქმი. 1935 წლის 28 თებერვალი.

1. შატბერაშვილი
2. გიორგი
3. 1911 წ.
4. ქ. თბილისი
5. ართვინის შესახვევი №23
6. პასპორტი, მე-4 მილიცია
7. პოეტი, პროფესიონალი
8. ყოფილი აზნაური
9. დედა – თამარ გიორგის ასული გოგიბედაშვილი, დიასახლისი. მამა – ივანე რომანოზის ძე შატბერაშვილი, პედაგოგი, სოფელი თვალადი, კასპის რაიონი;
ძმა – ლადო, წითელი არმიელი, პროფესიით მსახიობი
ძმა – შოთა, მუშაობს ძეხვის ქარხანაში
და – ნათელა აგარიაშვილი, მუშაობს ბულალტრად კასპის მტს-ში.
10. უმაღლესი
11. უპარტიო

12. არასამხედრო ვალდებული (ავადმყოფობის გამო)

13. მწერალთა კავშირის წევრი“!

მეორე დღეს, გვიან საღამოს გამომძიებელმა ივანე კიკნაძემ პატიმარი დაიბარა და სუსხიანად უთხრა:

– რა ითქვა ნაროუშვილის ვახშამზე, გაიხსენე და დაწვრილებით მოყევი.

– აღარ მახსოვს, კარგახნის ამბავია, დამავიწყდა კიდეც, – უპასუხა ჩავარდნილი ხმით გიორგი შატბერაშვილმა.

– არ გახსოვს, ხომ, გაიხსენე, გაიხსენე, თორემ მე გა-გა-ხსენებ! – გაუძეოდა დამარცვლით გამომძიებელმა და სათვალეები შეისწორა.

პატიმარი დუმდა.

გამომძიებელმა კიდეც ერთხელ შეავლო თვალი შიშით მიღეულ პატიმარს და შინაგან, წითელი ფერის ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ხრინწიანი ხმით ჩასძახა:

– თეოფილე ხაარ, საჩქაროდ ორი მაგარი „მასაჟისტი“ გამომიგზავნე, აბა შენ იცი, გელოდები. ყურმილი დაღო და პატიმარს მომივებელი სვაკივით გადახედა. ორიოდე წუთში კარები გაიღო და ორი ჩაგველა, მაგრამ ღონივრად ჩაფსკენილი ჯალათი შემოვიდა. ერთს წყლის სავსე ვედრო ეჭირა ხელში, მეორეს მათრახების კონა ჰქონდა ამოღლიავებული. გამომძიებლის უხმო ნიშანზე პატიმარს სწრაფად სტაცეს ხელი, წელს ზევით გააშიშვლეს, ფეხზე გახადეს, იატაკზე დააწვინეს და მათრახით მორიგეობით სცემდნენ ზურგსა და შიშველ ფეხისგულებზე. გიორგი

შენიშვნა: 1. ჩვენი ყურადღება მიიქცია პატიმრის არასწორმა ანკეტურმა მონაცემებმა: ნაცვლად 1910-ისა, დაბადების წლად 1911-ია აღნიშნული, ძმის ლევანის ნაცვლად წერია ლადო, და ნატალია ალაპიშვილი მოხსენიებულია აგარიაშვილად და რაც მთავარია, მისამართია არაზუსტი – არაგვის მაგიერ ართვინის ქუჩაა მითითებული. ხოლო გიორგი შატბერაშვილს ხან უმაღლეს, ხან საშუალო განათლებით მოიხსენიებენ.

ეტყობა, გამომძიებელი ივანე კიკნაძე მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს „ძიების“ სიზუსტით, მისთვის მთავარი იყო გიორგი შატბერაშვილის „საქმე“ შეექმნა და მასზე ეძია შური.

საცოდავად გმინავდა და შიგადაშიგ, როცა ძალიან გაუჭირდებოდა, დედას უხმობდა საშველად. ივანე კიკნაძე კი ფეხზე იდგა, ჯვალათებს აქეზებდა და თან პატიმარს დასცინოდა:

– აბა ბიჭებო, დასცხეთ, რაც უფრო მაგრად უცხუნებთ, მით უფრო კარგ ლექსს დასწერს, ეგ გენიოსი!

წამებას ერთხანს გაუძლო გიორგი შატბერაშვილმა, მაგრამ მერე გული წაუვიდა და ცნობიერება დაკარგა. წამება შეუწყვიტეს. ვედროთი წყალი გადაასხეს. მოსულიერდა თუ არა, წამოაყენეს და სკამზე დასვეს.

– ახლა ხომ გაიხსენებ ღლაპო – გესლიანად ჩაეკითხა ივანე კიკნაძე და დაჯდა. გიორგის ქალღმრთისფერ სახეზე დააკვირდა და გაიფიქრა – მეტი ხომ არ მომივიდა, არ შემომაკვდეს ეს ოხერი. პატიმარს კი ხმამაღლა უთხრა:

– კაცმა რომ თქვას, დღეს გეყოფა, ახლა წადი, კარგად მოიგონე და რაც საჭიროა, ის მოყევი შემდეგ დაკითხვაზე.

გიორგი წაიყვანეს. ზურგი და ფეხისგულები საშინლად სტკიოდა, ფეხს ძლივს ადგამდა. ასე ჯახხირით მიაღწია 53-ე საკნამდე. შევიდა თუ არა საკანში, პირქვე დაემხო საწოლზე და აქვითინდა. ცრემლებმა ჭუჭყიანი ბალიში დაასველა. ტირილმა ცოტა შეება მოჰკვარა, მაგრამ თითის უბრალო განძრევაზე ტკივილი დანასავით ესობოდა გულში. ასეთ ყოფაში გაატარა მთელი რამდენიმე დღე. ტკივილები ნელ-ნელა დაუცხრა და ნაცემი ფეხისგულებიც დაუამდა. მერვე დღეს, შუალამისას გამოიძახეს დაკითხვაზე.

– ნეტავი, კიდევ რა სატანჯველს მომიწყობს ეს მუდრევი – ფიქრობდა გიორგი შატბერაშვილი და გამომძიებლის ოთახისაკენ თავჩალუნული ნელა მიაბიჯებდა.

– ჰა, გაიხსენე გენიოსო! – შეაგება დაცინვით ივანე კიკნაძემ პატიმარს და უბრძანა ფეხზე მდგარიყო.

– ვერაფერი ისეთი ვერ გავიხსენე – სთქვა გიორგი შატბერაშვილმა და გაღიზიანებული ტონით დაუმატა – მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, ბოლოსდაბოლოს, აღარ დამანებებ თავს!

– არ ჩაგიდენია დანაშაული ხომ? – ცბიერი ღიმილით ჩაეკითხა ივანე კიკნაძე განწირულს და კუთხეში მდგომ ჯვალათებს მიუბრუნდა:

– აბა ერთი რადიკალური ზომები ჩაუტარეთ ამ ვაჟბატონს, თავი შექსპირად რომ წარმოუდგენია და სხვას კი არად ადღებს!

გიორგი შატბერაშვილი ვიდრე გონს მოვიდოდა, ჯალათებმა აბრეშუმის თოკის ყულფი თავზე ჩამოაცვეს და ყელზე მოარგეს. თოკის მეორე ბოლო ერთმა ჯალათმა დაიხვია ხელზე და ნელა მოსწია. ყულფი დავიწროვდა, სუნთქვა გაუჭირდა. ამ დროს ივანე კიკნაძე პატიმარს ქორივით ადგა და მჩხავანა ხმით უყვიროდა: თქვი, ყველაფერი თქვი, ისე როგორც მე გითხარი, თორემ დაგახრჩობ და შენ სიკვდილს თვითმკვლელობად გავაფორმებ, მერე კი უყარე კაკალი – ყველაფერი ოხრად დაგრჩება!...

ჯალათი ამ საქმის გამოცდილი ოსტატი იყო და თოკს მოზომილად ქაჩავდა. პატიმარს სული შეეხუთა, გაჭარხლდა და სახეზე ალაგ-ალაგ ლურჯი ზოლები გაუჩნდა, სხეული მოუდუნდა, თვალებში შავი წრეები აუთამაშდა, ცოტა და სიკვდილიც თავის უღმობელ ცელს მოიქნევდა. ტანჯულმა ისღა მოასწრო, ჯალათებისთვის ენიშნებინა თოკი მომხსენითო. ყულფი საჩქაროდ მოხსნეს. გულწასული გიორგი შატბერაშვილი იატაკზე დაეცა. მოასულიერეს თუ არა, ივანე კიკნაძე აფთარივით ეცა პატიმარს და კითხვები დააყარა. პასუხს თუ ოდნავ შეაყოვნებდა, ნუნებში ნემსს ურჭობდა, რაც ჯოჯოხეთურ ტკივილს იწვევდა. არაადამიანური წამებით ქანცქაწვეტილი გიორგი შატბერაშვილი იძულებული იყო საკუთარ თავისთვის არაერთი ცილი დაეწამებინა – ტყუილი ეთქვა, ოღონდ ეს საშინელი ტკივილი არ განმეორებულყო. წამების ეს ხერხი „დიდი“ პოლიტიკური დამნაშავეებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ივანე კიკნაძემ მასზე გამოიყენა, რათა მწერალი უფრო მეტად დაეტანჯა და ამით შური ეძია მასზე.

ტანჯვა-წამებით ნახევრად გონებაშიხდილი გიორგი შატბერაშვილი გამოძძიებლის კითხვებზე სხვის ხმით მექანიკურად ისე პასუხობდა, რომ რას ამბობდა გააზრებული არც ჰქონდა:

„კითხვა: კიდევ გიმეორებთ. რას გვეტყვით ფრიდონ ნაროუშვილის ბინაში 1934 წელს, „ბელადზე“ სროლის თაობაზე?

პასუხი: 1934 წლის ზაფხულში ფრიდონ ნაროუშვილის ბინაში, ხელოვნების სასახლეში მოეწყო ქეიფი. ამ ქეიფზე ვიყავით: მე, ფრიდონ ნაროუშვილი, შალვა შავგულიძე, გრიგოლ აბაშიძე,

და მოგვიანებით მოვიდა დიმიტრი ბენაშვილი. თამადად ავირჩიეთ გრიგოლ აბაშიძე, მაგრამ შალვა შავგულიძემ მას წაართვა თამაძობა, რადგან ის არ ლაპარაკობდა იმაზე, რაც მათ აწუხებდათ. ამიტომ თვითონ აიღო ინიციატივა და დაიწყო თამაძობა. ამ დროს ჩამოვარდა საუბარი ცეკას აპრილის დადგენილებაზე, მხატვრული ლიტერატურის შესახებ და ნაწილობრივ პროლეტარული ლიტერატურის მდგომარეობაზე. შალვა შავგულიძემ, რომელიც მე მეკამათებოდა, მითხრა, რომ ლიტერატურულმა პოლიტიკამ ცეკას აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ შეამცირა პროლეტარული მწერლობის როლი ლიტერატურაში. ამ ეტაპზე დიდი თავისუფლება მიეცა ყოფილ რეაქციონერ მწერლებს, ხოლო პროლეტარული ნაწილი ლიტერატორების მოექცა ჩრდილში. და მათ არ აქვთ ავანგარდული როლი.

ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან – სთქვა შალვა შავგულიძემ – ეს არის გასროლა. ჩემ კითხვაზე ვისთვისაა განკუთვნილი ეს სროლა, შალვა შავგულიძე შეეცადა აეხსნა, მაგრამ ფრიდონ ნაროუშვილის მრავალმნიშვნელოვანი გრიმასის გამო აღარ მიპასუხა. ამის შემდეგ ლაპარაკი სროლის შესახებ არ გაგრძელებულა.

კითხვა: მოგცა თუ არა თქვენ კითხვა შალვა შავგულიძემ ასეთი ფორმით: „სროლა ზევით“, იყო თუ არა ასე?

პასუხი: ზევით მე ჩემ ჩვენებაში ვთქვი, რომ როცა შალვა შავგულიძეს შევეკითხე: ვის უნდა ესროლოს, მე მისგან პასუხი არ მიმიღია.

კითხვა: იყო თუ არა მწერალთა კავშირში მწერლები, რომლებიც გააჩაღებდნენ ბრძოლას?

პასუხი: ზემოთ დასახელებულ ჯგუფში, არც მე, არც სხვას ასეთი საკითხი არ განუხილავს. მახსოვს სხვა შემთხვევა ორგანიზაციულ ჯგუფთან დაკავშირებით, დაახლოებით 1932 წლის ბოლოს რაჟდენ კალაძის ბინაში, სადაც შევიკრიბეთ ახალგაზრდა მწერლები: მე, ქიქოძე პლატონი, ნაროუშვილი ფრიდონი, კალაძე კარლო და შავგულიძე. აქ პლატონ ქიქოძემ დააყენა საკითხი შემოქმედებითი ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. ეს ჯგუფი არ ჩამოყალიბდა, რადგან მოხდა კონფლიქტი პლატონ ქიქოძესა და

რაჟდენ კალაძეს შორის. რაჟდენ კალაძე მხარს უჭერდა ზეკლასობრივი პოეზიის თვალსაზრისს, ხოლო პლატონ ქიქოძე პირიქით, სვამდა საკითხს და მოითხოვდა ლიტერატურის პოლიტიკური შინაარსით ავსებას. მას მოჰქონდა მაგალითად ალ. ბეზიმენსკის შემოქმედება და მისი ჯგუფი. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ფრიდონ ნაროუშვილი.

კითხვა: თქვენ გვერდი აუარეთ კონკრეტულ პასუხს, კითხვა ეხება „სროლას ბელადისადმი“. ვიმეორებ, ჰქონდა თუ არა ადგილი შალვა შავგულიძის განცხადებას, ბელადისადმი სროლის აუცილებლობის შესახებ, სახელდობრ „ბელადის“ და არა თქვენ შეკითხვას „ზევით“?

პასუხი: ეს ახლა ზუსტად არ შემიძლია მოვიგონო, შემდეგ დაკითხვაზე შევეცდები გიპასუხოთ ამ კითხვაზე“.

ძნელი არ არის წარმოიდგინო, თუ რა სულიერი და ხორციელი ტკივილი გადაიტანა გიორგი შატბერაშვილმა, როცა ფიზიკური ძალდატანების გამო იძულებული გახდა ის ეთქვა, რაც გამოძიებელს სურდა. გამოძიებელს კი აინტერესებდა ამ ჯგუფის ყველაზე მეტად გიორგი შატბერაშვილის „დანაშაულებრივი“ საქმის შექმნა და გაბერვა, რათა სამსახურეობრივ კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით მაღლა ასულიყო.

მივევით ამ ტრაგიკომედიის მსვლელობას, რომლის უნიჭო რეჟისორია ივანე კიკნაძე: „ძიება“ გულმოდგინედ ცდილობს დაადგინოს „დანაშაულის“ თითოეული ფაქტი და დეტალი. ფრიდონ ნაროუშვილის სუფრაზე შალვა შავგულიძემ ფრიად „დანაშაულებრივი“ პოლიტიკური სადღეგრძელო წარმოსთქვა – „გაუმარჯოს კაცს, ვინც ბელადს „ესვრის“. საცოდავ შალვა შავგულიძეს სიფხიზლეში ალბათ ფიქრადაც არ მოსვლია ასეთი „ბოროტი“ აზრი, მაგრამ პროლეტმწერალთა ერთგვარი დაუფასებლობით გაღიზიანებულმა, მთვრალმა ვერ მოზომა და მექანიკურად ასწია ხელი და ნასვამი კაცის გამბედაობით სთქვა, ზევით სროლაა საჭირო, რომ ყურადღება მოგვაქციონო. ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა ბუზი აქლემად ექციათ. ამ ამბის დასაზუსტებლად ერთმანეთს პირში წაუყენეს გიორგი შატბერაშვილი და ფრიდონ ნაროუშვილი, შალვა შავგულიძე და პლატონ ქიქოძე და სხვა.

ამ დაპირისპირებით გამოძიებამ ურთიერთგამომრიცხავი პასუხები დააფიქსირა ოქმში (1935 წ. 9 აპრილი – გიორგი შატბერაშვილისა და ფრიდონ ნაროუშვილის დაპირისპირება).

ისე, კაცმა რომ თქვას, რა თქვა შალვა შავგულიძემ? მთვრალმა რაღაც წამოაყრანტალა, რასაც არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ყურადღებას არ მიაქცევდნენ. მაგრამ, საბჭოთა დიქტატურა ასეთ ყბედობას კი არა, გაფიქრებასაც კი ებრძოდა. ამიტომ, სხვას რომ არ დაესწრო, ეს „საშინელი“ დანაშაული, როგორც ვთქვით, სუფრის ერთ-ერთმა წევრმა, აგენტმა „დილაძე“ ტენდენციურად მიაბრუნინა ჩეკაში და უფროსების მაღლობა დაიმსახურა.

სამაგიერო შურისძიების წადილით შეპყრობილი ივანე კიკნაძე წამების ათასნაირი ხერხების გამოყენებით ცდილობს გიორგი შატბერაშვილს ის ათქმევინოს, რაც მის საქმეს უფრო დაამძიმებს.

„კითხვა: თქვენ წინა დაკითხვაზე გამოძიებას შეპირდით, რომ გაიხსენებდით საუბრის დეტალებს ფრიდონ ნაროუშვილთან, ქეიფზე ხელოვნების სახლში, რომელიც ეხება გასროლას?

პასუხი: ამ საღამოზე მყოფმა შალვა შავგულიძემ, როცა ჩამოვარდა ლაპარაკი საბჭოთა კავშირში პროლეტარული მწერლობის შესახებ, აღნიშნა პროლეტარული მწერლობის შევიწროვება, მწერალთა კავშირში რეაქციული მწერლების მხრიდან. შალვა შავგულიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არის „გასროლა ზევით“, „საჭიროა სროლა ზევით“. ჩემ კითხვაზე – „სად ზევით“ და „ვის“, პასუხი არ მიმიღია. იქ მყოფმა ფრიდონ ნაროუშვილმა მრავალმნიშვნელოვანი გრიმასებით შეაჩერა შალვა შავგულიძე. ამის შემდეგ ლაპარაკი გასროლის შესახებ აღარ ყოფილა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა თქვენთან შალვა შავგულიძეს საუბარი ვარდინის შესახებ?

პასუხი: ჩემთან პირადად შალვა შავგულიძეს ვარდინის შესახებ არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ პოეტ გრიგოლ აბაშიძისგან გავიგე, რომ შალვა შავგულიძეს მისთვის უთქვამს – „საწყალი კაცი (ვარდინი) გადასახლებაში მოკვდებაო...“

კითხვა: გყავთ თუ არა მეგობარი პოეტი სოფელ წითელქალაქ-



1947 წ. ქართველ მწერალთა და პოეტთა ჯგუფი. ზევიდან მეორე რივში, მარცხნიდან მესამე ვიორგი შატბერაშვილი.

ში, რომელმაც გამოსცა თავისი ლექსები 1934 წელს?

პასუხი: დიას, აღნიშნულ სოფელში შვიდწლიანი სკოლის პედაგოგად მუშაობს შალვა შაველაშვილი, „ახალგაზრდა კომუნისტის“ ყოფილი თანამშრომელი. შალვა შაველაშვილმა 1934 წლის ბოლოს გამოსცა ლექსების კრებული.

კითხვა: შალვა შაველაშვილის ლექსების განწყობილება თქვენი ორი ლექსის განწყობილების მსგავსია, სადაც მოგმართავთ თქვენ, როგორც მის იდეურ შთამაგონებელს. ამას მოწმობს თქვენი შემოქმედებითი ჯგუფის მსგავსება (ერთიანობა) კონტრრევოლუციურ ნიადაგზე. არის თუ არა ეს მართალი?

პასუხი: არავითარი ჯგუფი მე არ მყავდა და შალვა შაველაშვილთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია. არავითარი არალეგალური ორგანიზაციის შექმნის ცდა არ მიფიქრია. მე და შალვა

შაველაშვილი ერთი რაიონიდან ვართ, მე მას ვიცნობ, მაგრამ სერიოზულ პოეტად არ ვთვლი, ეს უბრალოდ ხელმოცარული პოეტია. ის ცდილობდა სხვებისთვის მიებადა, მაგრამ არაფერი არ გამოხდოდა.

კითხვა: გქონდა თუ არა კავშირი ვახტანგ კოტეტიშვილთან და ნახულობდი თუ არა მას საქართველოს მუზეუმში?

პასუხი: საქართველოს მუზეუმში მე სულ ერთხელ ვიყავი, მაგრამ ვახტანგ კოტეტიშვილი მე არ მინახავს. ვახტანგ კოტეტიშვილს მე ვიცნობ, მაგრამ მასთან არ მაქვს ახლობლობა. ის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს – ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ინსტიტუტში მე ვსწავლობდი ისტორიულ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დავამთავრე 1932 წელს¹.

**ოქმი წავიკითხე:
ბ. შატბერაშვილი**

დაკითხა განყოფილების უფროსმა
ივ. კიკნაძემ.

1935 წელი, 2 მარტი“.

გარდა „დილას“ და „ნავის“ აგენტურული ინფორმაციებისა, გიორგი შატბერაშვილის შესახებ კიდევ ვიღაც აწვდიდა ცნობებს გამოძიებელს. ეს ვიღაც იყო ცნობილი კრიტიკოსი, რომელმაც ივანე კიკნაძეს ჩააწვეთა – თითქოს პოეტ შალვა შაველაშვილის ლექსები შექმნილია გიორგი შატბერაშვილის ტროცკისტულ-ფაშისტური ზეგავლენით... ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მაგონდება. 60-იანი წლებია. მწერალთა სასახლეში ლიტერატურული დისკუსიაა. ერთ-ერთ მოკამათედ გამოვიდა უკვე ხან-

შენიშვნა: 1. ამ წლებში თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლებამ პედაგოგიურ ინსტიტუტად გადააკეთა და რექტორად დანიშნა ვინმე ვაშაყმაძე, კომკავშირელი (ბ. ა.)

დაზმული გიორგი შატბერაშვილი და 30-იანი წლების რეპრესიებსაც შეეხო. პრეზიდენტში გამოჭიმულ იმ ცნობილ კრიტიკოსსაც გადაკრა. ამ კრიტიკოსმა არც აცია, არც აცხელა და უტიფრად მიახალა, „თქვენ ჭკუა არ გქონდათ და ციხეში ამოყავით თავი, მე კი ჭკუა ვინმარე და ისე ვიცხოვრე...“ ამ სიტყვებით ყველაფერი სთქვა და თავისთავიც ძალაუნებურად გასცა, რადგან „ჭკუის მოხმარება“ მაშინ დაბეზლებას ნიშნავდა. ეს კრიტიკოსი თავის „ზრუნვას“ არ აკლებდა გამოძიებაში მყოფ ახალგაზრდა მწერალს და გამოძიებელს აწვდიდა ცნობებს გიორგი შატბერაშვილის „მაგვენ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გავლენების“ შესახებ, პოეტ შალვა შაველაშვილის და სხვათა პოეზიაზე.

აღნიშნულ ოქმში ნახსენები ვარდინი (მგელაძე) იყო ძველი რევოლუციონერი, რომელიც 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ის რუსეთში ცხოვრობდა და ჩანს პლატონ ქიქოძე მასთან მეგობრობდა. მათი დაახლოება პლატონ ქიქოძის მოსკოვში სწავლის დროს მოხდა. თუმცა, გამოძიების დროს პლატონ ქიქოძემ უარყო მასთან მეგობრობის ფაქტი, რაც შეეხება წინა ოქმში ნახსენებ რაჟდენ კალაძეს, ეს იყო პოეტ კარლო კალაძის მამა, რომელიც რეპრესირებულ იქნა, ხოლო გამოძიებლის მცდელობა რაღაც პოლიტიკური ჯგუფი „აღმოაჩინოს“ და შემდეგ გიორგი შატბერაშვილი მას დაუკავშიროს, უშედეგო გამოდგა.

1935 წლის 1 აპრილის ოქმი საინტერესოა იმით, რომ აქ ნიღაბი აეხადა პლატონ ქიქოძეს და წარმოგვიდგა ნამდვილი სახით – რედაქტორ-დამსმენი. გამოძიებელმა გიორგი შატბერაშვილს დაუსვა ასეთი კითხვა:

„თქვენი უკანასკნელი ლექსები, რომლებიც გამოქვეყნდა გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“ და ჟურნ. „მნათობში“ (იგულისხმება „წერილი ახალგაზრდობას“ და „თ... ჩ–ს“ (ბ.ა.), არის დაუფარავი ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა. ვისი გავლენით და ვისი დავალებით დაწერე ეს ლექსები?“

ხედავთ სად იჩინა თავი დამბეზლებლურმა რეცენზიებმა, რომელთა ავტორებმა გიორგი შატბერაშვილი კულაკურ, ფაშისტურ, ტროცკისტულ პროპაგანდაში ამხილეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩეკაში მძიმე ბრალდებად წაუყენეს. ასე მუხანათურად

იყო მოწყობილი საბჭოთა სტრუქტურები. ამ კითხვასაც გიორგი შატბერაშვილი უდანაშაულო კაცის სიწრფელით პასუხობს: „პირველი ლექსი, რომელიც ახალგაზრდობას ეძღვნება, მე დავწერე პლატონ ქიქოძის დავალებით. მაგრამ ამ ლექსის ფორმის და შინაარსის შესახებ მითითება არ მოუცია. მან დამავალა დამეწერა ლექსი ახალგაზრდობის, მათი ამოცანების და მომავლის შესახებ. ვიცოდი, რომ პლატონ ქიქოძეს უყვარდა ჩერნიშევსკი. ამიტომ, ამ ლექსს წავუძღვარე ჩერნიშევსკის ციტატი: „Светлом будущем молодежи“. მაშინ პლატონ ქიქოძე მუშაობდა ქუთაისის ლიტერატურული გაზეთის რედაქტორად და ეს ლექსი გამიზნული იყო ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ნომრისთვის. დავალების მიღების შემდეგ, მე დავწერე დიდი ლექსი და როცა პლატონ ქიქოძე მეორედ ჩამოვიდა თბილისში, მე მას წავუკითხე ეს ლექსი. პლატონ ქიქოძეს ლექსი ძალიან მოეწონა და ამის შესახებ განაცხადა კიდევ ირაკლი აბაშიძის, შალვა შავგულიძის, გიორგი კაჭახიძის, გრიგოლ აბაშიძის, მამია ასათიანის თანდასწრებით რესტორან „სიმპატიასი“. მან თქვა, რომ ეს ლექსი გამოხატავს მის განწყობილებას და ზეპირად თქვა ამ ლექსის ერთი ნაწყვეტი. ამ ლექსის გამოქვეყნებამდე წინასწარ მომცა პლატონ ქიქოძემ ჰონორარი 275 მანეთი.

მეორე ლექსი, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ (№9) გამოქვეყნდა, გამოხატავს ჩემს მაშინდელ განწყობილებას, ჩემს უიღბლო სიყვარულს. ინიციალები – „თ. ჩ-ლ“, რომელიც ლექსს უძღვის წინ, ასე იშვიფრება: თამარ ჩოლოყაშვილი. ეს ლექსი მას მიუძღვნენ. ამის შესახებ მე შემეკითხა ცეკაში ამხ. ორაგველიძე და დავეძალე, რომ ლექსი მიუძღვნენი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს და გამოვიგონე გვარი, ჩეჩელაშვილი თამარ“.

ახლა ვნახოთ ამ კითხვაზე როგორ პასუხობს პლატონ ქიქოძე. „ჩემი დამოკიდებულება მათდამი? (იგულისხმება გიორგი შატბერაშვილი და გრიგოლ აბაშიძე, ბ. ა.). ჩემი მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე შევძელი დამერღვია ჯერ მათ შორის მეგობრობა, შემდეგ მათი ამხანაგური დამოკიდებულება დანარჩენ ახალგაზრდა მწერლებთან. ეს მე შევძელი. მე მათ თვალს ვადევნებდი და როგორც თქვენთვის (ე. ი ჩეკას გამომძიებელი ივანე კიკნაძისათ-

ვის). ცნობილია, სწორედ მე ვამხილე ისინი, თუმცა იმ მომენტში ისინი ძალიან ცდილობდნენ ჩემთან დაახლოებას და თანამშრომლობას. ამის შედეგი იყო ის, რომ კინალამ შეეცდი და არ დავეჭდე გაზ. „სიტყვა და საქმეში“ გიორგი შატბერაშვილის ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“, მივხვდი რა ამ ლექსის ფარულ ანტისაბჭოთა შინაარსს, ალბათ განსოვით დაბეჭვდამდე თქვენ მოგიტანეთ მისი ორიგინალი, ჯერ კიდევ 1934 წელს. ყოველივე ამ საშიშროების შესახებ მე თქვენ მოგეცით სიგნალი“ (ხაზგასმა ჩვენია. ბ. ა).

აი, ჩვენ წინ გამოიკვეთა 30-იანი წლების რედაქტორ-დამსმენის ტიპიური სახე. პლატონ ქიქოძე ამ ლექსს დაბეჭვდამდე („წერილი ახალგაზრდობას“) პოეტებს შორის აქებს, შემდეგ მიღის ჩეკაში და მის ავტორს აბეზღებს.

პლატონ ქიქოძე ჩეკას კაცი რომ იყო, ჩანს კიდევ მის საქმეში დაცული ერთი ბარათით. ის გამომძიებელ ივანე კიკნაძეს შინაური კაცის საყვედურით წერს: „ამდენხანს ჩემ საქმეს კი არა პარტიის ისტორიას შეისწავლიდა კაცი. რაშია კაცო საქმე? ნუთუ იმდენი პატივი არ შეგიძლიათ დამდოთ, რომ დააჩქაროთ ჩემი საქმე?“.

3. ქიქოძე.

15.III.35 წელი.


თუმცა არ არის აღმოჩენა, მაგრამ პლატონ ქიქოძე შეგნებულად ეხმარება გამომძიებას და აკვალიანებს მას. მივყვეთ მასზე არსებულ საარქივო მასალას და დავინახავთ, როგორ „დაუხასიათა“ ჩეკას „მეგობარი“ მწერლები.

„ფრიდონ ნაროუშვილი: გარკვეულ დრომდე ის იყო ქართულ ლიტერატურაში პარტიულ-კომკავშირული პრესის და კრიტიკის მიერ საყოველთაოდ აღიარებული, მოწინავე, ასე გასინჯეთ წამყვანი პროლეტარული მწერალი. თუმცა პოეზიაში ჰქონდა დაშვებული ცალკეული შემოქმედებითი შეცდომები. ფრიდონ ნაროუშვილის მონაწილეობით შედგენილი გვქონდა მწერალთა ბრიგადა და ეწეოდა გააფთრებულ ბრძოლას მემარცხენე კონტრრევოლუ-

ციურ ფედერალიზმთან. ჩვენი კოლექტიური წერილები დავბეჭდეთ გაზ. „კომუნისტში“, 1933 წელს. მე ფრიდონ ნაროუშვილთან სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი. მას აღარ ვხვდებოდი და ხმას არ ვცემდი. ჩვენი დაშორების მიზეზი იყო ის, რომ ძალიან გაამაყდა, მასში გაჩნდა თვითკმაყოფილების გრძნობა, მან თავი წარმოიდგინა სიტყვის დასრულებულ ოსტატად, დაავადდა წვრილბურჟუაზიული ბოჰემური განწყობილებებით, დაიწყო ლოთობა და კარტის თამაში. ჩვენი მეგობრობის განხეთქილების უშუალო მიზეზი იყო ის, რომ ერთხელ მე მას მივუსწარი ოთახში კარტის მოთამაშეთა კამპანიაში. მე იქვე ვეჩხუბე, კარგად გავლანძღე და ამის შემდეგ მე მას აღარ შევხვედრივარ. ნამდვილად მისმა ყოფითმა თავაშვებულებამ ამის შემდეგ კიდევ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო, დაიწყო სმა და მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს. ამის შემდეგ ის წავიდა ზესტაფონში, ქარხანაში მუშად. ჩვენი მეგობრობა აღარ აღმდგარა, მხოლოდ დაჯგუფების სიავემ შეიძლება აიძულოს ადამიანები, რომ ჩემ წინააღმდეგ გამოილაშქრონ და მაიძულონ მე პასუხი ვაგო ზესტაფონის გაზეთში გამოქვეყნებულ ფრიდონ ნაროუშვილის ლექსზე.

შალვა შავგულიძე: ის ბოლო დრომდე მეგობრობდა ფრიდონ ნაროუშვილთან, მე ყოველნაირად ვცდილობდი ნეიტრალიზება მომეხდინა და მომეხსო ფრიდონ ნაროუშვილის გავლენა შალვა შავგულიძეზე. შალვა შავგულიძე ხელმძღვანელობდა ხელოვნების სექტორს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“. ზოლო, ბოლო ორი თვე ჩემთან მუშაობდა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში შეთავსებით. მისი ნაწერების შესახებ მე უკვე ვილაპარაკე ლ. პ. ბერიასადმი მიწერილ წერილში. ძირითადად იგი ჯერ კიდევ არასრულყოფილი კომკავშირელი ლიტერატორია. მაგრამ, მე მის სტატიებში ვერ დავინახე ტროცკიზმი. ამ სტატიებში არის ცოტა ზედმეტად მღელვარე ტონი, რაც კონტრევოლუციური სიმართლისადმი მიდრეკილებით აიხსნება. ეს კი ნამდვილად არის შალვა შავგულიძის სტატიებში, მაგრამ არა იმდენი დოზით, რომ ის ჩავთვალოთ ტროცკისტად.

ლიბიტრი ბენაშვილი: ესეც შედიოდა ბრიგადაში, რომელიც გამოდიოდა სოციალ-ფედერალიზმის წინააღმდეგ (იხ. წიგნი



ფოტო გადაღებულია 1952 წელს ქალაქ ზაპოროჟიეში. მარცხნიდან: ალექსანდრე ჭვიშვილი, ვიორჯი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე.

რუსულ ენაზე – „სოციალ-ფედერალიზმის წინააღმდეგ კრიტიკაში“. ეს წიგნი მე თქვენ წარმოგიდგინეთ). ჩემი მოსკოვიდან (1933 წ.) ჩამოსვლისთანავე მე იმ წუთსვე შევნიშნე დიმიტრი ბენაშვილის გადახრა. ეს გადახრა მდგომარეობდა ზოგიერთი მწერლის შემოქმედების არასწორ გაგებაში (მაგ. კარლო კალაძე). მე გამოვედი სპეციალური სტატიით „ერთი პოეტური და სხვა კრიტიკული შეცდომები ლიტერატურულ გაზეთში“ (1933 წ.). ამის შემდეგ დიმიტრი ბენაშვილთან არავითარი კავშირი არ მქონია, არც ეხვედებოდით, თუმცა ერთმანეთს მაინც ვესალმებოდით და მეტი არაფერი.

ამრიგად, ჩამოთვლილი მწერლებიდან ორთან (გიორგი შატბერაშვილი და გრიგოლ აბაშიძე) არ მქონია მეგობრული დამოკიდებულება და მათ ვებრძოდი: ორთან (ფრიდონ ნაროუშვილი და დიმიტრი ბენაშვილი) მქონდა მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ, 1933 წლიდან გავწყვიტე. შალვა შავგულიძესთან უკანასკნელ, ე.ი. დაპატიმრებამდე ვმეგობრობდი...“

ვისაც როგორ შეეძლო, ისე ცდილობდა თავის გამართლებას, ფრიდონ ნაროუშვილმა უარყო შალვა შავგულიძის ნათქვამი: „ზევით თუ ბელადისათვის“ სროლის შესახებ. თუმცა იქვე დაუმატა, ასეთი რამ შეიძლება ითქვას სუფრაზე, მაგრამ უგონოდ მთვრალი ვიყავი და არ მახსოვსო. ის ცდილობს გამოძიებას კვალი აურიოს და პასუხისმგებლობა აიცდინოს. ამიტომ აძლევეს გამოძიებელი ერთ-ერთ ბრალდებულს ასეთ კითხვებს: „რა როლდენობის ღვინო იქნა დალეული ვახშამზე?“

პასუხი: ექვსი ბოთლი ღვინო და 2-3 ბენედიქტინი.

კითხვა: რამდენი კაცი იყავით ამ ვახშამზე?

პასუხი: ხუთი კაცი.

კითხვა: ვახშამზე იყავით თუ არა სადმე რესტორანში?

პასუხი: არა!

კითხვა: ვახშამის შემდეგ თქვენ შორის იყო თუ მთვრალი?

პასუხი: არავინ არ ყოფილა, მარტო მე ვიყავი მთვრალი.

კითხვა: იყავით თუ არა ისეთი მთვრალი, რომ სახლში მიგიყვანეს?

პასუხი: როგორ მივედი სახლამდე არ მახსოვს. ამ შემთხვევი-

დან დიდი დრო გავიდა.

კითხვა: რა მდგომარეობაში იყო ფრიდონ ნაროუშვილი?

პასუხი: უგრძნობ მდგომარეობაში არ ყოფილა“.

ამ უკანასკნელი კითხვით გამომძიებელმა შეამოწმა ფრიდონ ნაროუშვილის ჩვენება. ის დარწმუნდა, რომ მართალს არ ამბობდა.

ახლა მივხედოთ გამომძიებლის წინ მჯდომ ნაწამებ გიორგი შატბერაშვილს და გავეცნოთ მის პასუხებს. გამომძიებელი არ ეშვება და ცდილობს რაც შეიძლება ღრმად ჩაძიროს:

„კითხვა: პოლიტიკური ბანდიტის ქაჩუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილის სახელის და გვარის ინიციალები რატომ ჩასვით თქვენი ლექსის „განთიადის დასაწყისის“ სათაურის ქვეშ დაბეჭდვის წინ, როცა რედაქციამ ეს ინიციალები ამოიღო ნაბეჭდი თაბახიდან?

პასუხი: რედაქციას ინიციალების (თ...ჩ-ს) ამოღების მიზეზი ჩემთვის არ უთქვამს და ამიტომ კორექტურის წაკითხვის დროს უკანვე ჩავსვი.

კითხვა: გქონდათ თუ არა უფლება რედაქციის ნებართვის გარეშე ინიციალები უკანვე ჩავესვა?

პასუხი: არ მქონდა.

კითხვა: თქვენ არ გქონდათ უფლება აღგედგინათ ინიციალები, მაგრამ მაინც გააკეთეთ ეს და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში პოპულარიზაცია გაუწიეთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ქაჩუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს. რა მიზნით ჩაიღინეთ ეს?

პასუხი: არავითარი პოლიტიკური მიზანი არ ჰქონდა ამ ლექსს და ინიციალებს. მე ამით მინდოდა მიმექცია ყურადღება თამარ ჩოლოყაშვილისა, რომელიც მიყვარდა. ეს ლექსი ანტისაბჭოთა შინაარსის არ არის, მაგრამ მასში გადმოცემული განწყობილება არის პროპაგანდა სევდის, დაცემულობის და პესიმიზმის. მაგრამ ეს ყველაფერი გამოწვეულია, როგორც აღვნიშნე, ჩემი თამარ ჩოლოყაშვილისადმი უიმედო სიყვარულით.

**დაკითხა განყოფილების უფროსმა
პიპნაქმ**

19 მაისი, 1935 წ.

„ძიება“ მეთოდურად ცდილობს „საქმე“ შეუქმნას გიორგი შატბერაშვილს. ახლა უკვე იწყებს მოწმეების დაკითხვა-დაპირისპირებას და ცდილობს „ბელადის მოკვლის“ საქმეში გაიყვანოს. ოქმი, 1935 წლის 21 მაისით დათარიღებული. დაპირისპირება შემდგარა პატიმარ გიორგი შატბერაშვილსა და მწერალს ს. დ.-ს შორის.

კითხვა ს. დ.-ს: ადასტურებთ თუ არა თქვენს ჩვენებას, რომელიც მოგვეცით 1935 წლის 10 მარტს?

პასუხი: ვადასტურებ მთლიანად, მხოლოდ სიტყვა „ბელადის“ გამოკლებით. შალვა შავგულიძემ შესვა სადღეგრძელო შემდეგი ფორმით: „გაუმარჯოს კაცს, რომელიც გაისვრის ზევით“. ახალი ფაქტების შექმნე მე ასე მესმის – „გაუმარჯოს კაცს, რომელიც ბელადს ესვრის“.

კითხვა შატბერაშვილს: მართალია თუ არა ს. დ.-ს ნათქვამი და რა შეეძლია მას დაუმატო?

პასუხი: შალვა შავგულიძემ ვახშამზე (ნაროუშვილთან) ასეთი ფორმით შესვა სადღეგრძელო: „აუცილებელია ზევით სროლა“.. ეს სიტყვები ემთხვევა შალვა შავგულიძის აზრს იმის შესახებ, რომ პროლეტარული ლიტერატურა არის შევიწროებული და მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არის „გასროლა ზევით“. ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ „ვის გულისხმობს მაღლა სროლაში“, რაზეც პასუხი ვერ მივიღე. იქ მყოფი ფრიდონ ნაროუშვილი ცდილობდა შალვა შავგულიძის გაჩუმებას.

კითხვა შატბერაშვილს: ჰქონდა თუ არა ს. დ.-ს თქვენთან საუბარი ფრიდონ ნაროუშვილის ვახშამზე ნათქვამი სადღეგრძელოს დაზუსტების შესახებ, ვიდრე ჩეკაში გამოგვიძახებდნენ და რა უთხარი მას თქვენ?

პასუხი: გვქონდა, ჩვენ მენსიერებაში აღვადგინეთ ფრიდონ ნაროუშვილის ვახშამზე შალვა შავგულიძის ნათქვამი „ზევით სროლის“ შესახებ, რაც ჩვენი ვარაუდით ნიშნავდა ბელადისადმი სროლას“.

ვიდრე გიორგი შატბერაშვილისა და ს. დ.-ს შორის დაპირისპირება შედგებოდა, რამდენიმე ხნით ადრე მწერალი ს. დ.-ს მოწმედ იყო გამოძახებული ჩეკაში. ს. დ.-ს ჩვენებიდან მოვიტანთ

ერთ საინტერესო ამონარიდს:

კითხვა: იყავით თუ არა ქ. ქუთაისში, როცა პლატონ ქიქოძე იყო ქუთაისის ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი და გქონდათ თუ არა მასთან საუბარი?

პასუხი: ქ. ქუთაისში მე ვიყავი 1934 წელს გაზეთ „მუშა და კოლმეურნის“ რედაქციაში, სადაც მე გამოვუშვი ლიტერატურული გვერდი. პლატონ ქიქოძეს სასტუმროში შევხვდი, სადაც ცხოვრობდნენ გაზეთ „მუშა და კოლმეურნის“ რედაქციის თანამშრომლები. ჩემი გამოძგზავრების წინ, მე, პლატონ ქიქოძემ, გიორგი შატბერაშვილმა და ქუთაისის გაზეთის თანამშრომლებმა, რომელთა გვარები აღარ მახსოვს, ვისადილეთ ბაგრატიის ნანგრევებში. იქიდან დაბრუნების შემდეგ შევედი პლატონ ქიქოძის ოთახში, რომელსაც იქ ჰქონდა პატეფონი. პლატონ ქიქოძემ მომართა პატეფონი და დაუკრა ფირფიტა „Славное море бѣлый Байкал“. ფირფიტის დამთავრების შემდეგ პლატონ ქიქოძემ გაიცინა და თქვა: „ამბობენ, რომ ამ სიმღერის სიტყვები ტროცკის ეკუთვნისო“ (ამ სიტყვების ქვეშ წითელი ფანქრით ხაზია გასმული. ბ. ა.) თბილისში დაბრუნების შემდეგ შალვა შავგულიძემ არაერთხელ მითხრა, რომ ამ ფირფიტის სიმღერის ტექსტი ტროცკის არის და გადმოცემულია გაქცეული კატორღელის სევდიანი ფიქრები. ეს ფირფიტა არაერთხელ მოვისმინე შალვა შავგულიძესთან ერთად და პირადად მოწმე ვარ შალვა შავგულიძის მიერ ამ სიმღერით აღტაცებითა. შალვა შავგულიძე ამბობდა, რომ ეს ფირფიტა ყველაზე საუკეთესოა მის მიერ მოსმენილ ფირფიტებს შორის. ეს არის გმირული სიმღერა და ძალიან მოსწონს.

კითხვა: იცნობდით თუ არა გიორგი ფეოდოსიშვილს და რა შეგიძლიათ თქვათ მის პლატონ ქიქოძესთან, ფრიდონ ნაროუშვილთან და შალვა შავგულიძესთან ურთიერთობის შესახებ.

პასუხი: გიორგი ფეოდოსიშვილს ვიცნობდი, იყო ძველი კომკავშირელი და გარიცხეს ტროცკისტული მუშაობისათვის. გიორგი ფეოდოსიშვილი ახლოს იცნობდა პლატონ ქიქოძეს, ფრიდონ ნაროუშვილს და შალვა შავგულიძეს.

პლატონ ქიქოძეს მასზე კარგი შეხედულება ჰქონდა, როგორც

ლიტერატურულ მუშაკზე. მის შესახებ პლატონ ქიქოძემ თქვა თავის მოხსენებაში, რომანტიზმის შესახებ. პლატონ ქიქოძის სიტყვით გიორგი ფეოდოსიშვილი არის პოლიტიკური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი.

ერთხელ გიორგი ფეოდოსიშვილი შეგვხვდა მე და შალვა შავგულიძეს და გვითხრა, რომ ის რადიოდან გაანთავისუფლეს. ჩანს, ამის შესახებ მან შეჩვილა პლატონ ქიქოძეს, რომელსაც მისთვის ურჩევია გაჩუმებულიყო. გიორგი ფეოდოსიშვილის სიტყვით – პლატონ ქიქოძე თვითონ ყოფილა შეშინებული. 1935 წლის მარტი“.

გამომძიებელი მოწმე ს. დ-ს არ ეშვება და დაჟინებით ცდილობს ამომწურავი პასუხი მიიღოს. ის ჯერ კიდევ სტუდენტია და სამწერლო ასპარეზზე ფეხი ახალი შედგმული აქვს. ალბათ გამომძიებელს უნდა ისარგებლოს მისი ახალგაზრდობით, გამოუცდელობით და ფიქრობს მეტი დასცინცლოს. მოვიტანთ ერთ ფრაგმენტს ს. დ.-ს დაკითხვის ერთ-ერთი ოქმიდან (1935 წ. 16 მარტი).

„კითხვა: 27 თებერვლის დაკითხვაზე ფრიდონ ნაროუშვილის ვახშმის შესახებ, რომელიც მის ბინაზე შედგა, თქვენი პასუხი ამომწურავი არ არის. გამოძიებას უნდა მისცეთ უფრო დაწვრილებითი ჩვენება. ამ ვახშამზე რას საუბრობდნენ თვითოეული და ყველა ერთად?

პასუხი: ახალგაზრდა მწერლები შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, გიორგი შატბერაშვილი და მე უკმაყოფილონი ვიყავით ცისფერყანწელთა შემოქმედებით, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ეწეოდნენ აპოლიტიკურობის პროპაგანდას. 1934 წელს გადავწყვიტეთ დაგვეწყო აქტიური შემოქმედებითი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. უნდა გვემხილებინა ისინი იმაში, რომ მათი ლექსები იყო ლიტერატურაში სიმბოლიზმისაკენ მიბრუნება. ამის შესახებ სტატიით გამოვიდა ფრიდონ ნაროუშვილი, შალვა შავგულიძე და დიმიტრი ბენაშვილი. ისინი აკრიტიკებდნენ სიმბოლისტებს. ეს წერილი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“, შემდეგი სათაურით „პოლიტიკური პოეზიისათვის“. რადგან ეს წერილი წავიდა დისკუსიის სახით, არ მოეწონა „სიტყვა და

საქმის“ რედაქტორს პლატონ ქიქოძეს, რომელმაც განაცხადა, რომ ეს წერილი ქუთაისის გაზეთში უნდა გამოქვეყნებულიყო. მას დაბეჭდავდა, როგორც ავტორთა პოზიციას. 1934 წ. „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებამდე ხსენებული წერილის ავტორებმა, მთელმა ჯგუფმა ფრიდონ ნაროუშვილის ბინაზე მოვაწყეთ ვახშამი. ამ ვახშამს ესწრებოდნენ ფრიდონ ნაროუშვილი, შალვა შავგულიძე, გიორგი შატბერაშვილი და დიმიტრი ბენაშვილი. ვახშამის მიზანი იყო ფრიდონ ნაროუშვილის და დიმიტრი ბენაშვილის შერიგება, რომლებსაც ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. ვახშამზე თამადად მე ამირჩიეს, მაგრამ ჩემი თამალობა არ მოეწონათ და გადამაყენეს. თავისუფალი სადღეგრძელოები დაიწყეს. სხვადასხვა სადღეგრძელოებიდან მაგონდება შალვა შავგულიძის სადღეგრძელო, რომელიც „ესვრის ბელადს“. ეს სადღეგრძელო დამამახსოვრდა შემდეგი გარემოების გამო: როცა მე გადავხედე თანამეინახეებს, შალვა შავგულიძის გარდა არავის არ ეჭირა ხელში ჭიქა და ყველანი დუმდნენ. გიორგი შატბერაშვილი შეეკითხა შალვა შავგულიძეს – „ვის უნდა ესროლოსო?“, მაგრამ ვერ მიიღო პასუხი და კვლავ კითხა. „მაღლა“. ყველა დუმდა, ეს დუმილი თანხმობას ნიშნავდა. ამის შემდეგ მეც ვიკითხე რაშია საქმე, რაზეა ლაპარაკი-მეთქი, რაზეც შალვა შავგულიძეს გაეცინა და სთქვა – შენ გულუბრყვილო ბავშვი ხარო. ვახშამის დამთავრების შემდეგ, გიორგი შატბერაშვილმა მითხრა, რომ ლაპარაკი იყო „ბელადისადმი სროლაზე“. გიორგი შატბერაშვილმა ეს გაიმეორა 1935 წელს, როცა მე გამომიძახეს ჩეკაში. ვიდრე მე თქვენთან მოვიდოდი, მე მინდოდა ზუსტად აღმედგინა ყველა ფაქტი, რომელიც ამ ჯგუფთან იყო დაკავშირებული და ამიტომ მქონდა საუბარი გიორგი შატბერაშვილთან, რომელმაც მომაგონა, რომ სადღეგრძელო „კაცის, რომელიც ბელადს ესვრის“ დალია შალვა შავგულიძემ. ყველაფერი ეს ზუსტად აღვადგინე მეხსიერებაში. დაკითხვის შემდეგ, როცა მე არაზუსტად მივუთითე ეს ფაქტი, ნაცვლად შალვა შავგულიძისა, ვთქვი ფრიდონ ნაროუშვილი.

კითხვა: რა შეგიძლია თქვამთ პლატონ ქიქოძის შესახებ?

პასუხი: პლატონ ქიქოძის უშუალო გავლენის ქვეშ იზრდე-



ცენტრში ზის პოეტი ვალაქტიონ ტაბიძე, მისგან მარცხნივ კი დვას გიორგი შატბერაშვილი.

ბოდა შალვა შავგულიძე, რომელმაც არაერთხელ სცადა პლატონ ქიქოძის გარშემო გავერთიანებულიყავით. პლატონ ქიქოძესაც თვითონ არაერთჯერ ჰქონდა საუბარი ჩემთან. განსაკუთრებით საინტერესოა ახალი ფაქტები მისი ჩემთან საუბრისას. პლატონ ქიქოძემ მკითხა – ვისთან ხარ შენ? ჩემ კითხვაზე თუ რას გულისხმობს ამ კითხვაში, მან ეს ხუმრობაში გაატარა. როცა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში პლატონ ქიქოძემ 1935 წელს გამიმეორა – ჩემი სახით ვისთან აქვს საქმე, მე შევეუტიე და ვუთხარი – რა გინდა ჩემგან მეთქი. მან მიპასუხა – ამ საქმეზე შალვა შავგულიძე მოგელაპარაკებო. ხოლო შალვა შავგულიძემ ჩემ დაჟინებულ კითხვაზე – რას მოითხოვთ ჩემგან-მეთქი, არაფერი არ მიპასუხა.

თქვენ ყურადღებას მივაპყრობ კიდევ უფრო ახალ ფაქტებზე. ეს ეხება პლატონ ქიქოძის დამოკიდებულებას ერთ ჩემ ლექსისადმი. ეს ლექსი დაიბეჭდა ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთში. ამ ლექსში მაქვს ერთი ასეთი სტრიქონი: „თქვენ გაქვთ სამშობლო,

სტალინის ქვეყანა“. პლატონ ქიქოძემ შეცვალა და სტალინის მაგიერ ჩასვა ლენინი. აგრეთვე სხვა ფაქტიც. „ლიტერატურულ გაზეთში“ 1934 წელს გამოვაქვეყნე ლექსი „ჩვენს სტუდენტობას“, რომელშიც ვწერდი სტალინზე, როგორც ჩვენ საყვარელ ბელადზე. ეს ლექსი ხელნაწერში წაუკუთხე პლატონ ქიქოძეს, რომელმაც მისი შეფასების დროს სთქვა – ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სტალინი აქ არაფერ შუაში არ არისო.

კითხვა: რა შეგიძლიათ სთქვათ შალვა შავგულიძის პოლიტიკური განწყობილების შესახებ?

პასუხი: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილება ზინოვიევის კონტრრევოლუციური ცენტრის შესახებ, შალვა შავგულიძემ წაიკითხა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში მუშაკების თანდასწრებით. ევლოკიმოვის განცხადების წაკითხვის შემდეგ მან მითხრა: „ეს ევლოკიმოვის განცხადება არ არის, ევლოკიმოვი ასეთ განცხადებას არ დაწერდა. ალბათ ის აიძულეს და დააწერინეს“. შალვა შავგულიძის ეს განცხადება რედაქციაში ჩემს გარდა არავის არ გაუგონია.

კიდევ შემდეგი ფაქტი: ვასო ლომინაძის თვითმკვლელობის შესახებ შალვა შავგულიძემ მე მითხრა: „მე მესმის ლომინაძის ტრაგედია, ჩანს მას დააბრალებს ისეთი რამე, რაშიც ის მართალი იყო. და ამ ცილისწამების გამო მოიკლა თავი“. საერთოდ შალვა შავგულიძე, რაც პლატონ ქიქოძე გაიცნო, ძალიან შეიცვალა, ამის შემდეგ ის პოეზიის და ხელოვნების საკითხებში მემარცხენეობას ამჟღავნებდა. ახალი ფაქტების შუქზე შალვა შავგულიძე ცდილობდა დაგვახლოვებოდა მე და გიორგი შატბერაშვილს. მისი გადაკრულად ნათქვამი „ვისთან ვართ ჩვენ“, მე გავიგე, როგორც ცდა იმისა, რომ ჩვენ პლატონ ქიქოძესთან დავეახლოვებინეთ, რათა პლატონ ქიქოძის იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოვქცეულიყავით“.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ამბავი მოხდა უმძიმეს პოლიტიკურ პირობებში, როცა არ მოქმედებდა ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის კანონი. ე. ი. კანონი ადამიანს არ იცავდა. ამას კი ჩეკას გამოძიებლები კარგად იყენებდნენ და თავიანთი სურვილის მიხედვით წყვეტდნენ ადამიანის ბელს. ეს კი საზოგად-

ლოებაში იწვევდა შიშს და ძრწოლვას. ყველა ცდილობდა ოდნავი შეხების წერტილიც კი არ ჰქონოდა, არამც თუ ჩეკასთან, არამედ იქ მოხვედრილ განწირულთან. ამიტომ პოეტ ს. დ.-ს ჩვენება არის შეშინებული ადამიანის თავდაცვის ინსტიქტით გამოწვეული რეაქცია. მითუმეტეს ამ დროს იგი 19 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა იყო და სთქვა ის, რაც ნახა და გაიგონა. რასაკვირველია ეს ჩაიდინა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალდატანებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას, ისე როგორც გიორგი შატბერაშვილს, ცილი არავისთვის დაუწამებია და თავის დაძვრენის მიზნით ცრუ ჩვენება არ მიუცია. რაც შეეხება ფრიდონ ნაროუშვილის ვახშამზე თუ წვეულებაზე შალვა შავგულიძის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს, ამის შესახებ ჩეკა უკვე ინფორმირებული იყო პოეტ-აგენტ „დილასგან“.

პლატონ ქიქოძე უნიჭო კრიტიკოსი არ ჩანს, მაგრამ პიროვნება ვერ იყო რიგიანი. ამიტომაც ამ ჯგუფის ყველა წევრი, მისი მეგობრებიც ფრიდონ ნაროუშვილი, შალვა შავგულიძეც კი ცუდად ახასიათებენ... თუმცა უნდა ითქვას, ფრიდონ ნაროუშვილი და შალვა შავგულიძე არც ერთმანეთს ზოგავენ და გამოძიებას აძლევენ ერთმანეთის დამღუპველ ჩვენებას, რასაც ადასტურებს საარქივო მასალა.

გიორგი შატბერაშვილის ე. წ. საქმის სურათი სრული არ იქნება, თუ ამ ჯგუფის ზოგიერთი წევრის საგამომძიებლო მასალას კიდევ არ გავეცნობით. ავიღოთ ფრიდონ ნაროუშვილის დაკითხვის ერთ-ერთი ფაქტი.

„კითხვა: თქვენ ბრალი გეძებათ იმაში, რომ იყავით კომკავშირელი, მაგრამ ეწეოდით ტროცკისტულ მუშაობას, კავშირი გქონდათ ორპირ ქიქოძესთან და ეწეოდით თქვენს ლექსებში კონტრრევოლუციურ ტროცკისტული იდეების პროპაგანდას.

„პასუხი: ტროცკისტულ ოპოზიციაში არასდროს არ ვყოფილვარ. 1927 წელს მე წინადადებით მომმართა ჩემმა ძველმა ნაცნობმა ათანასე კოკაიამ, მემუშავა ტროცკისტულ ოპოზიციაში, რაზეც მე უარი განვუცხადე. მას ვუთხარი, რომ მოვიფიქრებ მეთქი და მერე ვეტყვოდი პასუხს. ამის შემდეგ ათანასე კოკაია არ მინახავს. მის ამ წინადადების შესახებ მე ღაწურე პოემა –

„სხვადასხვა თემაზე“ (დაიბეჭდა გაზ. „На рубеже востока“-ში). 1927 წლიდან 1933 წლამდე მე ვიყავი პლატონ ქიქოძის ლიტერატურული ჯგუფის წევრი. ეს ჯგუფი იმყოფებოდა ტროცკისტ ვარდინის გავლენის ქვეშ და წარმოადგენდა ლიტერატურაში ანტიპარტიული ოპოზიციის გამოძახილს. ჩვენი ჯგუფი, ვარდინის გარდა მხარს უჭერდა ბეზიმენსკის, გორბახევის და ლელევიჩის.

1929 წელს პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მომენტში მოსკოვში პლატონ ქიქოძე, მე და გიორგი ფეოდოსიშვილი დავესწარიტ ბეზიმენსკის მიერ ჩატარებულ სხდომას.

კითხვა: როგორ გავიგოთ ლექსი „ამწვანდა მთები ომის წინ, სადაც არწივთა ძვლები ყრია.“

პასუხი: ამ ლექსის გაგება სხვადასხვანაირადაც შეიძლება.

კითხვა: გქონდა თუ არა ვახშამი 1934 წელს შენ ზესტაფონში წასვლამდე და ვინ იმყოფებოდა ამ ვახშამზე?

პასუხი: ვახშამზე იყვნენ მე, გიორგი შატბერაშვილი, შალვა შავგულიძე, დიმიტრი ბენაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ალიო ადამია.

კითხვა: ამ ვახშამზე შალვა შავგულიძემ განაცხადა თუ არა, რომ პროლეტარული ლიტერატურა საქართველოში შევიწროვებულია და ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არის „გასროლა ზევით“.

პასუხი: ამ ვახშამზე და სხვაგანაც, როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა პროლეტარული ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ, მე ვამბობდი, რომ პროლეტარულ ლიტერატურას სდევნის მწერლობის ეროვნული ფრონტი, რომლის წარმომადგენლები არიან მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი და სხვა. რაც შეეხება „გასროლას ზევით“, ამის შესახებ ამ ვახშამზე და სხვაგანაც ლაპარაკი არ ყოფილა.

კითხვა: რა საქმის გამო ჩამოვიდა შალვა შავგულიძე ზესტაფონში თქვენთან?

პასუხი: ამ წელს შალვა შავგულიძე ზესტაფონში 3-ჯერ ჩამოვიდა. ყოველთვის მთხოვდა ლექსებს გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოსაქვეყნებლად, მაგრამ კატეგორიულად ვუბნებოდი უარს, რადგან ამ გაზეთის რედაქტორი იყო პლატონ ქიქოძე“ (ოქმი, 1935 წ., 14 მარტი).

ახლა გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი ტრადიციონალური დოკუმენტი, რომელიც ჩეკას ხელში „სერიოზულ მამხილებელ“ ფაქტად იქცა. ეს არის შალვა შავგულიძის წერილი გავზავნილი ფრიდონ ნაროუშვილისადმი ზესტაფონში. წერილი დაცულია ფრიდონ ნაროუშვილის საქმეში:

„სალამი ფრიდონ! ამ წერილს სასწრაფოდ ვწერ. ამბები აქეთ თითქმის უცვლელია. როდის იყო ჭაობი ასე მალე იცვლიდა ამინდს? საერთოდ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ეს ჩინოვნიკები არა ერთ და ორ ჭაბუკს მონიელებს. იმედით რჩება მხოლოდ ის, რომ დოლიაშვილის ხანჯალი (აქ არის წითელი ხაზი გასმული გამომძიებლის მიერ. ბ. ა.) ჯერ კიდევ დაუქანავია და მისი კანონიერი მექვიდრეები ალბათ ჩვენ ვიქნებით.

ჩემი საქმე ძალიან აბნეულია. მე ყველაზე უფრო ის მწყინს, რომ „დიდებულმა მზემ თავის წრეს შემოუარა“ და ის მზე ხვალ რომ ამოვა, ასეთივე ულამაზო და გაუბედავი იქნება. მაგრამ ეს ისე, მიმდინარე საკითხებში შენი ამბობების ირგვლივ ახალი არაფერია, როგორც ჩანს, წინასწარ ზომებს გადაუწყვეტია საქმე. საერთოდ იცი რას გეტყვი? ყველაფერს სჯობია ნაროდნიკობას გაანებე თავი (ასე ფიქრობენ შენზე უფლებამოსილი ადამიანები) და დაბრუნდი ტფილისში. ლირიკული გაზაფხული რა დღეშია? გოგზავნი შენიას წერილს და გადაეცი.

შალიკო, II.2.35 წ.“

ამ წერილთან დაკავშირებით მოგვაქვს ფრიდონ ნაროუშვილის დაკითხვის ოქმის ფრაგმენტი (1935 წ. 11 მაისი).

კითხვა: ძიებამ თქვენ წარმოგიდგინათ პატიმარ შალვა შავგულიძისაგან მიღებული წერილი (11 თებერვალი, 2. 1935 წ.), რა კვალიფიკაციას აძლევთ ამ დოკუმენტს?

პასუხი: ამ წერილს ვაძლევ კონტრრევოლუციური დოკუმენტის კვალიფიკაციას, რომელიც გაჟღერებულია ტროცკისტულ-ზინოვიევიური გამოთქმებით და პოზიციით.

კითხვა: რა საფუძველი ჰქონდა შალვა შავგულიძეს აღნიშნუ-

ლი დოკუმენტი თქვენ გამოვიგზავნათ, თუ თქვენ არ იზიარებდით მის კონტრრევოლუციურ განწყობას?

პასუხი: მე ამას იმით ვხსნი, რომ მას სურდა ჩემი გადაბირება და გადასვლა პლატონ ქიქოძის კონტრრევოლუციურ პოზიციასზე.

კითხვა: თუ თქვენ შავგულიძე-ქიქოძის თანამოზიარე არ იყავით, მაშინ როგორ ავხსნათ ის, რომ თქვენ პარტიას დაუძალეთ ეს დოკუმენტი?

პასუხი: ამ წერილს კონტრრევოლუციურ დოკუმენტად არ მივიჩნევდი, ამიტომ არ ჩავთვალე საჭიროდ მისი პარტიასთან მიტანა. ახლა წერილის შინაარსის ღრმა ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ წერილი არის ტროცკისტული დოკუმენტი.“

შალვა შავგულიძის წერილში ნახსენებია დოლიაშვილის ხანჯალი. გამომძიებელი ეკითხება ფრიდონ ნაროუშვილს, თუ რა ხანჯალზეა ლაპარაკიო.

ფრიდონ ნაროუშვილი გამომძიებელს აძლევს ასეთ პასუხს: „ამ წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ჩინოვნიკებმა“, ჩემი აზრით, მხედველობაში აქვს პარტიული ხელმძღვანელობა, არაერთი ახალგაზრდა ნიჭი დაღუპეს. „ამ მდგომარეობიდან დარჩა ერთადერთი გამოსავალი – დოლიაშვილის ხანჯალი (ახალგაზრდა მუშა-პოეტი, ბოლშევიკური პარტიის წევრი) ჯერ არ დაჟანგებულა და მისი კანონიერი მემკვიდრეები ვართ ჩვენ“. ამ გამოთქმას მე მივიჩნევ შალვა შავგულიძის კონტრრევოლუციურ-ტერორისტული განწყობილების გამომხატველად. როცა თებერვალში თბილისში ვიყავი, მე მქონდა საუბარი შალვა შავგულიძესთან, არსებითად წერილის შესახებ მას ჩემთვის არაფერი არ უთქვამს. უნდა ითქვას, რომ მისი ამგვარი განწყობილების შესახებ შემდეგ შევიტყვე.“

იქნებ მართლა არსებობდა მუშა-პოეტი ვინმე დოლიაშვილი, მაგრამ შალვა შავგულიძის მიერ ნახსენები ხანჯალი, რომლის კანონიერ მემკვიდრედ თავისი თაობა მიაჩნია, უნდა იყოს იოსებ ლალიაშვილის ხანჯალი, რითაც მან მოკლა თბილისის სემინარიის რუსი რეაქციონერი რექტორი ჩუღეცკი.

ამ მცირე კომენტარის შემდეგ მივყვით ოქმს:

„კითხვა: თქვენ იცოდით კონტრრევოლუციური პოზიცია პლატონ ქიქოძის და შალვა შავგულიძის. მათ უნდოდათ თქვენს გადაბირება თავიანთ ჯგუფში. მაშინ რატომ დაუმაღეთ პარტიას ეს ფაქტი?

პასუხი: მე ტერორიზებული ვიყავი პლატონ ქიქოძის მიერ და მის წინააღმდეგ გამოსვლის მეშინოდა, როგორც ცენტრალური გაზეთის რედაქტორის! მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ვიცოდი ჩემი მის წინააღმდეგ გამოსვლა უშედეგო იქნებოდა და ის დაუსჯელი დარჩებოდა, მე კი დამსჯიდნენ.

კითხვა: იცოდით თუ არა შალვა შავგულიძის ტერორისტული განწყობილების შესახებ? უფრო კონკრეტულად მისი განზრახვა ჩვენი პარტიული ბელადის მოკვლის თაობაზე.

პასუხი: არ მახსოვს.

დაკითხვის ოქმი წავიკითხე: **ნაროუშვილი**

განყოფილების უფროსი: **პიკნაძე**“.

ეს საბუთი, თუ შეიძლება ამ უწყინარ მოკითხვის ბარათს ასე ეწოდოს, ივანე კიკნაძის ხელში იქცა მრისხანე მამხილებელ დოკუმენტად, რითაც ამ „ჭკვიანმა“ ჩეკისტმა შალვა შავგულიძის და ფრიდონ ნაროუშვილის ანტისაბჭოთა „ტერორისტული“ განწყობილება „დაადგინა“.

ახლა კი მკითხველს ვთხოვ მოთმინებით აღიჭურვოს და ბოლომდე ჩაიკითხოს ფრიდონ ნაროუშვილის მიერ გამოძიებლისათვის მიცემული ერთ-ერთი ჩვენების, უფრო სწორი იქნება პოლიტიკური „დანოსის“ მოზრდილი ფრაგმენტი (ავტორის სტილი დაცულია. ბ. ა.).

„ჩემი ჩვენების საბოლოო დამატება

1927 წლიდან მოყოლებული 1933 წლის ბოლომდე მე ვიმყოფებოდი იმ ლიტერატურულ დაჯგუფებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქიქოძე, რომელიც ეწეოდა გამხრწნელ მუშაობას. მე ძლიერ გვიან შევიგენი მთელი სისამაგლე და მავნებლური ხასიათი მისი მუშაობისა.



მარჯვნიდან: რევაზ ჯაფარიძე, გიორგი შატბერაშვილი, ბორის ჩხეიძე, მიხეილ მრევლიშვილი, შემდეგის ვინაობა უცნობია.

1924-1925 წლებში მე ვიბეჭდებოდი გაზ. „კომუნისტის“ დამატება „ჩირალდანში“ და როგორც მუშკორი ვბეჭდავდი წერილებსაც. მაგრამ „ჩირალდნის“ გამოსვლის შეწყვეტის შემდეგ მე ვერ ვახერხებდი ჩემი ნაწარმოებების ბეჭდვას პროლეტ მწერ. ასოციაციის ორგანოებში და როგორც სხვა ახალგაზრდა კადრები განვიცდიდი სასტიკ დევნას იმ ჯგუფის მიერ, რომელსაც ბ. ბუაჩიძე მეთაურობდა. ეს ჯგუფი მაშინ გაბატონებული იყო აღნიშნულ ლიტერატურულ ორგანიზაციაში. ამან გამოიწვია ჩემი დაცემულობა და დარწმუნება იმაშიც, რომ მე ვითომ სასტიკად უნიჭო ვიყავი და ზედმეტად მიმაჩნდა სიცოცხლეს; მაშინ მე ძალიან ხშირად ვფიქრობდი თვითმკვლელობაზე. ამ დროს ეკუთვნის ჩემი გამოუქვეყნებელი წიგნი „წყვდიადის ფარდები“. მაშინ მე ვლოთობდი. „წყვდიადის ფარდების“ გამოცემას ჩემ მიერ უარყოფა და დაცემულობის განწყობილებებისაგან განთავისუფლება უნდა მიეწეროს კომკავშირის ცეკას და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ინიციატივით დაარსებულ ლიტერატურულ

წრეს „კომკავშირული მწერლობის“ სახელწოდებით, რომელშიაც მუშაობა დაიწყო ქიქოძემ; ისარგებლა რა კომკავშირის ცეკას ნდობით, კომკავშირის ცეკას მიზანს რომ დაწინაურებულიყო ახალი სალი კადრები მწერლობაში, ქიქოძემ დაუპირისპირა თავისი ჯგუფური მიზანი, რომ წამოეზარდა ვარდინისტული კადრები მწერლობისათვის. აქედან მომდინარეობს განსაკუთრებით ქიქოძის ტროცკისტულ-ზინოვიევიური მუშაობა მწერლობაში. პირადად ჩემთვის როგორც პოლიტიკურად მოუძხადებლისათვის ნათელი არ იყო, თუ რა მიზანი ჰქონდა ქიქოძეს. მიუხედავად იმისა, რომ ქიქოძე ხრწნიდა ახალგაზრდა კადრებს, მე მაინც ვასრულებდი ჩემს მუშაობას კომკავშირული გზით, რაც უნდა მიეწეროს თვით „ახალგაზრდა კომუნისტს“ და კომკავშირის ორგანიზაციას. 1927 წლის ბოლომდე მე დავწერე ლექსი „მოფერი“ და „პოემა სხვადასხვა საკითხებზე“. აღნიშნული ნაწარმოებები დაიბეჭდა 1928 წ. ქიქოძე შეეცადა პროვოკაციულად გამოეყენებია ლექსი „მოფერი“ და შეეცადა იქ ჩაედვა თავისი ზინოვიევიური აზრი, მან განაცხადა ცეკას კულტპრობში ჟორჟიკაშვილთან, რომ ვითომდა ეს ლექსი „ჩემი იდეოლოგიის ლექსია“-ო.

რაც შეეხება „პოემა სხვადასხვა საკითხებზე“, მას საჯაროდ არაფერი უთქვამს, პირად საუბრებში იგი თვლიდა ხალტურულად და რიტორიულად იმ თავს, რომელსაც ქვია „ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ“. მაშინ მე ეს თავი პოემად მქონდა განზრახული, მაგრამ ვარჩიე მის როგორც თავის ამ პოემაში შეტანა.

მე უნდა აღვნიშნო კატეგორიულად, რომ არცერთი ჩემი ლექსები და პოემები არ დამიწერია ქიქოძის კარნახით. ჩემზე უშუალოდ გავლენას ახდენდა და რაც შეეძლო აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა ამბაკო ნაროუშვილი. მე მთელი რიგი ნაწარმოებები მიწერია „ახალგაზრდა კომუნისტის“ მივლინებების შედეგად როგორც სხვა პროლეტარულ მწერლებს, მაგრამ ქიქოძე ყოველთვის ცდილობდა ხელი შეეშალა „ახალგაზრდა კომუნისტისათვის“ და გამზრწნელი გავლენის ქვეშ მოექცია ის კადრები, რომელსაც კომკავშირის ცეკა ზრდიდა ამ ორგანოს საშუალებით. ქიქოძის მოსკოვში გამგზავრების შემდეგაც, არ შეუწელებია ეს

ანტიპარტიული ზინოვიევი „მოღვაწეობა“. აგზავნიდა რა პირად წერილებს ჩემთან და ჩხიკვაძესთან, ის ცდილობდა მოსკოვში „ლიტერატურულ ბალოტოს“ მსგავსად აქაც ტფილისშიაც ყოლოდა თავისი ფილიალი. თვითონ კი მოქმედებდა ვარდინის გეგმით. ამ უკანასკნელთან მას მუდამ ქონდა როგორც იდეური ისე პირადი დამოკიდებულება, ტფილისში ჩამოსული ვარდინი ცხოვრობდა მუდამ მის ბინაში და მას ყოველთვის თვლიდა თავის მასწავლებლად. ვარდინი ქიქოძის საშუალებით ახერხებდა თავის გარშემო კადრების დარაზმვას. პირადად ვარდინი მე გამაცნო ქიქოძემ. ვარდინს ჩემთან არავითარი დამოკიდებულება არ ქონია. მე ის არ მინახავს ჩემი ზესტაფონში ყოფნის ხანებშიც და შავგულიძისაგან გავიგე, რომ ტფილისში იმყოფებოდა და წერილი ქონდა დაწერილი „ლიტერატურული გაზეთისათვის“.

განსაკუთრებით ქიქოძე ჩამოყალიბდა როგორც კონტრევოლუციურ-ზინოვიევი ჯგუფის იდეებისათვის მებრძოლი საქართველოში მისი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ. იგი შეხვედრისას გვიკითხავდა კამენევის რედაქციით გამოსულ გერცენის „БЫЛОЕ И ДУМЫ“-დან ადგილებს და თვითონაც ამბობდა, რომ „მე მაქვს პირადი დამოკიდებულება კამენევთან“ო.

ქიქოძემ ჩამოიტანა მოსკოვიდან დაირეჯოვის პიესა „ალილია“. თვლიდა ამ პიესას პოლიტიკურ პროგრამად და თავის პირად კარნახით დაწერილად. რამდენჯერ მოგვცა წინადადება გვეთარგმნა იგი მე და მანაგაძეს. მანაგაძე თანახმა იყო მისი დადგმის. დამიწყეს კითხვა. ამ პიესას რომ გაცნობოდი, მის შინაარსს ვკითხულობდით ქიქოძის სახლში.

ამ პიესამ ჩემზე მოახდინა დიდი უარყოფითი გავლენა და მე გადავწყვიტე პირველად ამ პიესის ნიადაგზე ჩამოვშორებოდი ქიქოძეს და დამეწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. პიესა ჩემი აზრით იყო აშკარა ზინოვიევი პოზიციის. მე განვუცხადე ამ პიესის წაკითხვისას ქიქოძეს და მანაგაძეს, რომ „მე ვიქნები ამ პიესის დაუნდობელი მტერი“. ყველაზე „დადებითი გმირი“, „პარტიული“ ამ პიესისა გავდა თავიდან ბოლომდე ზინოვიევის პოზიციის მატარებელ პიროვნებას, და უპირისპირდებოდა მთელ ორგანიზაციას, როგორც გადაგვარებულს და სოციალიზმის მშენებლობა

წარმოდგენილი იყო როგორც ფასადის შეღებვა. ქიქოძე ამტკიცებდა, რომ ეს მართალი არ იყო. „ალილუია“ დაიდგა მანაგაძის რეჟისორობით ქუთაისის ღრამაში, რომელიც ქიქოძემ თავის რუპორად გადააქცია. მე ეს დადგმა არ მინანავს, პარტიისათვის თვალის ასახვევად იქ შეტანილი იქნა ვანო ძაძამიძის როლი. ვანო ძაძამიძის სახით კი უეჭველად პიესის „ავტორს“ ქიქოძეს სურდა დაეცინა მთელი პარტიისათვის. ამ პიესასთან დამოკიდებულების გამო ქიქოძე ჩემთან დამოკიდებულებაში თანდათან ამჟღავნებდა გულგატეხილობას. ის კატეგორიულად მიმეორებდა, რომ შემეკრიბა მასთან, ან ჩხიკვაძის სახლში უნივერსიტეტის ასპირანტები. მე ჩხიკვაძის სახლში მან მიწოდა გახრწნილი, გადაგვარებული. მე მას კატეგორიულად განვუცხადე, რომ ასპირანტები, რომელნიც მე მენდობოდნენ, მე მათ არ დავაყენებ იმ გზაზე, რომელზედაც დგას თვითონ ქიქოძე. მე დავრწმუნდი, რომ ქიქოძე პარტიის ბელადად სტალინს არ თვლიდა. ჩემთვის როგორც ყოველი მწერლისათვის ბელადთან დამოკიდებულება უნდა იყოს გარკვეული. ქიქოძემ თავის ყვირილს უცებ ბოლო მოუღო. მეორე თუ მესამე დღეს მას მე განვუცხადე, რომ მე მასთან ერთად მუშაობა არ შემეძლო. მე, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ვფიქრობდი, რომ ქიქოძე თავის ბრძოლის პროვოკაციული ხერხებით შეეცდებოდა ჩემს განადგურებას. პირადად ჩემი აზრი მის „ალილუიაზე“ მე არ დამიმალავს ბევრი ამხანაგისათვის. შავგულიძე მაშინ იცავდა ჩემს აზრს. ამაში თვლიდა ქიქოძე ჩემს „გამხრწნელ მუშაობას“ კადრებს შორის.

მე და ჩხიკვაძემ ოფიციალურად, პრესაში გამოვაქვეყნეთ ჩვენი ლიტერატურული ჯგუფის დაშლა, ქიქოძე ცდილობდა ეს ჯგუფი თავისი, ვარდინის ფილიალი ყოფილიყო. მაშინ იგი იყო მოსკოვში. „ალილუიას“ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს მისი ორი რომანტიკა, დისკუსიის დროს, რომელიც წარმოებდა ხელოვნების სასახლეში. ქიქოძემ მწერლები დაყო ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციის მატარებელ მწერლებად. მწერლები, რომელნიც არიან რევოლუციონერ-რომანტიკოსები და მწერლები, რომელნიც დგანან შემგუებელ ფილისტერულ რეალიზმის საფუძველზე. ამ უკანასკნელში ვიყავი მოქცეული მეც. მე ოფიციალურად პირვე-

ლად ქიქოძის წინააღმდეგ გამოვედი ამ მოხსენების გარშემო, სადაც ეს მოხსენება ჩავთვალე ანტიპარტიულად. ქიქოძე ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ მე მას ბრძოლას დაუწყოყვებდი, შეეცადა ჩემს დისკრედიტაციას ყველგან მწერლებს შორის ცნობილი ხერხით – „მე დავბადე, მე მოვკლავ“.

იმ დროს მწერლების ზოგიერთ ნაწილში გავრცელებული იყო კარტის აზარტული თამაში, სადაც მონაწილეობას ვლებულობდი მეც. ერთ ღამეს გათენებამდე ქიქოძეც ეწეოდა კარტის თამაშს. ერთ-ერთი თამაშის დროს ჩემს ოთახში ქიქოძეს მოხსენების გარშემო დისპუტის შემდეგ (დაახლოებით ერთი კვირა-ათი დღის შემდეგ) ქიქოძე ჩამოვიდა ჩემთან ოთახში, მან რამდენჯერმე მთხოვა მე მიმეცა მისთვის ფული, ეთამაშა თვითონ. მერე ხანგრძლივი ჩაფიქრების შემდეგ გულმოსულად აიღო ჩემი პალტო და წაიღო სახლში (მე მემართა მისი ვალი ხუთას მანეთამდე). მეორე დღეს კი ხმები გაავრცელა ვითომ კარტში ვაგებდი პალტოს.

ამის შემდეგ ნათელი იყო ქიქოძის მიზანი. მოემზადებინა წინასწარი ნიადაგი იმისათვის, რომ მე აღმეკვეთოდა ყოველგვარი საშუალება მის წინააღმდეგ ბრძოლის, გაეტეხა ჩემთვის ყოველგვარი ავტორიტეტი და პირადი გახრწნილებით ახსნა ჩემი მისადმი მტრული დამოკიდებულება.

ამ ხანებში მე მივლინებული ვიყავი „ახალგაზრდა კომუნისტის“ მიერ რაიონებში. დაბრუნების შემდეგ მე შევუდექი პოემის წერას „რიონის“ სახელწოდებით. მე მახსოვს ეს იყო 1933 წლის დეკემბრის თვეში. ცუდი ამინდების გამო ტფილისში მე გავცივდი და გავხდი ავად, ყურის ანთებით. ვიწექი ორ კვირას. წამოდგომის შემდეგ მე შემხვდა შატბერაშვილი და ადამია და მთხოვეს წავსულიყავით სასადილოში. მე პირველად მათ უარი ვუთხარი, რადგან არ მქონდა არც საჭმლის და არც სმის ხასიათი, მაგრამ ჩემთვის რომ ქედმაღლობაში არ ჩავთვალათ, გავყევი. ჩვენ დავლიეთ საკმაოდ ბევრი. მერე დაბრუნებულები იქიდან ჩავედით ჩვენს ოთახში. მე როგორც მეორე დღეს მითხრეს, მიმიცია ფული აბაშიძე გრიგოლისათვის (ეს უკანასკნელი და შავკულიძე როგორც მახსოვს ჩვენ შემოგვიერთდნენ იმ ღამესვე ჩემი ოთახში ჩასვლის შემდეგ), რომელსაც მოეტანა კონიაკი. უგრძნო-

ბლად დამთვრალმა მე ავსტეხე სკანდალი, ქალთა ლიტერატურულ საღამოზე. ამ საღამოზე ჩემმა ყოვლად საზიზღარმა მოქმედებამ ხელი შეუწყო ჩემს ლიტერატურულ ავტორიტეტის დაცემას, რის გამოც მე ვიქენი გამორიცხული მწერალთა კავშირის რიგებიდან და ცეკას მიერ გაგზავნილ ფეროში კლუბის გამგედ. რამდენიმე თვის შემდეგ თავი დავანებე კლუბის გამგეობას და დავიწყე საღამო ცეხში მუშაობა. ჩემთან ჩამოდიოდა შავგულიძე და მირჩევდა თავი დამენებებია მუშაობისათვის და შევრიგებოდი ქიქოძეს. მე ვფიქრობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ქარხანაში ფიზიკური მუშაობა ხელს შეუწყობდა ჩემს ფსიქოლოგიურად გამუშურებას და მომავალ ლიტერატურულ პროდუქციაზე მოახდენდა გადამწყვეტ პროლეტარულ გავლენას. მე შევეცადე ქიქოძეს „სიტყვა და საქმესთვის“ დამეპირისპირებია ზესტაფონში გამოსული „ჩვენი ეგნატე“ (სადაც ლექსში „ეგნატე ნინოშვილი და ილია ჭავჭავაძე ხელოვნების სასახლეში“ – მე და ვუშვი მორიგი შეცდომა კლასიკოსებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში). ამჟამად მე ეს შეცდომა წარმოდგენილი მაქვს როგორც ტროცკისტული ხასიათის შეცდომად. ზესტაფონში გამოვიდა სპეციალური ლიტერატურული გაზეთი „გმირების ეპოსი“ – ამ გაზეთის გამოცემის მომზადებაში მე მივიღე მთავარი მონაწილეობა და ვიყავი მისი ინციატორიც, მინდობილი მქონდა მისი საბოლოო რედაქტორობა გრიშა გაბუნias, თაქთაქიშვილს – და იქ გავიდა რამდენიმე მასალა, რომელიც მე არ მინდოდა. მხატვრული თვალსაზრისით, როგორც შედარებით სუსტი. ეს გაზეთი მე მინდოდა დამეპირისპირებინა ქიქოძის „ლიტერატურულ ზინოვიევურ პოზიციისათვის“.

ქიქოძე ბოლო ხანებში გაურბოდა საერთოდ ბრძოლის ჯგუფურ ფორმას, რომ მისთვის ეს არ დაეწამებიათ. იგი უეჭველად ისახავდა მიზნად მოეკრიბა თავის გარშემო ყველა ანტიპარტიული ჯგუფის ნაძირალები და მოემზადებია ნიადაგი არსებულ პარტიულ ხელმძღვანელობის ზინოვიევისტურ შეცვლისათვის. „ლიტერატურული გაზეთის“ საშუალებით იგი ცდილობდა კადრების ზინოვიევისტურ მომზადებას. მე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზესტაფონში დავწერე რამდენიმე ინტიმური ლექსი, სადაც გამოვამჟღავნე ჩემი დაცემულობის სევდიანობის განწყობილება.

მაგრამ პირადად არასოდეს განმიზრახავს შემეცვალა ის პოზიცია ლიტერატურული, რომელიც მოცემულია „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციაში“. ამ ნაწარმოებებშიც მაქვს მე შეცდომა ნაციონალურ საკითხში, რომლის თანდათან გაღრმავებამ მე მიმიყვანა „არწივი ტოვებს მშობლიურ ბუდე“-ო, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ზესტაფონში. მე უნდა განვაცხადო, რომ არავითარ შემთხვევაში არ განმიზრახავს ეს პოემა დამეწერა ტროცკიზე, ზინოვიევიან ან კამენევიან – მიუხედავად ამისა ჩემი, არა ლენინური გაგება ნაციონალური საკითხისა (შეუთავსებლობა ადგილობრივ ნაციონალურ თავისებურებებს) იმდენად მავნე იყო, რომ შეეძლო მას მე მივეყვანე ეროვნულ ანტიპარტიულ პოზიციაზე.

აღინიშნოს უნდა ისიც, რომ ლიტერატურულ კრიტიკას, ნაცვლად აღმზრდელითი დამოკიდებულებისა ხშირად ქონდა ჩემდამი არაბოლშევიკური დამოკიდებულება.

პირადათ ამხ. ბუაჩიძემ და მისი ჯგუფის ამხანაგებმა გაავრცელეს ჩემ ლექსზე სენსაციური ხმები, როგორც ზინოვიევიან, ტროცკიან და კამენევიან დაწერილ ლექსზე და აამოძრავეს ამ ლექსის ირგვლივ პარტიისადმი მტრად განწყობილი პირები. და საბოლოოდ ეს ლექსი აქციეს ტროცკიზმის რუპორად. ზესტაფონში კი ამ ლექსზე არ იყო ასეთი შეხედულება. ის მთლიანი ტექსტი ამ ლექსისა, რომელიც ამჟამად არსებობს მე არ მიმაჩნია დამაკმაყოფილებლად. რადგან მასში საჭიროა აღმოფხვრა იმ შეცდომებისა, რომელიც ატარებს ანტიპარტიულ ხასიათს.

ფრ. ნაროუშვილი“.

რა თქმა უნდა ამ ვრცელი ამონარიდის ანალიზით, თუმცა რა არის მასში საანალიზო, მკითხველის ყურადღებას არ მოვაცდენ, რადგან დარწმუნებული ვარ, თვითონ მშვენივრად გაერკვევა ამ საკმაოდ ვრცელი „დანოსის“ შინაარსის მიხანსა და მისი დამწერის სულიერ და ინტელექტუალურ სიღატაკეში. ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ მასში კარგად გამოსჭვივის ბოლშევიკების მიერ საზოგადოებაში დანერგილი უზნეობა და კაცთმოძულება. ეს არის ერთ-ერთი ტიპური დოკუმენტი 30-ანი წლების პროლეტარალთა ურთიერთგაუტანლობის და ურთიერთდაბეზლების.

მასში ბრალდების ნიაღვარი მიშვებულია ახალგაზრდა პროლეტ-მწერალთა ერთ-ერთი შხამიანი ლიდერის პლატონ ქიქოძის წინააღმდეგ. ფრიდონ ნაროუშვილი აშკარად ცდილობს ბრალდება პლატონ ქიქოძეზე გადაიტანოს და თვითონ მშრალზე გამოვიდეს. ეს ფანდი არ გაუვიდა ფრიდონ ნაროუშვილს და როგორც საბრალდებო დასკვნის გაცნობისას ვნახავთ, ის დამნაშავედ იქნა მიჩნეული. ცოტა ხნით ადრე კი ეს გათავხედებული უნიჭობა თავს ესხმოდა ქართველ მწერალთა უფროს თაობას და ასეთი სიტყვებით ლანძღავდა მიხეილ ჯავახიშვილს:

წიგნი ინახავს ჯავახიშვილებს,

როგორც სამხეცე-ეგ ზემპლიარებს.

საბედნიეროდ, დრომ ნაროუშვილებისა და ქიქოძეების მსაგვსნი ისტორიის სანაგვეზე მოისროლა და თვითონ იქცნენ „სამხეცე-ეგ ზემპლიარებად“.

ჩეკას ცივ კედლებში მოხვედრილი ფრიდონ ნაროუშვილი თუ პლატონ ქიქოძეს არ ინდობდა, თავის მხრივ არც პლატონ ქიქოძე ზოგავდა ფრიდონ ნაროუშვილს. განსაკუთრებით ღვარძლიანად და სიძულვილით ლაპარაკობდა გიორგი შატბერაშვილის შესახებ. ეს ზიზღი კარგად ჩანს ზემოხსენებულ ჩვენებაში, რომელშიც გამოძიებელს შეახსენებს მის მიერ გიორგი შატბერაშვილის დაბეზლებას. ამ ფაქტზე საკმაოდ ვრცლად ვილაპარაკეთ და აქ აღარ შევჩერდებით, მხოლოდ მოვიტან ერთ ამონარიდს პლატონ ქიქოძის მიერ ბერიასთან გაგზავნილი განცხადებიდან. კაცმა რომ თქვას, ეს განცხადება კი არა თხოვნაა, პატიება, შეწყენარების შესახებ. ეს დოკუმენტი ბერიას დაუწერია გოგლიძისათვის. თარიღი უზის 1935 წლის 29 მარტი.

შეახსენებს რა ბერიას თავის „დამსახურებას“ ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, პლატონ ქიქოძე „კონტრრევოლუციონერ-ფაშისტურ ლექსების მკეთებელს“ უწოდებს გიორგი შატბერაშვილსა და მის პოლიტიკურ მხილებას თავის დამსახურებად მითვლის. მეორე დოკუმენტში, რომელიც გამიზნული ყოფილა გაზეთ „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებლად, პლატონ ქიქოძე წერს: „ჩემი გაზეთ „სიტყვისა და საქმის“ შემდეგ „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორობის პერიოდში დაუშვი შეცდომები. კერ-

ძოდ ის, რომ რევოლუციური რომანტიზმის შესახებ, ჩემ მიერ წამოყენებული დებულებების გამოყენებას შეეცადა პირსისხლიანი კლასობრივი მტერი – შატბერაშვილი და სხვ. მე უნდა მეწარმოებია კონკრეტული კრიტიკა და მხილება“.

პლატონ ქიქოძის საქმეში დაცულია გაზეთ „კომუნისტში“ (1934, №165) გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც შეჯამებულია ამ დროს ქართულ მწერლობაში მიმდინარე დისკუსიის შედეგები. გაანალიზებულია რა დისკუსიის მასალები, გაკეთებულია ასეთი დასკვნა: „ილიას აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლის“, ერთი პოეტის არ იყოს, მართლაც უნდა შეიცვალოს ფორმულით „აწმყო, წარსულის უარმყოფელი, არის მშობელი მომავლისა“.

ამ დასკვნის მიხედვით, წარსულზე უარის თქმა, არის საფუძველი მომავლისა, რაც ძირშივე მცდარია. მაგრამ უფრო უარესი ის იყო, რომ პლატონ ქიქოძის ამ პროლეტარულ პოზიციას მკვეთრი აგრესიულობა ახასიათებდა, ამას ემატებოდა პლატონ ქიქოძის ვერაგული დაუნდობელი ბუნება, რაც ქართულ მწერლობას ერთობ ძვირი დაუჯდა. თუმცა სამართალმა პური ჭამა და პლატონ ქიქოძე თავად გაუყენა მის მიერ განწირულთა მოლიპულ გზას. ამ ჯგუფის გულისგამაწვრილებელი „ძიება“ კი თავისი გზით მიდიოდა და დასასრულს მიუახლოვდა. გამომძიებლის მცდელობა გიორგი შატბერაშვილი დაეკავშირებინა და გაეყვანა საქმეში, „წარმატებით“ დამთავრდა. შეითითხნა საბრალდებო დასკვნა და საქმის დასრულებას როგორც იქნა საშველი დაადგა. მაგრამ არ იქნება მკითხველისათვის ინტერესმოკლებული, თუ საბრალდებო დასკვნის გაცნობამდე ორ ბარათს წაიკითხავს. მათში ნათლად მოჩანს დროის უკუღმართობა და ამ უკუღმართობით გაუბედურებულ ადამიანთა ბედი. საქმე იმაშია, რომ შვილების ავი ზვედრით გამწარებული პლატონ ქიქოძის დედა და შალვა შავგულიძის მამა დახმარებისათვის მიმართავენ ბერიას?!... აი, რას სთხოვს პლატონ ქიქოძის კომკავშირელი აქტივისტი დედა ბერიას:

„ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! რამდენიმე დღე ზედიზედ ვუცადე თქვენს ნახვას. ეხლა მითხრეს ოცდაერთ ამ თვემდე არავის მიიღებთ, ამიტომ მე მივდივარ გურიაში, რაკი საქმე ნებას



გიორგი შატბერაშვილი შეიღებთან, მზიასთან და ზებუდესთან ერთად. სოფ. კავთისხევი. 1950-იანი წლები.

არ მადლევს ამდენხანს აქ ვავჩერდე. ჩემი თხოვნა და თქვენი დაპირება თითონ გამოიძიებდი ჩემი ვაჟის პლატონის დანაშაულობას, სრულ იმედს მადლევს, რომ მალე გამინთავისუფლებთ და იმ საშინელ ბრალდებებსაც, როგორც არის მისი ვარიცხვა პარტიიდან, მოუხსნით. ტუბერკულოზი რომ არ ქონდეს ტანში არ შევაწუხებდით, ამიტომ როგორც დედა ბევრი ნატანჯი და ბევრი შვილების დამკარგავი შეიბრალო უნდა და მოიცალოთ მისი საქმის დასაჩქარებლად.

**17.III.35 წ.
ნატალია ქიქოძე.**

ეს წერილი ბერიას თანამემწეს ხომტარიას გადაუგზავნია გოგლიძისათვის, რასაც არავითარი შედეგი არ მოყოლია. და „საქმე“ თავის გზით წასულა.

შალვა შავგულიძის მამის განცხადება კი ასეთი შინაარსისაა:

**„სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივანს ამხანაგ ლ. პ. ბერიას
ტფილისის მცხოვრები ფურცელადის ქ. №17
აქესენტი ივანეს ძე შავგულიძისაგან**

განცხადება

მიუხედავად იმისა ძლიერ დატვირთული ხართ, ამხ. ლავრენტი, ორი წუთით მინდა მიაქციოთ ყურადღება ჩემს აუტანელ მდგომარეობას. ა. წ. 27 თებერვალს დამიპატიმრეს შვილი შალვა აქესენტის ძე შავგულიძე – 1927 წლიდან კომკავშირელი, საშუალო ცოდნით, 19 წლის, 5 წლის სალიტერატურო ფრონტზე მომუშავე, რომელიც ითვლებოდა ახალგაზრდა მწერლებს შორის გამოჩენილ, ნიჭიერ ახალგაზრდა კრიტიკოსად, რომლის გამო საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტპროპის დადგენილებით ამ ოთხი თვის წინათ უნდა ჩარიცხულიყო

ტფილისის უნივერსიტეტის ლიტერატურული ასპირანტურაში. დღეს კი ორი თვის პატიმრობაში მყოფმა, რომელიც ისედაც ფილტვებ სუსტი იყო ავადმყოფობის გამო საპატიმროში მიიღო პლევრიტი, რომლის შედეგად ფილტვებში ჩაუდგა ჩირქი და გადავიდა უკვე სწრაფი განვითარების ფორმის ჭლექზე, რასაც ამას დაასკვნიან საავადმყოფოს ექიმებიც. ბავშვს აქვს ყოველდღიურად 40 გრადუსი სიცხე. მე პირადად წერილი ცოლშვილის პატრონი ყოფილი მუშა, პარტიის წევრი ამ ჟამათ მოსამსახურე, რომელიც იძულებული ვხდები ყოველდღიური საჭმელების და ყინვის შეგზავნის გამო დავეიდო თუ რამე გამაჩნდა. გარედან მას ხელი შეუწყო. მაგრამ ეს უკვე საქმეს აღარ შველის. მდგომარეობა რთულია, ბავშვი თანდათან დნება, მე ვნადგურდები და მთელი ოჯახის წევრებიც.

ორჯერ შევიტანე საქმინსახკომის გამომძიებელ კიკნაძესთან განცხადება და პასუხის ღირსიც ვერ გავხდი. მაგრამ შვილის სიმწარე მაიძულებს მოგმართოთ თხოვნით. თუმცა დაგვიანებულია მაგრამ დამითმოდ ღროებით ბავშვი. იქნებ ჰაერის გამოცვლით სიცოცხლე შერჩეს და შემდეგ მსჯავრის დასადებათ ჩემი ხელით ჩაგაბართ.

საქმის სერიოზულობა მოითხოვს სასწრაფოთ თქვენს დახმარებას, რომელშიც ღრმად ვარ დარწმუნებული ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებთ. (სტილი დაცულია. ბ. ა.)

განმცხადებელი

ა. შავშულიძე

25.4.1935 წ.

ქ. ტფილისი.4.“

მოხდა სასწაული და ბოლშევიკურმა ხელისუფლებმა გაიღეს მოწყალეობა და მომაკვდავი შალვა შავშულიძე თავლებით გაათავისუფლეს. მაგრამ ეს დაგვიანებული მადლი იყო, რადგან მას სწრაფმა ჭლექმა ნაჩქარევად მოუსწრაფა სიცოცხლე.

გამომძიებელი ივანე კიკნაძე დილით ადრე მივიდა ჩეკაში. კაბინეტში შესვლისთანავე მიუჯდა საწერ მაგიდას და დაიწყო ახლად დამთავრებული საბრალდებო დასკვნის კითხვა. დაამთავრა თუ არა, ტანში სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა. მას ორი რამ ჰგვრიდა სიამოვნებას; ერთი ის არის, რომ ამ საქმის ასე „წარმატებით“ დამთავრების გამო ჩინს წაუმატებდნენ, მეორეც ის, რომ მან საქმე ისე შეადგინა, გიორგი შატბერაშვილს სასჯელი არ ასცდებოდა. ამის გაფიქრება კი მას საღისეურ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ერთხანს ასე იყო, შემდეგ წამოდგა, გააბოლა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

– რაღაა საჭირო, უფროსობამ ხელი მოაწერა. ახლა გამოვიძახებ სათითაოდ და გადავცემ საბრალდებო დასკვნას. თუმცა არა, მარტო გიორგი შატბერაშვილს გამოვიძახებ და თვითონ ჩავაბარებ, დანარჩენებს უმცროსი გამომძიებელი გადასცემს. ასე სჯობია, მეტი ეფექტი ექნება. ჰმ, ბერიას გაუგზავნა განცხადება, უნდოდა ხელიდან გამძრომოდა, ვერ მიართვეს, ხეხოს ახლა ციხე. აბა რა ეგონა, შეურაცხყოფას შევარჩენდი ამ ღლაპს! – ჩაილაპარაკა ივანე კიკნაძემ და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მღივანი შემოვიდა:

– უმცროსი გამომძიებელი კვინტრაძე მოვიდეს! – უთხრა მღივანს და სავარძელში მოკალათდა.

ხუთიოდე წუთში უსაშველოდ აწოწილი კვინტრაძე მის წინ იდგა.

– დიომიდე, აი, საბრალდებო დასკვნა, წვილე და ყველას ჩააბარე, შატბერაშვილის გარდა. შატბერაშვილი ზედამხედველმა აქანა მამიყვანოს, ამ სიამოვნებას მე თვითონ მივართმევ მას – უთხრა და გესლიანმა ღიმილმა ბაგეზე გადაუარა.

53-ე საკანის წინ დაფეხვილი ზედამხედველი შეჩერდა, კარები გამოალო და ხრინწიანი ხმით დაიძახა:

– შატბერაშვილი გამომძიებელთან!

გიორგი სარკმლის წინ იდგა, გვარის გაგონებაზე მოტრიალდა და ღინჯად გაემართა კარებისაკენ. თავის ასაკთან შედარებით

ხნიერად გამოიყურებოდა. ჩანდა, უკვალოდ არ ჩაველო თეთრად გათენებულ ღამეებს და ტანჯვა-წამებას. გამოძახება რა სასიამოვნო იყო, მაგრამ ახლა რაღაც მეტად მოხვდა გულს. ძიება დამთავრდა, მაგრამ ვინ იცის კიდევ რას მოუგონებენ...

– ჰმ! მურდულ გამომძიებელს ხომ ვერც თავს გაუგებს კაცი და ვერც ბოლოს... ამ მძიმე და მტანჯველ ფიქრებში იყო, ზედამხედველმა გამომძიებლის კაბინეტის კარების წინ რომ შეაჩერა. კარები გამოაღო, პატიმარი შეუშვა და თვითონაც სწრაფად შეყვა. ივანე კიკნაძემ ზედამხედველი დაითხოვა. პატიმარს დაჯდომის უფლება მისცა. გიორგი დაჯდა და თან თვალი შეავლო მის წინ ბუსავით წამომჯდარ გამომძიებელს. მისი ბრტყელი თავი მოხვდა თვალში.

– რა მახინჯი თავი ჰქონია – გაუკვირდა, ამდენ ხანს რომ ვერ შენიშნა.

– ასეთ მახინჯ გოგრაღან სასიკეთო არა გამოვა-რა – დაასკვნა და მოსასმენად მოემზადა, რადგან იგრძნო, გამომძიებელი რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა.

ივანე კიკნაძე ხმას არ იღებდა, დროს განგებ სჭიმავდა, იცოდა რა მოუთმენლად მოელოდა რას იტყოდა.

– ბალზაკის ბიოგრაფია არ გცოდნია, თუმცა ახლა დრო ბევრი გექნება და იკითხე და იკითხე... ჰა, შენი საბრალდებო დასკვნა, წეიკითხე, დატკბი – გაუწოდა რუსულად ნაბეჭდი ფურცლების დასტა. გიორგიმ გულისფანცქალით გამოართვა.

– საკუთარი პერსონით კმაყოფილმა ივანე კიკნაძემ ზედამხედველი მოიხმო.

– წეიყვანე – უბრძანა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

გიორგიმ სულმოუთქმელად წაიკითხა საბრალდებო დასკვნა. გულს შემოეყარა. ის მცირე იმედი, გულში რომ ბჟუტავდა, გადაეწურა. მიხვდა განწირული იყო. მთელი ღამე ვერ დაიძინა. დილით ჩაეძინა, მაგრამ ჩქარა გაელვიდა. თვალები გაახილა თუ არა, დაწვდა საბრალდებო დასკვნას და შეუდგა ხელმეორედ კითხვას:

„საბრალდებულო დასკვნა

1. **ქიქოძე პლატონ იოსების ძე**, დაბადებული 1905 წ. საბჭოთა მოქალაქე, ჟურნალისტი, უმაღლესი განათლებით, წარმოშობით აზნაური, პარტიიდან გარიცხულია ორპირობისათვის. ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

2. **შავგულიძე შალვა ავქისენის ძე**, დაბადებული 1914 წ. საბჭოთა მოქალაქე, სპეციალური განათლებით, ჟურნალისტი, კომკავშირიდან გარიცხულია ორპირობისათვის. ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

3. **ნაროუშვილი ფრიდონ კონსტანტინეს ძე**, დაბადებული 1904 წ. საბჭოთა მოქალაქე, წარმოშობით გლეხი, მწერალი, კომკავშირიდან გარიცხულია, ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

4. **შატბერაშვილი გიორგი ივანეს ძე**, დაბადებული 1910 წ. საბჭოთა მოქალაქე, პოეტი, უმაღლესი განათლებით, წარმოშობით აზნაური, უპარტიო, ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

1934 წლის ბოლოს საქართველოს ლიტერატურულ ფრონტზე დადგინდა ტროცკისტული კონტრრევოლუციის ნარჩენების აქტივიზაცია. ეს აქტივიზაცია დაემთხვა გაზ. „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის პოსტზე პლ. ქიქოძის რედაქტორად დანიშვნას. პლ. ქიქოძე 1925-1926 წწ. შემდეგ თბილისში იზრდებოდა ტროცკისტ ვარდინ ილარიონის იდეური ხელმძღვანელობით: პლ. ქიქოძე შინაპარტიული ბრძოლის დროს მიემხრო „На-поставскому меньшинству“ და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ვარდინთან, ლელევიჩთან, როდოვთან და სხვებთან.

ამის გამო იყო, რომ ჯერ კიდევ 1932 წელს პლ. ქიქოძე გაზეთ „კომუნისტში“ წერდა:

„გარკვეული პერიოდი მე ვიყავი „Левых напоставцев“-ი ამხ. ამხ. ბეზიმენსკისთან, ვარდინთან და სხვებთან. ეს მიმდინარეობა, უეჭველად წარმოადგენდა ლენინგრადის პარტორგანიზაციის გამოძახილს ლიტერატურაში, რომელსაც ზინოვიევი განაგებდა.

(„კომუნისტი“, 1932, 14 თებერვალი)

შემდეგ:

„მხოლოდ ახლა შევიგნე, რომ ჩვენი „Левацкое“ მიმართულება არის გამოძახილი ლენინგრადის ოპოზიციის. ამიტომ მე მაშინვე შევწყვიტე ურთიერთობა ამ ლიტერატურულ მიმართულებასთან“.

(იქვე)

ამ პერიოდში პლ. ქიქოძე პარტკოლეგიაზე წარდგენილ ჩვენებაში, 1935 წლის 7 თებერვალს ამბობს:

„რასაკვირველია, არამართო ვარდინის მხრივ, არამედ ყველა, ვინც შედიოდა „Напоставское меньшинство“-ში, ტროცკისტები იყვნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ „თავდაყირა დავეყენებინე“. ბუნებრივია, რომ გამომდინარე ჩემი შეცდომებიდან ლიტერატურულ საკითხებში, ქართველი ტროცკისტი-ზინოვიეველები ცდილობდნენ მე გადავებირებინე“.

პლ. ქიქოძე შემდეგ აძლევს ჩვენებას, რომ ის ვერ გადაიბირეს და ყოველთვის იდგა პარტიის გენერალური ხაზის პოზიციაზე.

მაგრამ მისი ლიტერატურული შრომები, რომლის პროპაგანდას ეწეოდა გაზ. „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე და მისი ზოგიერთი ბროშურა მეტყველებდა, რომ ქიქოძე, რომელიც ტროცკის მეთოდოლოგიის საფუძველზე იყო აღზრდილი, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა ძირითად საკითხებში წინააღმდეგი იყო პარტიის და ატარებდა ტროცკისტ-ზინოვიეველთა კონტრრევოლუციურ იდეას.

მაგალითად, სოციალისტური რეალიზმის საკითხში ქიქოძე ადრიდანვე ებრძოდა ამ მეთოდს, ის თვლიდა, რომ სოციალისტური მეთოდი უნდა შეცვლილიყო რევოლუციური რომანტიზმით, რის შესახებაც მან არაერთხელ განაცხადა თავის გამოსვლებში, ლიტერატორთა და კრიტიკოსთა შეკრებებზე.

პლ. ქიქოძის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა სოციალისტურ აწმყოსა და მომავალთან დამოკიდებულებაში, რომელსაც ყოველივე ესმის ტროცკისტული გაგებით. ამ წინააღმდეგობამ ნათელი ასახვა ჰპოვა მის აღზრდილ შავკულიძის ლექსში, რომელიც დაბეჭდილია გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“, რომელშიც ავტორი წერს:



1959 წ. ჩარვალი. ქართველი მწერლები და პოეტები: გიორგი შატბერაშვილი (ზის მარცხნიდან პირველი), გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ვახტანგ რაზიკაშვილი და სხვები.

ირგვლივ ჯოჯოხეთის უფსკრულია
იქ მაღლა ნისლში,
მზის სხივივით ბრწყინავს
სოციალიზმი.

პლ. ქიქოძის შეკვეთით, მსჯავრდებულმა გ. შატბერაშვილმა შექმნა ლექსი „წერილი ახალგაზრდობას“, რომელშიც წერს:

მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან,
არ განუცდიათ პირქვე დაცემა,
ჩვენ ჭაბუკები ერთად ვყოფილვართ,
ერთად შევესწროთ დავაჟაკცებას!...
დავდივართ ქვეყნად... ასე შევხარით,
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
და ახალგაზრდებს, სულით ჩვენ გვარებს
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!

მსჯავრდებული შატბერაშვილი ამ ლექსის შესახებ თავის

ჩვენებაში ამბობს:

„პლატონ ქიქოძეს ეს ლექსი ძალიან მოეწონა... და სთქვა, რომ ეს ლექსი მის განწყობას გამოხატავს... ამ ლექსისთვის ქიქოძემ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე მომცა 275 მანეთი ჰონორარი“.

(გ. შატბერაშვილი, ოქმი 2 მარტი, 1935 წ.)

პლ. ქიქოძისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მეორე ტროცკისტული კონცეფციაც, რომელიც ჩვენ დროში ძველი გმირების იდეალიზაციაში მდგომარეობს. გაზ. „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოჩნდა ჩერნიშევსკის გმირი რახმატოვი, რომელიც ცარიზმთან ბრძოლის მიზნით საკუთარ სხეულს აწრთობდა და ლურსმებიან ფიცრის საწოლზე წვებოდა. ამის შესახებ ქიქოძე წერს შავგულიძეს:

„ცხოვრება ჩვენგან თხოულობს რახმატოვის ლურსმებს“.

არ იყო შემთხვევითი, რომ ორპირი ვარდინი, საქართველოში ჩამოსვლის დროს საცხოვრებლად ირჩევდა თავის მოწაფის და მემკვიდრის პლ. ქიქოძის ბინას.

ვარდინთან პოლიტიკურ თემაზე საუბარი-დაკითხვა აღიარა პლ. ქიქოძემ. ამ საუბარში დამახასიათებელი იყო ვარდინის ანტიპარტიული შეხედულებები და აზრები პარტიული ხელმძღვანელობის და პარტიულ პოლიტიკაზე (იხ. 1935 წლის 7 თებერვლის ჩვენება). აქ პლ. ქიქოძე, როგორც ჩამოყალიბებული ორპირი (გაიძვერა), ასეთ ჩვენებას იძლევა:

„ყველა ეს შტრიხები, ყოველივე ეს ფსიქოლოგიურად მივიღე, მაგრამ მისი ფორმა, ფრაზა არ მიმიღია, გულთან არ გამკარებია... ყოველივე მისი ნათქვამი მე შევამჩნიე, მაგრამ არ გამიგონია...“

პლ. ქიქოძის ტროცკისტული ნატურა და გაიძვერობა მტკიცდება როდოვთან კავშირში და მასთან მიმოწერით. თავის წერილის შესახებ, რომელიც როდოვს მიწერა, ქიქოძე გამოძიებას ასეთ ჩვენებას აძლევს:

„ეს წერილი ჩემთვის არის უეჭველი დოკუმენტი აშკარა ფრაქციულ-ტროცკისტული ხასიათის მაშინდელი „Напоставское меньшинство“-სი. მე ვალდებული ვარ უფრო უშუალოდ ვეძებო ამ ჯგუფის, იმ დროის შეცდომების საწყისები და პირადად ჩემი იმდროინდელი ტროცკისტული პოზიციები“.

ამ დოკუმენტის უეჭველი კონტრევოლუციური შინაარსის გამო ქიქოძე იძულებულია მას მისცეს ასეთი კვალიფიკაცია:

„ეს დოკუმენტი, რომელიც იმ მომენტშია დაწერილი, როცა ის იზიარებდა ტროცკისტულ შეხედულებებს და მაშინ იდგა ტროცკისტულ პოზიციაზე, თუმცა არ ცნობს და არც სურვილი აქვს იცნოს მისი კავშირი ლიტერატურულ მუშაობასთან „პარტ-პოზიციასთან“, როგორც აღნიშნულია წერილში“.

მიუხედავად ყველა გარემოებისა, ამტკიცებს იმას, რომ წერილი დაწერილია ქიქოძის მიერ, ის კონკრეტულად დასმულ კითხვაზე ამ წერილის ავტორის შესახებ მისთვის დამახასიათებელი ორპირობით და არაგულწრფელობით ამბობს:

„ვიმეორებ, ასეთი ფაქტი არ მახსოვს“.

ოქმი, 1935 წლის 6 მაისი.

ამიტომ კონტრევოლუციონერ ვარდინის თბილისში ჩამოსვლის და მასთან ბინაზე სტუმრობის „ახსნას“ ცდილობს „უწყინარი“, „ჩვეულებრივი“ სტუმართმოყვარეობით. ის ცდილობს დამალოს ამ ფაქტის პოლიტიკური მნიშვნელობა და ვარდინთან მისი ერთიანი პოლიტიკური პოზიცია.

„პარტიის მე-14 ყრილობის დროს ცდილობდა გადავებირებინე „პარტოპოზიციაში“.

ოქმი, 1935 წლის 7 მაისი.

ვარდინი, რომელიც თბილისში ყოფნის დროს განიცდიდა მატერიალურ გაჭირვებას, მას ეხმარებოდა ქიქოძე. ამის თაობაზე ქიქოძე აძლევს ჩვენებას:

„სპეციალური მატერიალური დახმარება ვარდინისათვის არ გამიწევია, თუ არ ჩავთვლით მატერიალურ დახმარებად იმას, რომ ის თბილისში ყოფნის დროს იმყოფებოდა ჩემთან ბინაზე, როგორც ჩემი ჩვეულებრივი სტუმარი (მეც ხშირად ვიყავი მასთან მოსკოვში ოჯახში). ის ჩემ ოჯახში იყო სტუმარი და ვმასპინძლობდი მას (სადილი, ვახშამი და სხვა). ფინანსურად ვარდინს არ დავხმარებოვარ, იყო იშვიათი შემთხვევა, რომ მე მისგან მოსკოვში უმნიშვნელო ფულის თანხა მისესხია, და ისევ მეც მისთვის მიმიცია ფული, რომელიც 100 მანეთს არ აღემატებოდა“.

(ოქმი, 1935 წლის 26 მარტი)

ფულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. როგორც გაზეთის რედაქტორმა რედაქციისათვის ქიქოძემ მიიღო 10.000 მანეთი ოთახის შესაძენათ. მაგრამ მან ოთახი არ იყიდა და ეს თანხა თავის სურვილისამებრ დახარჯა. დაკითხვის დროს ქიქოძემ არაერთხელ მისცა გამოძიებას ჩვენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს ჩვენება წინააღმდეგობრივი იყო. ეს იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ ფულით ის დაეხმარა ვარდინს.

პლ. ქიქოძის კონტრევოლუციური გამოთქმები და განწყობილებანი მტკიცდება აგრეთვე ყოფილი ტროცკისტის კოკაიას ჩვენებით:

„1934 წელს მე ვმუშაობდი ქ. ქუთაისში. იქ მე გავიცანი პლატონ ქიქოძე, რომელიც მუშაობდა ქუთაისში, გაზეთის რედაქტორად. მე პლატონ ქიქოძესთან გაცნობისას, წარმადგინეს როგორც ყოფილი ტროცკისტი. ქიქოძემ სიცილით მითხრა: „გაზეთი ჩვენს ხელშია, და ახლა ჩვენ ვიცით რასაც ვაკეთებთ“.

(ოქმი, 29 აპრილი, 1935 წ.)

პლატონ ქიქოძესთან დაპირისპირების დროს კოკაიამ ამ საკითხში დააზუსტა თავის ჩვენება და სთქვა:

„მე ვმუშაობდი ქუთაისში. ერთხელ საქმეზე (თვე და რიცხვი არ ახსოვს) სახალხო განათლების განყოფილებაში მივედი, სადაც შევხვდი გრიგოლ გოგიბერიძეს და მამია ასათიანს. იქ იმყოფებოდა მოქ. პლ. ქიქოძე. როცა მე გოგიბერიძესთან ერთად შევედი კაბინეტში, ამ მომენტში კაბინეტიდან გამოვიდნენ ქიქოძე, ასათიანი და სხვ. გოგიბერიძემ ასეთი ფრაზა ესროლა მათ: „ტროცკისტები შეყრილხართ, აი, ერთიც მოგიყვანეთ“. ქიქოძე შეეკითხა: „ვინ არის ტროცკისტი“, მაშინ გოგიბერიძემ მე წარმადგინა როგორც ყოფილი ტროცკისტი, რომელმაც რეპრესია განვიცადა. პლატონ ქიქოძეს გაეცინა და სთქვა: „გაზეთი ჩვენ ხელშია, ჩვენ ვიცით რასაც ვიზამთ“.

მიუხედავად ასეთი ფაქტისა, პლ. ქიქოძემ კატეგორიულად უარყო კოკაიასთან ნაცნობობა და თავისი ხულიგნური საქციელით დაპირისპირება ჩაშალა. მან დაიჟინა, რომ ოქმი რუსულ ენაზე იწერება და ოქმის ფიქსაცია მოხდეს ქართულ ენაზე.

შავგულიძე იყო ქიქოძის უახლოესი თანამშრომელი, რომელიც

ქიქოძის გავლენით კონტრრევოლუციურ პოზიციაზე დგას. ის აქტიურად გამოდიოდა ტროცკისტული მეთოდოლოგიის პროპაგანდით. შავგულიძის კონტრრევოლუციურმა განწყობილებებმა თავის გამოსატყულება ჰპოვა ფ. ნაროუშვილის ბინაზე 1934 წელს გამართულ მცირე წვეულებაზე წარმოთქმულ სიტყვებში: „ბელადს ვესროლოთ“. ამის შესახებ ბრალდებული გ. შატბერაშვილი თავის ჩვენებაში ამბობს: „გაიმართა საუბარი პარტიის ცეკას აპრილის დადგენილების შესახებ. ნაწილობრივ პროლეტარული მწერლობის მდგომარეობის შესახებ. შ. შავგულიძე კამათობდა და განავითარა შემდეგი აზრი. პარტიის ცეკას აპრილის დადგენილებამ პროლეტარული მწერლობა დათრგუნა და ამ დროს მეტი თავისუფლება მისცა რეაქციონერ მწერლებს. პროლეტარული მწერლობა ჩრდილში მოექცა და დაკარგა ავანგარდული როლი. ამ სიტუაციიდან არის ერთადერთი გამოსავალი – სთქვა შავგულიძემ – ეს არის გასროლა.“

ამის თაობაზე პოეტმა ს. დ.-მ (რომელიც საქმეში გადის, როგორც მოწმე) მისცა ასეთი ჩვენება:

„სხვა სადღეგრძელოთა შორის, რომელიც შავგულიძემ წარმოსთქვა, მახსოვს შემდეგი სადღეგრძელო: „ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც ბელადს ესვრის“.

შავგულიძე არ უარყოფს თავის ანტიპარტიულ შეხედულებებს და განწყობილებებს და აძლევს ასეთ ჩვენებას:

„რაც შეეხება გასროლას, ეს ვთქვი, მაგრამ ეს არ ეხება არავითარ შემთხვევაში პროლეტარულ მწერლობას. მე ვიყავი შეყვარებული და ცუდ განწყობილებაზე ვიყავი და ჩემი ახლო მეგობართა წრეში არაერთხელ ვთქვი თვითმკვლელობის შესახებ და გასროლა ეხებოდა ჩემ თვითმკვლელობას“.

მაგრამ შავგულიძის ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური განწყობა, რომელიც გადაიზარდა ტერორისტულ გამოთქმებში, თვალნათლივ გამოჩნდა და დამტკიცდა მისი წერილით, რომელიც გაუგზავნა ნაროუშვილს (ამ წერილს მკითხველი უკვე იცნობს. ბ. ა.)

ფრ. ნაროუშვილი, რომელიც საქმეში გადის როგორც მონაწილე და მსჯავრდებული, წარსულში იყო მწერალთა კავშირის წევრი,

საიდანაც გარიცხეს ხულიგნობისათვის. ის არის ქიქოძის თანამოზიარე, ქ. ზესტაფონში, ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა აშკარა ტროცკისტული ლექსი „არწივები სტოვებენ მშობლიურ ბუდეებს“. ავტორი ამ ლექსში ტროცკისტული ოპოზიციის ხელმძღვანელობას ადარებს არწივებს. ფრ. ნაროუშვილი თავისი პოლიტიკურ განწყობილებების შესახებ გამოძიებას ასეთ ჩვენებას აძლევს: „1927 წელს მე მომმართა ძველმა ნაცნობმა ათ. კოკაიამ და მომცა წინადადება, რომ მეშუაშენა ტროცკისტულ ოპოზიციასში. მაგრამ მე უარი ვუთხარი, თან დავიძინე, კიდევ ვიფიქრებ და მერე მოგცემ პასუხს-მეთქი“.

პარტიულ ორგანოებს არავითარი ოფიციალური მონაცემები არ აქვს იმის შესახებ, რომ კოკაიას წინადადება ნაროუშვილს შესაბამის ორგანოებისათვის ეცნობებინოს. უფრო მეტიც: ფრ. ნაროუშვილი იმყოფებოდა რა ზემოხსენებულ წვეულებაზე 1934 წელს, სხვათა თანდასწრებით მან შავგულიძის ნათქვამი დააზუსტა და შავგულიძეს აჩერებდა, როგორც თანამზრახველს. „ამ სიტყვების შემდეგ მე შევეკითხე შავგულიძეს, ვის უნდა ესროლო მალლა? მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ნაროუშვილი აიძულებდა შავგულიძეს, რომ გაჩუმებულიყო“.

(შატბერაშვილის და ს. დ.-ს დაპირისპირების ოქმიდან).

გიორგი შატბერაშვილთან დაპირისპირების დროს ნაროუშვილი გასროლის შესახებ გამოძიებას აძლევს ასეთ ჩვენებას:

„შესაძლოა შავგულიძემ ასეთი სიტყვები მართლაც სთქვა, მაგრამ მე არ მახსოვს რადგან ძალიან მთვრალი ვიყავი“.

გამომძიებლის კითხვაზე, რატომ მიაჩნია შესაძლებლად, რომ შავგულიძე ასეთ სიტყვებს იტყოდა, ნაროუშვილი პასუხობს:

„ამგვარ შესაძლებლობას ვუშვებ იმიტომ, რომ შავგულიძე ბოლოს და ბოლოს აშკარად უკმაყოფილო იყო პროლეტარული მწერლობით, იგი იმყოფებოდა პლ. ქიქოძის გავლენის ქვეშ და საერთოდ ის კონტრრევოლუციურად იყო განწყობილი. ამაზეც მეტყველებს მისი ეს წერილი, რომელიც გამომიგზავნეს ზესტაფონში, რომელშიც მწერდა თავის უკმაყოფილებაზე და იხსენიებს „ნაჯახს“ და ლაპარაკობს აქტიურ ბრძოლაზე. ყოველივე აქედან მე ვუშვებ, რომ შავგულიძეს შეეძლო ეთქვა ბელადისადმი სრო-

ლის შესახებ“.

ეს წერილი ჩვენებაში კვალიფიცირდება, როგორც აშკარა კონტრევოლუციური დოკუმენტი, რომელიც გაჟღენთილია ტროცკისტულ-ზინოვიევიური გამონათქვამებით. ხოლო გამოძიებლის კითხვაზე რატომ დაუმალა ეს დოკუმენტი, ნაროუშვილმა სთქვა:

„მე ამ წერილს არ ვთვლიდი კონტრევოლუციურ დოკუმენტად და ამიტომ არ ჩავთვალე საჭიროდ მის შესახებ მეცნობებინა პარტიისთვის. ახლა კი, ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს წერილი ტროცკისტული დოკუმენტია“.

შემდეგ:

„წერილში ლაპარაკია „ჩინოვნიკებზე“, (ჩემი აზრით იგულისხმება პარტიის ხელმძღვანელობა), რომლებიც „არაერთ ყმაწვილს დაღუპავენ“ და შემდეგ მხოლოდ რჩება მარტო დოლიაშვილის ხანჯალი (ახალგაზრდა მუშა პოეტი, პარტიის წევრი), ჯერ კიდევ არ დაჟანგულა და მისი კანონიერი მემკვიდრეები ვართ ჩვენ. ამ გამოთქმას მე ვთვლი შვეულიძის კონტრევოლუციურ, ტერორისტულ განწყობილებების გამოხატულებად. თბილისში ჩამოვედი თებერვალში და მქონდა საუბარი ამ წერილის შესახებ შაგვულიძესთან, მაგრამ მაშინ არსებითი ამგვარ განწყობილების შესახებ არაფერი ყოფილა. ამის შესახებ შემდეგ შევიტყვე“.

ნაროუშვილის ტროცკისტული თვალსაზრისი მტკიცდება კოკაიას ჩვენებითაც:

„1931 წელს მე და ნაროუშვილი ვიყავით ხევსურეთის ექსპედიციაში. გზაზე ერთი მგზავრი ნაროუშვილს ჯიუტად უმტკიცებდა, რომ ტროცკიზმი უფრო სწორი მიმართულებაა, ვიდრე პარტიის გენერალური ხაზი“.

(ჩვენება, 1935, 28.4).

მსჯავრდებული გ. შატბერაშვილი, ქიქოძის პირდაპირი დავალებით გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“ და ჟურნალ „მნათობში“ ბეჭდავს ორ აშკარა კონტრევოლუციური შინაარსის ლექსს, რომლებმაც ქიქოძის მოწონება დაიმსახურეს.

გიორგი შატბერაშვილმა ამ ლექსებში გააგრძელა ქიქოძის ხაზი, რომელიც დაუპირისპირდა თანამედროვეობას „Туманному – будущему проповедь окровавленного топора – высоких че-



გიორგი შატბერაშვილის ბიუსტის (მოქანდაკე ჯემალ თუ-შურაშვილი) გახსნა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში მისი დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1985 წლის 21 აპრილი.

РЕПОВ“. მოხუცთა წარსული გმირული დღეები. ძირითადი ლეიტ-მოტივი ამ ლექსისა ემთხვევა როგორც ფორმით, ისე შინაარსით გერმანელი ფაშისტების უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ლიტერატურას, რასიულ თეორიას და ლექსის ძირითად მოტივს.

ამ ლექსებიდან, ერთ ლექსში მოტყუების გზით მან (შატბერაშვილმა) თვითნებურად შეაწორა კორექტურა, რომელიც მიუძღვნა ცნობილ პოლიტბანდიტის ქაჭუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს. ამის შესახებ შატბერაშვილი იძლევა ასეთ ჩვენებას:

„ამ ლექსის ინიციალები „თ. ჩ“, ასე იშიფრება – თამარ ჩოლოყაშვილს“.

ამრიგად, დგინდება, რომ მსჯავრდებული პლ. ქიქოძის ხელმძღვანელობით და მისი გავლენით ზევით აღნიშნული ფორმით ეწეოდა ფართო ანტისაბჭოთა მუშაობას, რამაც თავის ნათელი

გამოხატულება ნახა შავგულიძის სიტყვებში – „ზევით სროლის“ და ქიქოძის ორგანულ კავშირში კონტრრევოლუციონერ ვარდინთან.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე პერსონალურად ბრალი ედება:

1. **ქიქოძე პლატონ იოსების ძეს**, დაბადებული 1905 წ. ჟურნალისტი, უმაღლესი განათლებით, ყოფილი აზნაური, გარიცხული პარტიის რიგებიდან ორპირობისა და გაიძვერობის გამო. ის იყო პარტიის წევრი. იყო პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი, დაკავშირებული იყო ორპირ ტროცკისტ ვარდინთან (მგელაძე) და თავის ბინაში მალავდა. ამავ დროს მას დაეხმარა მატერიალურად. თავის საქციელთ და მუშაობით გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა კრიტიკოსთა, მწერალთა ჯგუფი, რომელთა შემოქმედებითი მუშაობა წარმართა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. გაზეთ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, რომელსაც ის რედაქტორობდა, ეწეოდა ფართო ტროცკისტულ პროპაგანდას. 19 თებერვალს მწერალთა კავშირიდან მიღებული 10 000 მანეთი ოთახის შესაძენად, ეს ფული არადანიშნულებისამებრ დახარჯა. ის ცდილობდა გამოდიებისათვის გზა-კვალი აეხნია ამ ფულთან დაკავშირებით. თავი ცნო ნაწილობრივ დამნაშავედ, მაგრამ ის მხილებულია ნ. კოკაიას და ფრ. ნაროუშვილის მიერ. პლ. ქიქოძემ გულწრფელად აღიარა თავის ტროცკისტული მუშაობის შესახებ.

ბრალდებულს წაყენებული აქვს 58. 10 და 114.

2. **შავგულიძე შალვა აქვსენტის ძე**, დაბადებული 1914 წ. საშუალო განათლებით, ჟურნალისტი, გარიცხულია კომკავშირის რიგებიდან ორპირობის გამო, ვინაიდან იგი ითვლებოდა კომკავშირის რიგებში, მსჯავრდებულ პლატონ ქიქოძის კარნახით წერდა გაზ. „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე ტროცკისტულ სტატიებს. თავის ახლობელ მეგობართა წრეში ეწეოდა კონტრრევოლუციურ იდეის პროპაგანდას. ბრალდებულ ნაროუშვილის მიერ მოწყობილ წვეულებაზე სთქვა, საჭიროა – სროლაო. ნაროუშვილისადმი მიწერილ წერილში მუდგანდება ტერორისტული განწყობილებანი, ავითარებს კონტრრევოლუციურ ტროცკის-

ტულ მიდგომას პარტიის ხელმძღვანელებისადმი.

ბრალდებული მხილებულია ნაროუშვილის, ს. დ-ს ჩვენების საფუძველზე. წაყენებული ბრალდება ითვალისწინებს 58. 10. და 11.

3. **ნაროუშვილი ფრიდონ კონსტანტინეს ძე**, დაბადებული 1904 წ. მწერალი. ამავე დროს მუშაობდა ზესტაფონში და ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა აშკარა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული ლექსი „არწივი თავის ბუდე სტოვებს“.

წაყენებული დანაშაული კვალიფიცირდება 58. 10. და 11.4

4. **შატბერაშვილი გიორგი ივანეს ძე**, დაბადებული 1910 წ. უმაღლესი განათლებით, ყოფილი აზნაური, პოეტი. მან მოტყუების გზით ჟურნალ „მნათობში“ კორექტურის დროს შეგნებულად დაბეჭდა ცნობილი პოლიტბანდიტის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილის ინიციალები თ. ჩ., რომელსაც მიეძღვნა ეს ლექსი. ლექსი არის მკვეთრი კონტრრევოლუციური შინაარსის. უკანასკნელი ლექსი, რომელიც აგრეთვე არის კონტრრევოლუციური შინაარსის, დაწერა ორპირ-გაიძვერა ქიქოძის პირდაპირი კარნახით.

ბრალდებულმა თავი ცნო დამნაშავედ.

წაყენებული ბრალდება კვალიფიცირდება 58. 10. და 4.

ეს საქმე მოსმენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სხდომაზე.

განყოფილების უფროსი: კიკნაძე
„თანახმა ვარ: სულთანოშვილი

შენიშვნა: ბრალდებული შავგულიძე განთავისუფლებულია თავდებით. ქიქოძე მოთავსებულია სპეცდანიშნულების იზოლიატორში. ნაროუშვილი და შატბერაშვილი მოთავსებულია შინაგან ციხეში.

26 მაისი, 1935 წ. ქ. თბილისი
(კიკნაძე)“

ამ საბრალდებო დასკვნას, თუ შეიძლება ამ პასკვილს ასეთი იურიდიული კვალიფიკაცია მიეცეს, კომენტარი არ სჭირდება. იმედია მკითხველს არ გაუჭირდება მისი შინაარსის უსუსურობაში გარკვევა და შესაფერ დასკვნასაც გააკეთებს. ერთი სიტყვით, საბრალდებო დასკვნაც ისეთივე ტრაგიკომიკურია, როგორც ეს სამარცხვინო შეთითხნილი საქმე. მასში მონაწილე მოქმედ გმირთა ბედი კი ასე მოტრიალდა. პლატონ ქიქოძეს და ფრიდონ ნაროუშვილს, მათზე ცოტა ადრე შალვა შავგულიძეს, არ ეღირსათ თავისუფლება. სწრაფმა ტუბერკულოზმა მოუსწრაფა სიცოცხლე მათ.

დროის უკუღმართობით გონებაამღვრეული ამ უბედური თაობის წარმომადგენელთა შესახებ თხრობა მინდა დავამთავრო ფრიდონ ნაროუშვილის ლექსით:

ვაშა გ.პ.უ. – შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი,
სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატურის ტყვეით იყო დახვრეტილი!
ვაშა გ.პ.უ. – შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი.

საინტერესოა, „ბოლშევიკურად“ დაწერილ საბრალდებო დასკვნას რომ გაეცნო ფრიდონ ნაროუშვილი, თუ გაახსენდა ეს სისხლიანი სტრიქონები. ალბათ, მოაგონდა და ინანა კიდევ, ან ბოლომდე დარჩა სოციალიზმის და გ.პ.უ-ს (ГПУ - სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. ასე ეწოდებოდა მაშინ ჩეკას. ბ. ა.) ერთგული, ვინ იცის.

გიორგი შატბერაშვილს კი დანაშაულის სამხილის არარსებობის გამო პოლიტიკური დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ ბრალდების მოპოვებაში როგორც ვნახეთ, უღვთოთ აწამეს. მისი უდანაშაულობა თითქოს დოკუმენტურადაც ყოფილა გაფორმებული, რაზეც მეტყველებს ერთი საბუთი:

„С направлением н/дела на рассмотрение Особого Совещания при НКВД СССР согласен.

Предъявления в обвинении в отношении обвиняемых Ки-кодзе, Шавгулидзе и Нароушвили по 58-ой и 58-II-й ст.-ст. УК


Гр. Считаю доказанным.

В отношении же Шатберашвили, имеющиеся в деле данные считаю недостаточным для привлечения его к уголовной ответственности, и поэтому дело (в отношении Шатберашвили) подлежит прекращению за недостаточностью улик.


**Прокурор – подпись
II/VI г.“**

ასეთი დოკუმენტის შემდეგ გიორგი შატბერაშვილი თითქოს უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ, მაინც სამი წლით უკრეს თავი ყაზახეთში, საიდანაც ძლივს ჩამოიტანა ტანჯული სული და თბილისში ცხოვრების უფლებააყრილმა მშობლიურ თვალად შეაფარა თავი. ის აქ ბარე ათიოდე წელი ეწეოდა სოფლის პედაგოგის მძიმე შრომას. ბოლოს, როგორც იქნა, მისცეს უფლება თბილისში ცხოვრების და მწერალთა კავშირის წევრადაც აღადგინეს. შთაგონებით შეუდგა შემოქმედებით მუშაობას და ზედიზედ გამოაქვეყნა შესანიშნავი მხატვრული ქმნილებანი. მაგრამ ყველაზე მეტი წარმატება მაინც მის „მკვდრის მზეს“ ერგო.

ამ მოთხრობით მან თავის საჯილდაო ქვა ასწია და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში. კიდევ მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ ნაწამებმა გულმა ვეღარ გაუძლო საბჭოური სინამდვილის ახალ-ახალ დარტყმებს და უეცრად გარდაიცვალა 1965 წლის აპრილში, თავისი დაბადების დღიდან რამდენიმე დღეში, როცა ორმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა!



გიორგი შაბეტაია



9 789941 064609